

ორგანო საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარ-გარეთის გიურილი

Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-démocrate de Géorgie.

832
1950

ჩვენი

დროშა

"NOTRE DRAPEAU"

Directeur: MICHEL STOUROUA.

N° 6

ბარი

ბ ა რ ი ბ ი

P a r i s .

1950

26 అ న స న

ఇస అనిస క్రింది పఠనమా, ఫరమా మట్టెల్లి జారుత్వేల్లి ఉరిస, చుప్పేల్లా మిసి శ్రేష్ఠాఘగ్రేణ్ణెల్లి నాట్చిల్లేబిస.

26 మానిసి, డఱ్ సాజ్యారుత్వేల్లాస లభ్యమిస, తాగ్యిసి పుష్టా-ప్రెష్టోర్చేబిస మిస క్రైస్తుాంశ్ మంచ్చింబిస, మిష్టోల్లిస అసపార్చేశ్చే గామిస్వెల్లిస దా తాగ్యిసి అథాల్లి సిట్రుప్పిస సాక్షాత్పొందరిస అఖాబశిస శ్చేర్తానిస.

26 మానిసమా ప్రాంతాదా అథాల్లి సాజ్యారుత్వేల్లా, అథాల్లి బెంథిస, క్రైస్తోల్లి దా తానామ్యాఫర్మాజ్ త్విసీభేబిస గామాయ్రథితిసాన్చేబ్రేల్లి దా అథాల్లి ఉరిస శ్రేష్ఠేణ్ణెల్లి.

అం అమ సాజ్యారుత్వేల్లాస డఱ్ స మిసి మిట్రేర్రి ఉభరండ్సిస, ఉపథి నొండాగ్శే కొల్లింత గాధాప్యాస్, మాగ్రామ అమాంత, ఇస డంగాస ఉర్ల్యుప్పాత దా మ్యేఫ్రోరాత తాగ్యిసి ఇస్త్రోంక్షుల్ సాప్తుష్టేల్శ్ దా అం ఇంట్రిప్పేబిస అంచ్ శింహ్రేషుల్స, అంచ్ అంల్ న్యాస్యుల్స.

డఱ్ స జారుత్వేల్లి ఉరి ప్రాంతమ్ముల్లిస, ప్రాప్తిజ్యేర్చేబ్ముల్లిస; ఇస స్యుల్గాన్సాంబ్ముల్ి దా మ్యేఫింత సాప్స్ ఉపిసి ఫరంస, రంప్రా 26 మానిసి గామిస్వాన్తాబ్దిస దా మిస క్రైస్త్ ఇస తింఫిస శ్చేమింత క్విలాప తాగ్స మాంపురిస.

జారుత్వేల్లి ఉరి మహాగాల్ శ్రేమిస్సేపాస గాధాష్టర్హిస, మిసి డఱ్ వాన్డ్రెల్లి క్రింరి అం అథాల్లిస, క్రైస్తోల్లిస; ఇస ఉపథి ఉఱ్యేల్ మ్యుఫామ తాగ్స అంశ్ట్రేఫా ఉర్తి సామ్మాల్యేబింత—తాగ్యిసి ఉర్ల్యుప్పి నేబిస్పుట్టిత, కొసింతిస సిమాగ్రింత దా తాగ్యిస్తావిసి ఉర్తగ్ము-ల్లేబింత. మాన గ్వాయ్కేస్నా తాగ్యిసి మాగాల్మింతిత రంగంల ఉన్ఫా క్రిం-సా శిగాం గామాగ్రోబా దా ఉప్పేష్టేల్ాత ఇస గాధాంట్రాసి డఱ్ వాన్డ్రెల్ క్రిం-గారామిసాం దా తాగ్స ఫాంల్ష్ట్రేపస మాస జ్ఞాన్సాల్సి దా గామార్జ్యో-బ్ముల్సి.

సాయ్రథితాశుంధిసిస ఉర్తింగ్రథితంబా డఱ్ స ప్యాల్మిబ్రేబా క్రింది మిట్రిసి న్యిన్సాంల్మింట్టిగ్; శింహ్రిస అం అనిసి ఇస ఫరం, రంప్రా మాంపుక్కుసి మిస న్యిన్సాం దాంతింప్పేబిస దా క్రింది కొక్కేర్తింల సామిందల్లిస కార్చేబిస గాఏల్చేబా.

26 మానిసి అనిస జారుత్వేల్లి ఉరిస లామికారి, మిసి మానాతం-బ్రేల్లి గార్లిక్షుల్ాపి, మిసి సాగాల్లి గ్ంచా-క్వాల్లి దా గామార్జ్యో-బామిం మిమ్పుగానిస...



26 მ ა ი ს ი

ეს არის ჩვენი დროშა, დროშა მთელი ქართველი ერის,
 ცველა მისი შემადგენელი ნაწილების.

26 მაისი, დღე საქართველოს აღდგომის, თავისი ყოფა-
 ცხოვრების მის ჰქუმე მოწყობის, მსოფლიო ასპარეზზე
 გამოსვლის და თავისი ახალი სიტყვის საკაცობრიო ოჯახში
 შეტანის.

26 მაისმა დაბადა ახალი საქართველო, ახალი ხალხი,
 ძველი და თანამედროვე თვისებების გამაერთიანებელი და
 ახალი ერის შემქნელი.

აი ამ საქართველოს დღეს მისი მტერი ებრძვის, უცხო
 ნიადაგზე ძალით გადაყავს, მაგრამ ამაოთ, ის დგას ურყევათ
 და მედგრაათ თავის ისტორიულ საფუძველზე და არ ივიწყებს
 არც შორეულს, არც ახლო წასულს.

დღეს ქართველი ერი დაობლებულია, დაფიქრებულია;
 ის სულგანაბული და იმედით სავსე უცდის დროს, როცა
 26 მაისი გამოანათებს და მის ქვეშ ის დიდის ზეიმით კვლავ
 თავს მოიყრის.

ქართველი ერი მრავალ შემოსევას გადაურჩა, მისი
 დღევანდელი ჭირი არ ახალია, ძველია; ის უცხო უდელს
 მუდამ თავს აღწევდა ერთი საშუალებით—თავისი ურყევი
 ნებისყოფით, ხასიათის სიმაგრით და თავისთავის ერთგუ-
 ლებით. მან გვაჩვენა თავისი მაგალითით როგორ უნდა ჭირ-
 სა შიგან გამაგრება და უკეცველათ ის გადაიტანს დღევანდელ
 ჭირ-გარამსაც და თავს დაალწევს მას ჯანსალი და გამარჯვე-
 ბული.

საერთაშორისო ურთიერთობა დღეს ყალიბდება ჩვენი
 მტრის წინააღმდეგ; შორს არ არის ის დრო, როცა მოსკოვი
 მის წინაშე დაიჩრებს და ჩვენ ჩაკეტილ სამშობლოს კარები
 გაელება.

26 მაისი არის ქართველი ერის ლამპარი, მისი მანათო-
 ბელი გარსკლავი, მისი სავალი გზა-კვალი და გამარჯვე-
 ბამდე მიმყვანი...

ნაციონალური საკითხები

და

რუსის მთხოვნელი.

ამჟამათ რუსის ემიგრაციაში დიდი მითქმა-მოთქმაა ნაციონალურ საკითხები, რა ურთიერთობა დამყარდეს რუსეთში მოწყვეტეულ სხვადასხვა ერთა შორის შემდეგ მათი განთავისუფლებისა საბჭოთა ულლისაგან. ამ ნიადაგზე უკვე ჩამოყალიბდა ორი ბანაკი: მემარჯვნენი სავსებით დგანან ძველ გზაზე. მათთვის ნაციონალური საკითხი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ რუსეთის სახელმწიფო და მისი აღდგენის საკითხი. მემარცხნენი სცნობენ ნაციონალური საკითხის არსებობას და მას სჭრიან თავისებურათ—ერთა ფედერაცია ერთადერთი გამოსავალია არსებული ჩიხიდანო. ასე რომ ორივე ბანაკისათვის არ არსებობს ერთა უფლება თვით-გამორკვევის, თვით გადაწყვეტის თავისი ეროვნული არსებობის და სუვერენობის.

ამ არეულ-დარეული აზროვნებისაგან გამოსავალის მონახვა და ერთი საერთო ნაციონალური პლატფორმის გამოშუბავება დგას დღის წეს-რიგში.

არის ორგაზრი იმპერიალიზმი, უცხო ერთა დაპყრობა და თავის შინაყმებათ გადაქცევა. ერთია აზიური, მეორეა ევროპიული. პირველის ნიშნობლივი თვისებაა გააფართოვოს თავისი ტერიტორია, დაიპყრას რაც შეიძლება მეტი მიწა-ადგილი და იცხოვროს მათ ხარჯზე. მონგოლები თავიდანვე გამოვიდენ ამ დროშით, დაიპყრეს რუსეთი და მრავალი სხვა ერები. ეს მონგოლური იმპერიალიზმი ბოლოს გადაედვა განთავისუფლებულ რუსეთს და იწყება მისი შეუჩერებელი გაფართოება, მრავალ უცხო ტერიტორიაზე და ერებზე გაბარონება. ეს იმპერიალიზმი სრულიად არ გამომდინარეობს შინაგანი საცხოვრებელი მოთხოვნილებით, ეკონომიკური აუცილებლობით, ტერიტორიული სივიწროვით; არა, პირიქით, რუსეთს მიწა-ადგილი ვრცელი ქონდა, საჭმელ-სასმელი რამდენიც უნდოდა, ტერიტორიალური გაჭირება არასოდეს

არ ქონებია და თუ მაინც თავის საზღვრებში არ ეტეოდა, ამის მიზეზია მონგოლური პსიქოლოგიის თავისათ აღიარება, მონგოლთა მაგალითის თავის საგარეო პოლიტიკათ მიღება. აი ეს ჩაწი გრძელდება დღევანდლამდე, მას გაყვენ საბჭოთა ტირანებიც. წასულ ომში არც ერთ გამარჯვებულ სახელმწიფოს სხვისი ტერიტორია არ შემოუერთებია, სხვისი მიწაწყალი არ დაუპყრია; ერთად ერთი გამონაკლისია რუსეთი, საბჭოთა სახელმწიფო, რომელმაც შემოიერთა მის ირგვლივ მდებარე პატარა სახელმწიფოები პირდაპირ ომით და გაიხადა მის თანამგზავრათ სხვა ერები შინაგანი აფეთქებით, კომუნისტური სახელმწიფო წყობილების დაარსებით, მათი ნაციონალური სუვერენიტეტის მოსპობით.

ასეთია აზიური იმპერიალიზმი.

სავსებით სხვა სახისაა ეკონომიკული იმპერიალიზმი. ეს გამომდინარეობს ეკონომიკური განვითარებისაგან, ვაჭრობა-მრეწველობის გაფართოების და გაზრდისაგან, რაიცა იწყება დასავლეთში მეთექვსმეტე საუკუნიდან. დამუშავებულ საქონელს ეჭირვება შესაფერი ბაზარი, უცხოეთში გატანა და გასალება. იწყება კოლონიალური პოლიტიკა, აზიასა და აფრიკაში გადასვლა და იქ ახალი ტერიტორიების და ხალხების დაპყრობა. ინდოეთი დაიპყრო ლონდონის ვაჭართა კლასმა და ის მას მართავდა საუკუნეთა განმავლობაში. მხოლოდ გასული საუკუნის შუაში მათ ინდოეთი გადასცეს მოსავლელათ და საბატონო ინგლისის მთავრობას. ამ ეკონომიკურ აუცილებლობას მისდევდა ეკონომიკური ინდუსტრიალური სახელმწიფონი. საფრანგეთს არავითარი კოლონია არ ქონებია, გარდა ალჟირისა, 1870 წლამდე, როცა ითქეთქა რევოლუცია და დამყარდა დემოკრატიული რესპუბლიკა. მაგრამ რაკი იწყება გაზრდა ინდუსტრიის, ძებნა ბაზრის, საფრანგეთის დემოკრატია იწყებს კოლონიალური პოლიტიკის წარმოებას, იჭერს მრავალ სხვის ტერიტორიას, ქმნის თავის კოლონიებს. დემოკრატია თუ არა დემოკრატია ერთნაირათ ასრულებენ მრეწველობის ბრძანებას და მის სამსახურში დგებიან.

უკანასკნელი ომისაგან დასავლეთმა გააკეთა სრულიად სხვა დასკვნა, ვინემ რუსეთმა. ინგლისი გამოვიდა ინდოეთიდან, საფრანგეთმა შექმნა თავის კოლონიებთან კავშირი, მათვის ფართე თვითმართველობის მინიჭებით, ხოლო ზოგის

საცხებით განთავისუფლებით. მოიშალა ძევლებური საკოლონით ექსპანსია, უცხო ერების და ტერიტორიების ძალით დამორჩილება. დასავლეთის ბურუუზიამ ახლა დაინახა, რომ ნივთიერი გაფართოვება შესაძლებელია მოღაპარაკებით. შეთანხმებით, ხელშეკრულობათა დადებით და მისი საგარეო პოლიტიკაც ამ გზას გაყვა.

ამნაირათ, დლევანდელი ნაციონალური მსოფლმხედველობა მიიმართება ერთი გზით, ეს გზაა—ერი უნდა იყოს თავისუფალი და მათ შორის ჩამოვარდეს თანხმობა და მეზობლური ურთიერთობა. ეს აზროვნება დლეს საყოველთაოთ გაერცელებული და მიღებულია. ამას არ იღებენ მხოლოდ საბჭოები, ის არ შორდება აზიურ იდეოლოგიას.

სად არის რუსის ემიგრაცია? აქეს მას რაიმე პოზიცია ამ რთულ საკითხში? არავითარი ახალი, როგორათაც ფიქ-რობდენ და სწერდენ ძევლათ, ამ ოცი წლის წინეთ, განაგრძობენ იმავე ხაზს ახლაც. დლეს ამ დამორჩილებულ ერთა მსოფლიო გამოლვიძების ხანაში, როცა არა მარტო ცნობილი, აგრეთვე უცნობი ხალხები მრავალფეროვანი კანისა აფრიკალებენ დროშას თავისუფლებისას—რუსის ემიგრაცია აზროვნებს ძევლებურათ, არავითარ დროშას რუსეთის დამორჩილებულ ერებისათვის არ აღმართავს. დრო კი არის ეს საერთო საგალი გზა გამოინახოს და ყველა ანტიბოლშევიკური ფენები ხელი-ხელ ჩაკიდებული მას გაყვენ. ამის პირველი მაგალითი მოცემულია ხაქართველოს სოც.-დემოკ. პარტიის მიერ, რომლის პროექტი იქნა ჩევნის უურნალში გამოქვეყნებული და შიგ ყველა ერის დემოკრატიის შესათანხმებელი პლატფორმა ბოძებულია (იხ. «ჩევნი დროშა» № 3). აქ გამოთქმული დედა-აზრების განიარება ეროვნულ საკითხში კარს უდებს ყველა არა-რუს ერებს საბჭოთა იმპერიისა რუსის ერთან მოთანხმებისა მისი დლევანდელი ულლისაგან განთავისუფლებისთანავე. რუსის ემიგრაცია მოვალეა გამონახოს ეს საერთო ენა, იცნოს ერთა არსებობა და მათი თავისთავზე ბატონობა.

6. ქ.

რუსეთი და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შემთხვევაში

1. ერთი საუკუნის განმავლობაში საქართველო შეაღვენდა პოლიტიკურათ ნაწილს რუსეთის იმპერიისა, მაგრამ ის არასოდეს არ იყო გაერთიანებული რუსეთთან ნაციონალურათ, კულტურულათ, სოციალურათ და კუნძომიურათ.

2. რუსეთში გლეხებს არ ქონდათ მიწის კერძო საკუთრება, ისინი ფლობდენ მიწას საერთო, წოდებული ობშინა, მაშინ როდესაც საქართველოში გლეხობას ქონდა მიწა კერძო საკუთრებათ.

3. რუსეთში გაბატონებული კლასებიც კი თავის მამულების მესაკუთრეულ განაკვეთ მოვალეობაზე მე-18 საუკუნის ბოლოდან, მეფე ეკატერინე მეორის კანონებით. საქართველოში კი კერძო საკუთრება განვითარდა უძველესი დროიდან, ქრისტეს წინ.

4. ამნაირათ, რუსეთი არასოდეს არ იცნობდა ფეოდალურ საკუთრებას და ფეოდალურ რეჟიმს. მთელი ქონება, უძრავი თუ მოძრავი, ისე როგორც თვით მცხოვრები იქ ეკუთვნოდა მთავრობას, რომელიც განაგებდა ყოველივეს თვითმპრობელი ძლიერებით.

5. რუსეთის სოციალური წყობა მისდევდა აზიის წყობას, ხოლო საქართველოში სოციალური ცხოვრება აეწყო ეკროპის გზით.

6. რუსეთის ოკუპაციას და ბატონობას საქართველოში ერთი საუკუნის განმავლობაში არ მოუხდენია არავითარი ცვლილება საქართველოს სოციალურ წყობაში. რუსეთს არც კი უცდია მისი დანგრევა და მის ალაგას რუსეთის სოციალური წყობის გაბატონება. პირიქით, თვით რუსეთი ცდილობდა გადასხვაფერდეს კუნძომიურათ და პოლიტიკურათ თანამათ ეკრაპიული სისტემისა.

7. 1917 წლიდან ბოლშევკურ რევოლუციამ მოსპონ ეს პოლიტიკური და სოციალური მიღრევილება, დააბრუნა რუსეთი უკან და აღადგინა ძველი აზიური სოციალური წყობა. ახალმა მთავრობამ, როგორც ძველმა, ხელში ჩინგდო მთელი ქონება, მოძრავი თუ უძრავი, მთელი კერძო საკუთრება, არა მარტო მემამულეთა, არამედ გლეხებისა, საერთო ყველა კერძო წყობილი საკუთრება. კრემლი და მისი მოხელეები გახდენ უმაღლესი მფლობელი ერის მთელი სიმდიდრის.

8. საქართველო, პირიქით, გამოყენ რუსეთს პოლიტიკურათ და განაგრძო მსვლელობა სოციალური სისტემის გზაზე ეფუძნებით. მან ალიარა ერის ცხოვრების საფუძლოათ მიწის წერილი საკუთრება, ალკეთა მემამულეთა სხეილი საკუთრება და ის გაყო უმიწაწყლო გლეხებს შორის. ეს დიდი რეფორმა, გატარებული განსაკუთრებითი კანონებით იქმნა მიღებული თვით მემამულებისაგან სრულიად უპროტესტო: ქართველ თავად-აზნაურობაშ თავის საკუთარი ინტერესები შესწირა შესანიშნავი თავისდადებით ერის ერთონობას. რაიცა არის მეტათ იშვიათი მოვლენა ისტორიაში.

9. საქართველოს სახელმწიფომ გამოაცხადა ნაციის საკუთრებათ ქონება, რომელსაც წინეთ ფლობდა რუსეთის მთავრობა საქართველოში, მისი ტყეები, საბალახოები, საგანგებოთ დამუშავებული მამულები, მთა-მაღნები, წყლები და მისება-მოსებას საშუალებანი.

10. ამნაირათ, საქართველოში დამყარდა რეფიმი თანხმობის და დაკავშირების კერძო და სახელმწიფო ეკონომიას შორის, წინააღმდეგ რუსეთში შემოღებულ ბოლშევიკურაზიურ რეფიმისა.

11. ეს ახალი სოციალური და ეკონომიური წყობილება დაადასტურა მთელმა ერმა. არავითარი ბრძოლა მის წინააღმდეგ არ დაწყებულა, არც იდეიური, არც პოლიტიკური. ის განვითარდა ერის დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის ჩარჩოში, რითაც განხორციელდა ქართველი ხალხის პოლიტიკური და სოციალური მთლიანობა.

12. დამოუკიდებელი საქართველოს სამი წლის არსებობის შემდეგ 1921 წ. საბჭოთა რუსეთმა გაუფრთხილებლათ და ომის გამოუცხადებლათ უცცრათ თავს დაესხა და ექვსი კვირის ომის შემდეგ დაიპყრო. ქართველი ერის ნაციონალური, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრება გააქრო ძალით შემოსეულ მტერმა და მის ალაგას დაამყარა რეფიმი ბოლშევიკურაზიური.

13. ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ მაინც გრძელდება-საქართველოს მცხოვრებლებმა, იარაღით ხელში აჯანყდა საბჭოების მართველობის წინააღმდეგ 1922, 1924, 1928—1932 წლებში, ხოლო არალეგალური საიდუმლო პროპაგანდა ერში დღევანდლამდე გრძელდება.

14. ქართველი ხალხი ლრმა იმედით ელოდება მოსკოვის ძალადობის გაუქმებას, რუსეთის უღლის დამტვრევას და თავისუფალი სუვერენული საქართველოს აღდგენას.

მცირე შენიშვნები

დ ი დ ა მ გ მ ბ ზ .

ვოლტერი თუმცა თვით ჩინებული ისტორიკოსი იყო,
 შეაგრძნის მას ხელს არ უშლიდა ულმობელი სარკანმით შო-
 ებენერებია ისტორიკოსების მიუღვიომლობა. დიდი ფილოსო-
 ფოსი თავის დაფასებაში მართალია: პუმანიტარულ მეცნიე-
 რების დარგში ისტორია ყველაზე დასახირებული გამოდის
 ლაბორატორიიდან.

ცხადია, რომ ამის ბრალი შარტო მემატიანეთ არ ედება;
 წარსულის მიუღვიობელათ დაფასების სიძნელე თვით ამავე
 საგნის ბუნებაშია; განვლილს ცხოვრების ქარი, შემოღვიმის
 დამჯენარ ფოთლებივით, დავიწყების უფსკრულისაკენ სწრა-
 ფად მიაქანებს; ადამიანის მესსიერება ძალზე მოყლეა; მას
 წარმოუდგენელი სიჩქარით ავიწყდება ავი და კარგი, ჭირი
 და ლხინი და ამიტომ ხელმეორეთ მათი განცდა აღამიანის
 ფსიხიკას არ ეგუება; წარსულიდან მხოლოდ აჩრდილი რჩება
 და ისეც ძლიერ მერთალი.

მართალია ცხოვრებაში არაფერი არ იყარება და გან-
 ვლილი ბშირად ლრმა ნაკვალევს სტოვებს; რჩება აგრეთვე
 თაობათა მოგონებანი—ეგრეთ წოდებული პირველი წყაროე-
 ბი; მხოლოდ მთელი ეს ისტორიული მასალა, ძველი თაობის
 ნაანდერძევი, იმდენათ გაუღენთილია პირადი განწყობილე-
 ბით, რომ მასში ყოველისფერია გარდა ისტორიული სინამ-
 დვილისა: რაც კარგათ ჩატარდა მოგონებათა ავტორის დამ-
 სახურებაა, რაც კი «ჩატლავდა» ეს სხვების ანგარიშზეა. გა-
 დახედეთ გუშინდელ ამბების მემორიალებს, რომლებითაც
 წიგნის ბაზარია დამხერჩევალი და თქვენ დაინახავთ, თუ რო-
 გორი მიუღვიმლობით იწერება ისტორია.

აშკარაა, რომ ამ გზას ჩვენი ქვეყნის ისტორიაც ვერ აც-
 დება. რაც საქართველოში დღემდე ახლო წარსულზე დაიწე-
 რა, ეს არსებულ რეჟიმის და მის მეთაურთა აპოლოგიაა. ბე-
 რიას «გამოკვლევით» გასულ საუკუნის მე-90 წლებში დაწ-
 ყებული დიდი ხალხოსნური მოძრაობა, რომლის გავლე-
 ნამ კავკასიის ქედი გადალახა და რუსეთშიდაც სახელი გაი-
 თქვა, თურმე სტალინის საქმე ყოფილა; რომ სტალინი ამ
 მოძრაობის დაწყებისას, პატარა სოსოს სახელწოდებით, გო-
 რის ქუჩებში სხვა ბავშებთან კენჭაობდა, ეს «ისტორიკოს»

ბერიასთვის უმნიშვნელო დეტალია; ბოლშევეკი რა ბოლშევიკია თუ «დარტყმითი წესით» ისტორიულ სინამდვილეს ვერ შეცვლის.

მეორე «მკვლევარი» ვიღაც ქუთათელი თავის ისტორიულ რომანში «პირისპირი^{*)}» ისტორიის სამსჯავროს წინაშე გვაყენებს ჩვენ და მათ; სამსჯავროს განაჩენი წინასწარ გამოტანილია; ბოლშევეკები იძლევიან გმირებს და თავისუფლებისათვის თავდადებულთ, ჩვენ კი—რეაქციის ბურჯებს და ხალხის მოდალატეებს.

სამართლიანობა მოითხოვს ალინიშნოს, რომ ისტორიის ფალიიფიკაცია ბოლშევეკების პრივილეგიას. არ წარმოადგენს; ეს საერთო მოვლენაა. მაგალითისათვის ავილოთ 26 მაისი. მთელი საქართველო სასოებით იგონებს, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს. ამ გრძნობაში ჩვენი ერი გაერთიანებულია; მხოლოდ ამ აქტის წარმოშობის ისტორიული მიზენების ახსნა და მიხი განალდების პირობების დახასიათება, მის რიგებს შლიან.

რატომ?

იმიტომ, რომ ეს პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზია, სადაც მწვავე პარტიული და ჯუფური ურთიერთობის გამო მოვლენებისადმი ობიექტიური მიღვამა შეუძლებელია; პოლიტიკური ბრძოლა, მსგავსათ სარწმუნოებრივისა, ყველა სხვა ბრძოლებწე უფრო სასტიკი და ულმობელია; ომიანობა^{**)}—ტერიტორიის და ბაზრის გამო დავაა; მხოლოდ ნივთიერ ზარალო აყნებს მოწინააღმდეგე მოწინააღმდეგეს; პოლიტიკურ ბრძოლაში კი დამარცხებულს ლირსეული სიკედილის უფლებაც ერთმევა; ფინიკურად მოსპობამდე, მას ანალგურებენ მორალურათ; ეს თანამედროვე ეპოქის თავისებურება არ არის; დასაბამიდან ეს ამნაირად მოდის; ისტორიულ განვითარების პროცესში ამ მხრივ არავითარი ცვლილება არ მომხდარა, ისე, როგორც ძველ საბერძნეთში და რომში, დღესაც ყველგან, განათლებულ ქვეყნებშიცაც პოლიტიკურ ბრძოლის ტემპი პაროკსიზმამდე აღწევს და პარტიული ურთიერთობიდან საცხებით განდევნილია ადამიანობა, ლმობიერება და მორალი.

დაუბრუნდეთ 26 მაისს. რა არის ეს, თუ არა პარტიული დაბრმავება, როცა ამ დიდ ისტორიულ აქტს ჩვენი ერის ისტორიაში შემთხვევით მოვლენათ ნათლავენ?

^{*)} ასეთია რომანის სახელწოდება.

^{**) სულ სხვაა ომიანობა—სადაც იდეოლოგიური მხარე სჭარბობს.}

ან კიდევ: განა პარტიულ სიძულვილს არ უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება ვითარცა მდგრმარეობით, მმართველ პარტიის თავზე ძალით მოხვეული პოლიტიკურ ნაბიჯათ გამოყავთ?

რომ მსგავსი დაფასება 26 მაისის მნიშვნელობას ამცირებს; რომ ძალდატანებაზე ლაპარაკი მას უკარგავს ქართველი ერის დიდი გამარჯვების ხასიათს, ამას ვინ დაგიდევს: მთავარია მოწინააღმდეგ პარტიას უკბინ, მისი დამხახურება დაამცირო, მას სახელი გაუტეხო და შასთან ანგარიში გაასწორო.

ჩევნთვის კი 26 მაისი ქართველი ერის ასი წლის ბრძოლის ლოლიკური დასკვნა და ამ ბრძოლის ბრწყინვალე დაგვირგვინებაა.

ანგენიის მეორე დღიდან დაწყებული ბრძოლა არასოდეს არ შეწყვეტილა; იცვლებოდა მხოლოდ, მდგომარეობის და მიხედვით, მისი გარეული გამოხატულება და შეთოლები.

ბრძოლის მიზანი იგივეა მაშინაც, როცა უკანასკნელ შეთქმულების დამარცხების შემდეგ, ერთ ერთ მისი მეთაურთაგანის თქმის არ იყოს, ქართული საქმე «რუსულ პოვოზკით» უნდა გაეტანათ.

იმავე მიზანს ისახავს გასულ საუკუნის ბოლოს აგორებული ეროვნული ტალღა, როცა მან ერთა თვითგამორკვევის უფლება თავის დროშაზე აღბეჭდა.

«თავისუფლება ომმა მოგვიტანა»-ო, ეს იგივეა, რომ ვთქვათ, —წვიმამ მოსავალი მოგვცაო: თუ მიწა დამუშავებული არ არის, წვიმას გარეული ბალახი ამოყავს.

მართალია, რომ პირველმა დიდ ომმა ჩევნი ეროვნული თავისუფლების შესაძლებლობა შექმნა, მაგრამ არ უნდა დავიგიშვით, რომ იმავე ომმა მთელი კავკასია და საქართველო «გახულიგანებულ» მილიონიან რუსის ჯარის ტყვეობაში ჩააგდო.

განიარაღებული, საკუთარ ძალაში დაყრდნობილი საქართველო, სასწაულით გადაუტჩა გასაბჭოებას. ამ სასწაულათ უნდა ჩაითვალის: თბილისის არსენალის ალება და იქიდან 30 ათასიან რუსის გარნიზონის განდევნა; შეიარაღებულ ეშელონების შემოსევიდან სატატო ქალაქის დახსნა, მე-«სამასე ვერსტის» საარაკო ამბავი, ალექსანდროვის ბალის შეიარაღებულ მიტინგის გარეკვა, ჭორობზე ოსმალთა შემოსევის გენ. მაზნიაშვილის რაზმის და ვ. გოგგაძის ჯავშნისანთა მიერ შეჩერება და ბევრი სხვა მართლადაც საქმენი-საგმირონი, რომლითაც 26 მაისს გზა გაეკაფა და იგი სამარადისოდ აღიბეჭდა ჩევნი ქვეყნის ისტორიაში.

დაუბრუნდეთ ჩვენი «რუბრიკის» ჩვეულებრივ საგანს—
საერთაშორისო მდგომარეობას.

ომი თუ ზევი; ეს ის საკითხია, რომელიც საშინელ სიმ-
წვავით უდგას მთელ კაცობრიობას.

თუ ომის ახლო მომავალში აუცილებლობაზე ძნელია
პასუხის გაცემა, სამაგიეროთ ერთი რამ აშკარაა: ორივე ბა-
ნაკი ომისათვის ციებ-ცხელებიან მზადებაშია.

მოსკოვისათვის ამ მიმართულებით არაფერი არ შეცვ-
ლილა; სტალინს ომის მზადებისათვის არასოდეს ხელი არ
შეუშვია და მთელი მისი საქმიანობაც შინ თუ გარეთ ამ ხაზზე
იყო აწყობილი.

შეტს ვიტუვით. თვით ომიანობის ქარტეხილის დროს
მას მოკავშირეებთან მომავალ შეტაკების შესაძლებლობა
მხედველობიდან არ გაუშვია; თევრან-იალტის კონფერენ-
ციებზე იგი ორსახიან იანუსივით მოკავშირეც იყო და მტე-
რიც. ამ ორმაც ბულღატერიის შედეგი ჩვენ ვიცით: გულლია
პარტნიორებმა მას ეკრაპისაკენ კარები გაუხსნეს და შორე-
ულ, თუ ახლო, ალმოსავლეთში მკვიდრი პოზიციები მია-
ნიჭეს.

გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციას (O. N. U.) მოსკოვი
Monsieur Veto-ს სახით მოევლინა; მხოლოდ გაცილებით უფ-
რო ჯიუტი გამოდგა, ვიდრე მისი წინამორბედი და მასთან
უფრო ილბრიანი. ლიუდოვიკ მე-XVI Veto-ს გადაყვა, მისი
მსევრპლი შეიქნა, სტალინმა კი ამ იარაღით ატლანტიკის
ხარტია გააუქმა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით ამო-
წურვა მოსპო და «ცივი ომის» ეპოპეიაც აქედან იწყება.

ალვინშნორთ ამ უკანასკნელის ხუთი წლის ჯამი:

თუ ჩეხო-სლოვაკიას არ ჩავთვლით, ევროპის სხვა კუთ-
ხეებში მოსკოვის წინსელა დასავლეთმა შეაჩერა; ბალკანეთ-
ში და ადრიატიკის მიმართულებით მოსკოვის მარცხში ჩვენ
უკვე გვეონდა წინა წერილში ლაპარაკი; გავიმეორებთ მხო-
ლოდ, რომ ტიტოს მოძრაობა გაიზარდა შინ და გარეთ, და
დღეს ყველასათვის ნათელია, რომ მას სკალინდელი დღე აქვს.
დასავლეთის მუშათა კლასში ტიტიშმ დღემდე გლახა პრესა
ქონდა; ეხლა, თუ არ ვცდებით, ეს მდგომარეობა მის სასარ-
გებლოთ იცვლება; რამოდენიმე კვირეა, რაც ამერიკის შრო-
მის ფედერაციის სახელით (A. F. L.) მისმა მდივანმა ბ. Brown-
მა საჯაროთ იუგოსლავიის მუშებს სოლიდარობა გამოუცხა-
და და დახმარებას დაპირდა.

* ლიუდოვიკ მე-XVI სახელწოდებაა პარიზის ხალხის
მიერ მინიჭებული.

უფრო შავათ გვეჩვენება მდგომარეობა აღმოსავლეთის ფრონტზე. შორეულ აღმოსავლეთში მხოლოდ (იაპონიაზე ჩვენ ცალკე გვეჩვენება საუბარი მომავალ წერილში) ორ ადგილას გრძელდება მოსკოვის საწინააღმდეგო ბრძოლა: მაღაზია და ჩინეთში; ამ ბრძოლაში ინგლისი და საფრანგეთია მარტო ჩაბმული. ჩრდილო ამერიკის მთავრობა დოემდე უფრო მაყურებლის როლს თამაშობდა და სრულიათ გასაგებია, თუ რისთვის.

ანტიკოლონიალური გაწყვობილება ამერიკის საზოგადოებრივი აზრისა იმდენათ ცოცხალია, რომ მთავრობა ომის გათავებისას იძულებული გახდა ფილიპინის კუნძულებზე ხელი აელო; ამავე გარემოებით აისხება ისიც; რომ გასული წლის 21 დეკემბერს ამერიკის მთავრობა არ დაერიდა მოსკოვთან კავშირს და ინგლისს-საფრანგეთის საწინააღმდეგო რეზოლუცია გაიყვანა O. N. U.-ში ახალშენებში კონტროლის შესახებ. რამდენათ ვაშინგტონის ანტიკოლონიალიზმი უანგაროა, ამაზე ჩვენ აქ არას ვიტყვით; მხოლოდ, რომ ასეთი გაწყვობილება გადამწყვეტ როლს თამაშობს ამერიკის შორეულ აღმოსავლეთის პოლიტიკაში, ეს უდავო ამბავია. საინტერესოა, თუ რას სწერდა ეხლახან ამავე საკითხზე ცნობილი ლიკმანი:

«შორეულ აღმოსავლეთში გაწყდა კავშირი ატლანტიკის ქვეყნებთან; მხოლოდ ამერიკას შეუძლია ამ კავშირის აღდგენა. თუ ის არ გამოექომაგება ძველ იმპერიების მემკვიდრეობა. ამერიკამ არ უნდა დაივიწყოს, რომ იგი ერთ დროს თვით აჯანყებულ კოლონიათ მოევლინა ქვეყნიერებას; ამერიკამ უნდა აწარმოვოს აზიის ქვეყნებში უშუალო პოლიტიკა; ცხადია მას შეცდომები ექნება, მაგრამ მას ეს შეცდომები უფრო იაფად დაუჯდება, თუ ის იმოქმედებს ევროპიელ მოკავშირთა გარეშე, ეინიდან თუ კიდევ შესაძლებელია გაწყვეტილი კავშირის აღდგენა, მხოლოდ ამ გზით...»

ვთიქრობთ, რომ აქ ყოველივე განმარტება ზედმეტია: იგი ავტორის აზრს დაჩრდილავს. ჩვენთვის გასაგებია, რომ ბ. ლიკმანს ამერიკის რეპუტაციისათვის მავნებლათ მიაჩნია შორეულ აღმოსავლეთში ინგლისს-საფრანგეთთან ხელი-ხელ გაყრილი ამერიკის გამოჩენა; მხოლოდ მას ავიწყდება, რომ დღეს დასავლეთის ყველა ქვეყნების ბედი გაერთიანებულია; ეს ქვეყნები ან ერთად დარჩებიან შორეულ აღმოსავლეთში, ან ერთადვე მათ იქიდან გამოაბრძანებენ; მესამე გადაწყვეტილება არ არსებობს.

სამთა შეხვედრებზე, რომელთაც ადგილი ექნება ამ დღე-ებში პარიზში და ლონდონში, შორეულ აღმოსავლეთის სა-

კითხი პირველ ადგილს დაიჭირს. მდგომარეობა მის დაუყონებლივ გადაწყვეტას მოითხოვს. ძნელია იმის თქმა, თუ რა გზას აირჩივს ამერიკა; არც ის ვიცით რა გაიმარჯვებს: ტრადიცია თუ რეალური პოლიტიკა; მხოლოდ ის კი ვიცით, რომ თუ ამერიკამ ქანაობის პოზიციიდან ხელი არ აიღო, აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ჩინეთის გზას გაყობა.

მარშალის გეგმას ორი წელიწადი შეუსრულდა; ამდენივე დრო დარჩა მის საბოლოო ლიკვიდაციამდე; დასახული მიზანი კი—დასავლეთ ევროპის ეკონომიკური და პოლიტიკური შეკვრა—ადგილიდან არ დაძრულა.

თითქოს რაღაც საბედისწერო ძალა უშლის ხელი ევროპის გაერთიანებას. სურათი დამალონებელია.

აი როგორ გვიხატავს ამ უკანასკნელს ერთი ნიჭიერი მეთვალყურე: ინგლისი ორ უმრავლესობათა შორის ქანაობს, ბელგია მარტენიშვილის შუა; იტალია პოლიტიკურ ფარმულის ძიებაშია, გერმანია კი დაკარგულ მთლიანობისო...

ამ საერთო ქანაობის ფერხულში ძალაუნებურათ ამერიკაც ებმევა ეს იმ დროს, როცა სასწრაფო და გარკვეული მოქმედებაა საჭირო, დასავლეთი ევროპა გაურკვევლობის ლაბირინტშია მოქცეული.

იზოლიასიონიზმი ამერიკაში სავსებით არ გამქრალა; რომა ტრადიციები ამ ახალგაზდა ხალხს არა აქვს; მხოლოდ რაც თავის მოკლე ისტორიაში შექმნა, იმას აღვილათ არ შორდება: იზოლიასიონიზმი დარჩა, მხოლოდ მან ფერი იცვალა და შექმნილ მდგომარეობას შეეგუა; ამერიკას კარგათ ესმის, რომ «ციგი ომი»-ც ამია და მისი წარმოება მის კისერზეა; მას ისიც გათვალისწინებული აქვს, რომ ძლიერი ევროპა გამარჯვების აუცილებელი პირობაა; ამიტომაც არ ერიდება ნიკითიერ მსხვერპლს, მაგრამ დლევანდელ დაშლილ ევროპასთან ორგანიულათ გადაბმა მას აზრად არ მოხველია და არც მოუვა. საფრანგეთის პრემიერის «ატლანტიკის საბჭოს» იდეა ამიტომაც ასე ცივათ მიიღო ამერიკის დიდმა პრესამ; მსგავსი «modus operandi—ნურას უკაცრავათო, ასეთი იყო მისი პასუხი. დასავლეთ ევროპას დღეს მარტო ხელის გამწყობი მეგობარი კი არ ეჭივრება, მისთვის აუცილებელია ნამდვილი მოკავშირე.

ევროპაში კარგათ არიან ამ ორ მცნებათა განსხვავებაში გარკვეულნი და ამიტომაც ევროპის ფრიად გავლენიან წრეებში ფეხს იდგამს ნეიტრალიტეტის შეუსაბამო იდეა...

გავათავოთ იმით, რითაც დავიწყეთ: ომი თუ ზავი. უკუკელია, რომ მომავალ პერსპექტივაში ომის აჩრდილი მოსჩანს; ომის აუცილებლობის აზრმა ამ უკანასკნელ დროს ამერიკაში დიდი პროგრესი გააქვთა; ხალხი უკვე შეეხია და თანდათანობით კიდევაც ურიგდება ამ აზრს; ეს კი დიდი ფსიქოლოგიური ფაქტორია; ანტიბოლშევიკურმა პროპაგანდამ თითქმის მიაღწია თავის დანიშნულებას და ამის მთავარი ხელის შემწყობი მოსკოვია.

მიუხედავათ ყოველივე ამისა ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ კატასტროფის წინაშე ვიდგეთ; ჩვენ არა გვგონია, რომ «ცივი ომის» პერიოდი მოთავდა და ეს არა იმიტომ, რომ მთელი ჩვენის შეგნებით ახალი ომი კაცობრიობისათვის საშინელ უბედურებათ მიგვაჩინია, არამედ იმიტომ, რომ მდგომარეობის ობიექტიურ დაფასებას ამ დასკვნამდე მიღყვართ; ომი დღესდღეობით არცერთ მოპირდაპირეს არ უნდა; სტალინის «პაციფიზმზე» ჩვენ უკვე გამოვთქვით ჩვენი აზრი; ვიმეორებთ, რომ რუსეთის დიქტატორი დიდათ გაბეჭული კაცია, მაგრამ ანგარიშიც კარგათ იცის: მისთვის ახალი ომი საშინელი რისკია, მისი მოგების მცირე შანსებით; ამასთან მერვე ათეული წელი მძიმე ტვირთია ახალი ავანტიურისათვის.

ამერიკა კი ომისათვის, მიუდგომელ დაფასებით, მიზეზებს არ ეძებს. პირიქით. «Privateer»-ის («მფრინავი ციხე»—ბალტიის ზღვაში დალუპული) ისტორია უმშერმეტყველესი ამის საბუთია. მოსკოვმა ამერიკის ულტიმატუმი უშედეგოთ დასტოვა. მართლადაც, რომ ბევრი რამ შეიცვალა ამ ქვეყნათ! «ძეელ კარგ დროს» ასეთი რამე წმინდა წყლის casus belli იყო. ეხლა კი, ომი მოულოდნელ თავმდასხმებით იწყება. წინეთ ასეთი აქტი ყაჩალობის სახელწოდებას ატარებდა, ამ უამათ ეს სამხედრო სტრატეგიის უკანასკნელი სიტყვაა. ყოველ შემთხვევაში იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ სტრატეგიის მიმდევარი ათასჯურ განომავს, ვიდრე ამ საბედისწერო ნაბიჯს გადადგამდეს.

მპ. ჰემიტევიძი.

၆၃၁၆၀ ၈၄၂၉၀ၬ ၂၁၁၂၁၃၄၉၈ၦ၇၀.

2. گ ج گ ۰.

თანამედროვე ეკონომიკურ ურთიერთობის უმთავრესი საშვალება და აუცილებელი იარაღი, ფული, ახლა იმდენათ დაავათ მყოფებულია, რომ იგი თითქმის ველაზ ემსახურება თავის დანიშნულებას.

զուսակ ար պահանջման գույքը առ սակառնութեան միան? Ի՞նչ պահանջման գույքը առ սակառնութեան միան? Ի՞նչ պահանջման գույքը առ սակառնութեան միան? Ի՞նչ պահանջման գույքը առ սակառնութեան միան?

არაფერი ამის შზგავსი. როცა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აუარებელი ფული დაგროვდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, — და ის იყო არა ქალალდის ფული, არამედ ოქრო, — ამან ჯერ თვით ამერიკის ალეპ-მიცემობას დამბლა დასცა და შემდეგ მთელ მსოფლიოში გაუგონარი ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია.

ამბობენ, ქალალდის ფულია ყოველგვარ ჭირის სათავე
და რამდენათ იმის რაოდენობა მატულობს, იმდენათ მეტი გა-
სჭირში ვარდებაო მთელი საზოგადოება. მართალია. მაგრამ,
განა მართალი არ არის ისიც, რომ—ბევრ სხვა ქვეყანას რომ
არ შევეხოთ—გერმანიამ, მაგალითად, ოქროს და ნედლ მასა-
ლას მოკლებულმა, ხუთი წლის განმავლობაში ქალალდის
ფულით აზარმოვა უსაშინესესი ღმი?

იქნება მართლაც დაკარგა მნიშვნელობა ძველმა თეორიამ, ფულის ოქროთი უზრუნველყოფისამ, და ეკონომიტურ ურთიერთობის მსახურისტიკათ ეპლალდის ფული სრულიად საკმარისია, ოლონდ «პლანით», გაზომილათ, უნდა იქმნეს იგი მოხმარებული?

ან, შეიძლება, სრულებითაც არ არის საჭირო ფული და იმის შეკველა ურთიერთ ანგარიშების დავთონებში ჩაწერით

შეიძლებათდეს? ბოლშევიკები დასაწყისში თითქოს ამ გზას დაადგენ, მაგრამ მალე უარყვეს იგი და, ამბობენ, ყველაზე უფრო ახლა ისინი უფროთხილდებიან ოქროს...

ნუ შევეხებით ფულის საკითხის რთულს და მხოლოდ სპეციალისტებისთვის მისაწმომ მწერერვალებს, გავიხსენთ იმის უბრალო, მაგრამ ძირითადი, საოუზდელები.

რა არის ფული? ფული არის საშვალება ანუ იარაღი სხვადასხვა ლირებულებათა ერთი მეორეში გაცელა-გამოცვლის, იგი საერთო საზომია ყოველგვარ ლირებულებათა გამოსახატავთ. ამისთვის საჭიროა, რომ ფული, უპირველეს ყოვლისა, თვითონ წარმოადგენდეს განსაზღვრულ ლირებულებას და, რამდენათ შეიძლება, მტკიცეს. მრავალ მოსაზრებათა გამო ფულათ, ანუ სხვადასხვა ლირებულებათა საერთო საზომათ, შემოლებულია ძვირფასი ლითონი, უმთავრესად ოქრო. მათი წინ სახელმწიფოთა უმრავლესობას ოქროს ფული ჰქონდა და ეს აადვილებდა მათ შორის ანგარიშების გასწორებას, მთელ მსოფლიოში.

ფულის ხმარებაში გამოშვება ხდება განსაზღვრულ ზომით და მის სამაგიეროთ სხვა რეალურ ღირებულების მიღებით; ასე რომ, ფულის დასაბამი, იმის საფუძველი, არის სხვა მისი შესაფერისი საქონლი ან სხვა სახის ღირებულება. ამიტომ ხმარებაში გამოშვებულ ფულს, მის ტრიალს საზოგადოებაში, პირდაპირი კავშირი აქვს საზოგადოების მიერ შეჯმნილ და ალებ-მიცემობაში არსებულ ღირებულებებთან: თუ მატულობის ხმარებაში გამოშვებულ ფულის რაოდენობა, უნდა მატულობდეს ქვეყნად საქონლის რაოდენობაც, რეალური ღირებულებანი. სანამ ასეთი წონასწორობა არსებობს, ფულის მდგომარეობა ურყყვია, ფული თავის დანიშნულებას სისწორით ემსახურება. იდეალი ისაა, რომ ფული მუდამ დამოუკიდებელი დარჩეს თავის ფუნქციებში—ყველა ღირებულებათ საერთო საზომათ—როგორც არის დამოუკიდებელი, მაგალითად, ზომა წონისა და ზომა სივრცის. ამისთვის, სხვათა შორის, შემოლებული იყო, რომ ფულის გამოშვები დაწყებულებანი, საემისიო ბანკები, სრულიად დამოუკიდებელი დაწესებულებები უნდა ყოფილიყვენ, თავისუფალნი ყოველგვარ გარეშე—თვით სახელმწიფო ხელისუფლების—გავლენისაგან.

მაგრამ ცხოვრების სინამდვილე ხშირად სცილდება იდეალს. სხვა უფრო წვრილმან მიზეზებს თავი რომ გავანებოთ, ომებმა და მათგან გამოწვეულ შედეგებმა საერთო ეკონომიკურ ურთიერთობის დარღვევასთან ერთად იუსტიციურ გამოაცალა ის საფუძველი, მის წონას სწორობას რომ იცავდა სხვა ლირებულებებთან დამკაიდებულებაში. დასაქმისში ეს ხდებოდა ნორმალურათ ანუ თეორიაში გათვალისწინებულ პირობების მიხედვით.

ასე, მაგალითად, ომის საჭიროება თხოულობდა აუარებელ ფულს, ხოლო არა სამაგირო ღირებულებათა შესაქმნელათ, არამედ ჯარის შესანახათ, სამხედრო იარაღების შესაძენათ, დაჭრილთა საექიმოთ და ლტოლვილთა მოსაცელელათ. მთავრობის ხელიდან გადიოდა და საზოგადოებაში კროვდებოდა აუარებელი მყიდველობითი საშვალება, რასაც სრულებით ალარ შეეფერებოდა საქონლის რაოდენობა: წინადან დამზადებული საქონელი ახლა მეტის ტემპით იხარჯებოდა, ხოლო ამავე დროს ახალის დამზადება კლებულობდა. წონასწორობა ირლევოდა.

ერთის მხრით, ფულის რაოდენობის ანუ მყიდველობითი საშვალებების მომატებამ და, მეორე მხრით, საქონლის რაოდენობის შემცირებამ ხელი შეუწყო საქონლის ფასების ზრდას და საზოგადოთ ცხოვრების გაძვირებას. ძნელია ზედმიწევნით გამოანგარიშება იმის, თუ რომელია ამ ორ მოვლენათაგან უფრო უწყობდა ხელს ცხოვრების გაძვირებას; ზოგიერთ მეცნიერებულონიმისტის გამოანგარიშებით, მაგალითად, თუ ლირებულებათა (ქონების) რაოდენობა შემცირდა, ვსოდეთ, 10 პროცენტით და იმავე დროს ფულის რაოდენობა გაიზარდა 100 პროცენტით, ცხოვრება უნდა გაძვირებულიყო 90 : 200 ან უფრო დაახლოებით 100 : 222 (პროფ. გ. კასცელი).

ცხოვრების გაძვირება,—და ამაში, აღნიშნულის გარდა, სხვა ფაქტორებიც თავის როლს თამაშობენ,—თავის მხრივ, იწვევს ფულის მეტ მოთხოვნილებას. ხოლო რამდენათ სახელმწიფოს ფუნქციები მეტია და მრავალნაირი, იმდენათ სწორედ სახელმწიფო საჭიროებს მეტ ფულს და მეტი ფული გამოაქვს იმას საზოგადოებაში. ამისთვის სახელმწიფო მიმართავს არა მარტო ფულის ახალ ემისიებს (ახალი ფულის გამოშვებას), არამედ საზოგადოების მიერ ძველად შენახულ ქონებასაც, ასე ვსოდეთ, საზოგადოების სათადარიგო კაპიტალს, ბანკებში, შემნახველ კასებში, ფასიან ქალალებში და შინ რომ ინახება. საშვალება ამ ქონების გამოსაწურავათ არის სესხი, სევადასხვა სახით და სხვადასხვა დანიშნულებისთვის სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობანი რომ მიმართავნ, ერთის მხრით, და გადასახადების მომატება მეორე მხრით.

ამნაირად, თუ უწინ დიდი ნაწილი ახლად გამოშვებულ ფულის წარმოებაში და აღებ-მიცემობაში მიღიოდა და ახალ ლირებულებათა შექმნას ხმარდებოდა. მეორე ნაწილი, უფრო მცირე, მაინც ხელუხლებელი რჩებოდა და ივი ერთვარ სათადარიგო კაპიტალს წარმოადგენდა; ამიტომ ფულის რაოდენობა ანუ, უკეთ რომ ვსოდეთ, მყიდველობითი საშვალებათა საერთო ჯამი საზოგადოებაში საქონელთან შედარებით ხშირად ნაკლებიც იყო. ეს გარემოება საწინააღმდეგო ეფექტს იწვევდა ხოლმე, ე. ი. ფასების დაკლებას ხელს უწყობდა. ახლა კი, პირიქით, ხმარებაში გამოშვებულ ფულის რაოდენობა

ბას ბანკებში და სხვაგან გადანახული საშვალებანიც რომ ემატება (ჩეკი, ვექსილი, სარგებლიანი ქაღალდები და სხვ.), საზოგადოება ზომაზე მეტად ივსება მყიდველობითი საშვალებებით. ეს ის მდგრადი რეალური ინფლაციას უწოდებენ (inflation), სიტყვა, ახლა რომ ყოველგან და ყველა ენაზე ხშირად გვეხმის ხოლმე.

დასაწყისის ინფლაცია, როგორც ვსთქვი, შედარებით ნორმალურ პირობებში მიმდინარეობს, ე. ი. ემყარება უკვე არსებულ მყიდველობითი საშვალებებს და ხმარებაში წესიერათ გამოშვებულ ახალ ფულს და ფულის წესისამებრ უზრუნველყოფილ ემისიებს. მაგრამ მალე, ცხოვრების გაძიორების გამო და არაჩვეულებრივ გარემოებათა გავლენით, მყიდველობითი საშვალებათა მოთხოვნილება თანდათან მატულობს, სახელმწიფოს ახალ ემისიების უზრუნველაყოფინამდებილი ლირებულებანი (უმთავრესად ოქრო) აღარ ყოვნის და იგი თავის (ზაზინის) თამასუქებს იძლევა ფულის გარანტიათ. აქედან იწყება უკვე ქაღალდის ფულის «ფაბრიკაცია». ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს საქმეს.

არამეტეთ მყიდველობითი ძალა ქაღალდის ფულის თანდათან კლებულობს, არამედ ბევრ შემთხვევაში ქაღალდის ფული არავითარ ლირებულებას არ წარმოადგენს და მხოლოდ სახელმწიფოს ძალდატანებით იღებენ ხოლმე იმას შინაურ აღებ-მიცემობაში; გარეშე ქვეყნებთან დამოკიდებულებაში კი ქაღალდის ფული ხომ სრულებით უვარებისია. ეს გარემოება აშინებს ქაღალდის ფულის პატრონებს და ისინი ცდილობენ ეს ფული თავიდან მოიცილონ, მის მაგიერ სხვა რამე ნამდვილ ლირებულების მატარებელი საქონელი შეიძინონ, ან უცხო ქვეყნის დევინები. ამის გამო ყოველგვარ საქონლის მოთხოვნილება ბაზარზე მატულობს, იგი ძვირდება, ბაზრიდან ჰქონდა და მასთან ერთად ჰქონდა ხმარებიდან კარგი ფულის ნიშნებიც, თუ სადმე დარჩა. სპეცულაციის, არალეგალურ აღებ-მიცემობის, ამინდი დეგბა და საზოგადოების უკმაყოფილება ამ ნიადაგზე მატულობს.

ამიტომ სახელმწიფო ენერგიულად იბრძეის ამ მოვლენების წინააღმდეგ. ბაზრთალია, როგორც დავინახეთ, უმთავრესად მანვაკ, სახელმწიფომ, შეუწყო ხელი საზოგადოებაში არსებულ ფულისა და სხვა ლირებულებათა შორის საჭირო წონასწორობის მოშლას, მაგრამ ახლა იგი, სამაგიეროთ, იმის ცდაშია, რომ იძულებითი ზომებით შეინახოს ფულის «ლირებულება», იმის კურსი: იგი აწესებს, როგორც საქონლის მტკიცე ფასებს, ისე ფულის კურსს, ხშირად სრულიად თვითნებურათ, აწესებს ჯამაგირის და ხელფასის დონეს, სპობს უცხოეთთან თავისუფალ აღებ-მიცემობას და თავისუფალ მისელა-მოსელას. ახდენს შინაურ აღებ-მიცემობის და წარმოების რეგლამენტაციას და სხვა მრავალ ასეთ ზომას მიმართავს ხოლმე. სახელმწიფოები, რომელნიც ამ გზას ბოლომ-

დის გაყვენ, სრულ კარჩაყეტილობამდის მიეიდენ, არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ყოველგვარ თავისუფლების შევიწროებამდის, დიქტატურამდის; მაგრამ ვერავითარმა უსასრიკეს ზომამ ვერ იხსნა მდგომარეობა.

ვერავინ და ვერსაღ ფულს ვერ უვლის და არსად ფული წებაყოფლობით არ ლალატობს თავის დანიშნულებას. ფიქციათ გადაქცეულიც, იგი, ლირებულების რაღაც ნასახს რომ წარმოადგენს, თუნდაც იძულებითი ზომების გამო, მაშინაც რჩება ფული საქონლის გაცვლა-გამოცვლის უმთავრეს ირალათ. ჩენ კველას გვახსოვს, რომ პირველი დიდი ომის შემდეგ მრავალ ქვეყანაში ისე დაეცა ფულის ლირებულება, რომ იგი, შეიძლება ითქვას, იმ ქალალდის ფასადაც არ ლირდა, რომელზეც იძექდებოდა (საბჭოთა კავშირი, გერმანია, პოლონეთი, ავსტრია და სხვ.), მაგრამ ხმარებაში მაინც დარჩა და ფული, როგორც იარაღი ლირებულებათა გაცვლა-გამოცვლის, ვერავინ მოსპო.

ზოლო, რადგან ქალალდის ფულის ლირებულება მინიმუმიმდის ჩამოსულიც მუდამ რყევაშია, იმის გამოყენება სხვა ლირებულებათა საზომათ ძალიან ძნელდება. ეს რყევა უფრო აბრკოლებს საშინაო და საგარეო ალებ-მიცემობას, ვინემ დაბალი კურსი ფულის ნიშნისა, რადგან ფულის დაბალ, მაგრამ დამდგარ კურსზე, კიდევ შეიძლება ანგარიშის გათვალისწინება, ხოლო კურსის მუდმივი რყევა შეუძლებლათ ხდის სამეცურნეო გეგმის სისწორით შედგენას, ფასების გათვალისწინებას, კრედიტს. ამ მოვლენით იჩაგრება მთელი საზოგადოება, ინგრევა მთელი ეკონომიკური ურთიერთობა; ხოლო უპირველეს ყოვლისა მაინც იჩაგრება კველა ის, ვინც განსახლვრული შემოსავალი აქვს—ჯამაგირი, სამუშაო ქირა, პენსია, რენტა. ამიტომ საზოგადოების ეს ნაწილი, მშრომელი ხალხი და საშუალო კლასები, კიდევ უფრო დაინტერესებული არიან ფულის კურსის სიმტკიცეში, ვინემ ზოგი კაპიტალისტი.

რა საშეალებას მიმართავენ ხოლმე მდგომარეობის გამოსახულებლათ? უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებაში დაგროვებულ ანუ, უკეთ რომ ესთქვათ, ხმარებაში არსებულ ყოველგვარ მყიდველობითი საშვალებათა (ფულის, ჩეკის, კრედიტის) შემცირებას და საქონლის ტრიალსა და ამ საშვალებათა შორის წინასწორობის ალდგენას. აქ იწყება საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობაში ის მოვლენა, რომელსაც დეფლიაციას (déflation) უწოდებენ ხოლმე.

დეფლიაციის გზა ძნელია და რთული, რადგან იგი მოითხოვს ცხოვრებაში უკვე ფეხმოკიდებულ ზოგიერთ მოვლენების და წესების გამოცვლას: ხარჯების შემოკლებას, კრედიტების შემცირებას, ბანკების მიერ სარგებლის მომატებას,

ფულის ემისიების შემცირებას, გადასახადების მომატებას და სხვა ამგვარ ზომებს. დეფლიაციის დროს მრავალი წარმოება იხურება, უმუშევრობა მატულობს, ფული ხელოვნურათ «ძვირდება» და თუმცა ბოლოს და ბოლოს მოსალოდნელია ამ გზით ეკონომიურ ურთიერთობის უფრო ნორმალურ პირობებში ჩადგომა და ეკონომიურ ცხოვრების სტაბილიზაცია, მაგრამ გარდამავალი ხანა იმდენათ მტკიცნეულია, რომ ბევრი ცნობილი ეკონომისტი წინააღმდეგია დეფლიაციის, როგორც ეკონომიურ ცხოვრების გამაჯანსალებელ ზომის (იხ. I. M. Keynes-ის ცნობილი შრომა «ფულის რეფორმა»).

მდგომარეობის გამოსასწორებლათ ხშირად სხვა ზომებს მიმართავენ ხოლმე; ეს ზომაა აღიარება ფაქტიურ მდგომარეობის ანუ არსებულ ფულის ნიშნის ლირებულების დაცემის და ამის მიხედვით საემისიო ბანკებში დაგროვილ ოქროს გადაფასება ხმარებაში არსებულ ქალალის ფულის რაოდენობის მიხედვით. ასე, თუ ეს ოქრო, ვსთქვათ, წონით ორი ტონი, ჩევნი ფულის ნიშნების ერთი მილიარდის უზრუნველყოფას წარმოადგენდა და ამ ფულის ერთეული (ფრანკი, ლირა, კრონა და სხვ.) მაშინ ორ მილიონამ ოქროს უდრიდა, ახლა თუ ხმარებაში, ვსთქვათ, ორი მილიარდის ქალალის ფულია, ამ ფულის ერთეულს უზრუნველსაყოფათ ერთი მილიონამი-ლა ოქრო მოუწევს. ეს ფაქტიური მდგომარეობა აღიარებული იქნება ოფიციალურათ და, ამნაირად, ჩევნი ფულის ერთეულის ლირებულება ორი მილიონამის მაგიერ, ფიქტიურათ, ამიერიდან ერთი მილიონამ ოქროს გამომხატველი იქნება, რეალურათ. ამ ზომას უწოდებენ ფულის ნიშნის დევალუაციას (dévaluation).

დევალუაცია აკანონებს ფაქტიურ მდგომარეობას და თუ მას სხვა ხელის შემწყობი პირობებიც შეხვდა, ფულის კურსის რყევა შეჩერდება, მისი სტაბილიზაცია მოხდება. სხვა ზომაზე უფრო ხშირად ფულის მდგომარეობის გამოსასწორებლათ დევალუაციას მიმართავენ ხოლმე და ძვირად არსებობს ქვეყნათ სახელმწიფო, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გარემოებათა გამო, ამ ზომისთვის რომ არ მიემართოს. ასე, პირველი დიდი ომის შემდეგ დევალუაციას მიმართეს ამერიკის შეერთებულ შტატებმაც (1934 წ.), ინგლისმაც (1931 წ. და 1949 წ.), საფრანგეთმაც (რამდენჯელმე, უკანას-

კნელად 1949 წ.) და სხვებმა. ამიტომ თითქმის ყოველგან ან-
 ლა ფულის ერთეული ნაკლებ ლირებულებას წარმოადგენს
 ოქროზე, იგი «დაპატარარავებულია», პირველი დიდი ომის წი-
 ნანდელ დროსთან შედარებით. ამავე დროს ყველა ქვეყნების
 ფული—ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა—იმდენათ და-
 ავათმყოფებულია, რომ ყველას უნდა საგარეო აღებ-მიცე-
 მობაში დოლარი მიიღოს, დოლარის მეტი ნდობა აქვს ყვე-
 ლას, ვიდრე თავის საკუთარ ფულის; ყველა დოლარის ძებ-
 ნაშია და მით დოლარის მდგომარეობა თანდათან უმჯო-
 ბესდება*).

ფულის განუწყვეტელმა ცვალებადობამ და რყევამ თი-
 თქმის ყველა ქვეყნებში გაართულა ეკონომიური ურთიერ-
 თობა, როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე საერთაშორისო
 დამკიდებულებაში. ფულის საკითხი, თავისთავად თითქოს
 მარტივი და ადვილათ გადასაწყვეტი, ერთხელ ნორმალურ
 კალაპოტიდან ამოვარდნილი, ათასგარ თეორიების და უთან-
 ხმოების საგნად გადაიქცა: ფულის ნიშნის ემისია და საემი-
 სიო ბანკის პოლიტიკა, ფულის უსრულეულყოფა ოქროთი თუ
 სხვა ლითონითაც, ქალალის ფული, ინფლიაცია და წესი
 იმის მოწესრიგების, დეფლიაცია, დევალუაცია, ფულის იძუ-
 ლებითი კურსი, კურსის სტაბილიზაცია, როდის და რანაირ
 პირობებში უნდა მოხდეს იგი და სხვა მრავალი საკითხი თავს
 იყრის ფულის საკითხის გარშემო; ხოლო, რადგან ყოველივე
 ეს საზოგადოების სხვადასხვა წრების სხვადასხვანაირ ინტე-
 რესებთან არის დაკავშირებული, ფულის საკითხის მოწესრი-
 გება რთულ ხასიათს იღებს: ხან ფულის ნაკლებობა აწუხებს
 საზოგადოებას და ხან იმის დაგროვებაც ართულებს საქმეს...
 ერთი სიტყვით,

«ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა!»

* საბჭოთა კავშირიც ამ საერთო მდგომარებასთან იყო
 დაემდის დაკავშირებული და საერთაშორისო ანგარიშებში
 იგიც დოლარს ემყარებოდა. ამ წლის 28 თებერვლის დეკრე-
 ტით, საბჭოთა ხელისუფლებამ დაადგინა საკუთარ მანეთის
 ოქროს ბაზაზე გადაყვანა და ამ ოქროს მანეთის საფუძველზე
 ანგარიშების გასწორება. ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია, ოქ-
 როს ფულის ხმარებაში შემოლებას, მაგრამ ამ სახით საბჭო-
 თა კავშირს სურს ჩამოაცილოს დოლარს ქვეყნების მთელი
 რიგი და ისინი «მანეთის ბლოკში» შეიყვანოს, ე. ი. მანეთი
 გახადოს მათი აღებ-მიცემობის საჭირო იარაღათ.

ამ ცოტა მოსაწყენ, მაგრამ საგნის ამოსაწურავათ მაინც არა საკმარის მიმოხილვიდან, ჩვენ შემდეგი დასკვნები უნდა გვაკეთოთ:

ა) ფული იყო და რჩება სხვადასხვა საქონლის და სხვადასხვა ლირებულებათა საერთო საზომათ და მათი ერთომეორეში გაცვლა-გამოცვლის უმთავრეს და საუკეთესო საშვალებათ. იგი არ დაკარგავს მის ასეთ დანიშნულებას, სანამ ახლანდელი ეკონომიკური ურთიერთობა არსებობს, ეს იგი, სანამ საქონელი ბაზრისთვის მწარდება და არა შინ მოსახმარათ, როგორც ეს ნატურალურ მეურნეობის ხანაში იყო. ფული საზოგადოებრივ ფუნქციებს ემსახურება, იგი საჭიროა და ამისთვის მას მისი აუცილებელი თვისებები არ უნდა დაეკარგოს: ხმარებაში გამოშვებულ ფულსა და საზოგადოებაში არსებულ საქონლის შორის წინასწორობა არ უნდა დაირღვეს.

ბ) ამ წინასწორობას არღვევს საზოგადოებაში ზომაზე ზედმეტა ფულის და საზოგადოთ მყიდველობითი საშვალებათა დაგროვება, როცა საზოგადოებაში გამოშვებული ფულის რაოდენობას არ შეეფერება არც საემისიო ბანკში მის უზრუნველსაყოფათ დადებული ოქრო და სხვა გვარი ლირებულებანი და არც საზოგადოებაში არსებულ საქონლის ტრიალის მოთხოვილება.

მართალია, არის მომენტები, როცა სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით, ქალალის ფულს აქვს დიდი დადებითი მნიშვნელობაც, —არა ერთი და ორი სახელმწიფო გადაუტჩინია იმას უდიდეს გასაჭიროდან, სახელმწიფო მისა და რევოლუციის ხანაში, და არ არსებობს ქვეყნად სახელმწიფო, არც დიდი და არც პატარა, რომ ქალალის ფულით არ ესარგებლოს სხვადასხვა გარემოების გამო, —მაგრამ იმის ხმარებაში გახანგრძლივება, როგორც აღვნიშნეთ, ანგრევს ეკონომიკურ ურთიერთობის ძირითად საფუძვლებს. ამ მდგომარეობაშია დღეს ქვეყნის გარემოების დიდი ნაწილი, ფულმა დაკარგა თავისი ნორმალური ბაზა და ეს გარემოება ართულებს ეკონომიკურ აღმშენებლობის საქმეს. როგორც ნაციონალურ, ისე ინტერნაციონალურ მასშტაბით.

გ) ამიტომ ფულის საქმე, თითქოს უბრალო ტექნიკურ საკითხიდან და ანგარიშის მარტივ სფეროდან გამოდის, და იგი მნიშვნელოვან სოციალურ საკითხის ხასიათს იღებს, პლიტიკურ პარტიების დაპირდაპირების საგნად ხდება, ხელისუფლების შენარჩუნების საკითხად, და ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს საქმეს.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა არ გამოკეთდება, სანამ ეკონომიკურ ურთიერთობის უმთავრესი საშვალება, ფული, დავათმყოფებულია. ამ ავათმყოფობის უმთავრესი ნიშნობლივი თვისება დღეს ყოველგან არის უმთავრესად ინფლიაცია; ამიტომ ყველა ამის შესახებ ლაპარაკობს, პოლიტიკოსებიც და ეკონომიკისტებიც, კონსერვატორებიც და ორტოდოქსალური სოციალისტებიც.

პირველი დიდი ომის შემდეგ, როცა ეკონომიკურ ქაოსიდან გამოსვლის საშვალებებს დაეძებდენ, ცნობილი ეკონომიკისტი პროფ. გუსტავ კასსელი სწერდა (მას მიანდო ნაციათა ლიგამ 1920 წელს მოხსენება ამ საკითხზე):

«თუ ჩეენ მსოფლიურვებთ მივმართოთ სერიოზულ ლონისძიებას მსოფლიოში ეკონომიკურ ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ჩეენ დავინახავთ, რა მხრივაც უნდა მივუდევთ ამ საკითხს, რომ უპირველესი ლონისძიება ამ საქმის «დასწეულებათ არის შეჩერება ინფლიაციის პროცესისა» (იხ. მისი შრომა «ფულის ფრთხოება მსოფლიოში»).

მეორე მხრით, იმავე დროს—ხოლო უმთავრესად სოციალისტების საყურადღებოთ—სწერდა ჭ. კაუპკი:

«ქალალდის ფულის ინფლიაცია ოდნავადაც არ არის «სოციალისტური ზომა, არამედ ეს არის დაბეგვრა მოსახლეობისა სახელმწიფოს და სპეკულიანტების სასარგებლოთ, მეტი არაფერი... ეს არის ბეგარა უფრო უსამართლო, მძიმე, დამანგრეველი და უაზრო, ვინემ სხვა რომელიმე ბეგარა, თუ გინდა თვით არაპირდაპირი, მაგრამ აწესიერად გაწერილი გადასახადიც... კაპიტალისტურ სახელმწიფოში იგი სტანჯავს არა მარტო მუშებს, არამედ ამრავალ კაპიტალისტსაც. სპეკულიანტები მდიდრდებიან, რანტიკ კი ლარიბდება... თუ პროლეტარიატმა აიღო ხელისუფლება და მას ქალალდის ფულის ინფლიაცია «დასვდა, მან იმას ბოლო უნდა მოულოს და რაც შეიძლება მალე» (იხ. მისი პროლეტარული რევოლიუცია და იმის პროგრამა).

ერთი სიტყვით, ეკონომიკურ არეფ-დარევას ბოლო არ მოეღება, სანამ არსებობს ინფლიაცია. ამას ლალადებს ყველა; ხოლო ცხოვრებაში ამ სენის თავიდან აცილება არც ისე ადგილი საქმე გამოდგა. ყოველ შემთხვევაში, ქალალდის ფულის ინფლიაციამ ძალიან იმატა, როგორც პირველ, ისე მეორე დიდი ომის შემდეგ, და სწორედ ამ დროს დემოკრატიის ფართო წრეების წარმომადგელები, კერძოთ სოციალისტები, მხევდენ ქვეყნის შმართველობის სათავეში. გარდა იმისა, რომ მათ დახვდა ომის მიერ განადუურებული სახალხო მეუ-

რნეობა, საზოგადოება მოითხოვდა იმათგან მრავალგვარ, ამდენხანს შეჩერებულ, საჭიროებათა დაკმაყოფილებას. ის უდიდეს სოციალური რეფორმები, რომლის მოწმენი ჩვენ ახლა ვართ მრავალ ქვეყნაში, უდიდეს ხარჯს მოითხოვდა, ხშირად საესებით აუტანელს ომიდან ახლად გამოსულ ქვეყნებისთვის. ისმის საკითხი: ინფლიაციით მეტი იზარალა ქვეყნაში, თუ მეტს იზარალებდა იგი, დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებათა გამო, ხალხის ნივთიერ და კულტურულ დაქვეითებიდან და ამ ნიადაგზე შესაძლებელ ხალხის უკმაყოფილებიდან? ეს უბრალო ტექნიკური საკითხი არ არის, იგი დიდი სოციალურ-პლიტიკური საკითხია და მაზეც პასუხის გაცემა წინასწარ გათვალისწინებულ რეცეპტით შეუძლებელია.

მეორე მხრით, ომის საშიშროება და ამ შიშით გამოწვეული უნდობლობა, კარგაკეტილობა, აშკარა და უჩინარი სამხედრო ხარჯები ომის გათვალის შემდეგაც გრძელდება; ყველა ქვეყნების ბიუჯეტი კიდევ დამძიმებულია ამ ხარჯებით.

დასასრულ, საჭიროა საზოგადოების ფართო წრეებშიც გაბატონება იმ შეხედულების, რომ ინფლიაცია და კერძოთ ქაღალდის ფულის გამრავლება, ხელს არ უწყობს ქვეყნის ნივთიერ გასაჭირიდან გამოსვლას, არამედ უფროდაუფრო აუარესებს იმათ ნივთიერ მდგომარეობას, ვინც განსაზღვრულ შემოსავალით ცხოვრობს, ჯამაგირით და სამუშაო ხელფასით. ვერასოდეს ამ უკანასკნელის მომატება—ინფლიაციის და ქაღალდის ფულის გამრავლების პირობებში—ვერ სწვდება ცხოვრების გაძვირებას და მათი მოწესრიგების და შეთანხმების საკითხი ნამდგილ მოჯადოებულ წრეთ არის გადაქცეული. მაგრამ საზოგადოება მაინც გათელილ გზას მიყენება უფრო ადვილათ: ფული ფეტიშია, რომლის მეტი რაოდენობა, თუნდაც ყოველგვარ ლირებულებას მოყლებული, კი არ აშინებს, არამედ იმედს აძლევს ადამიანს მდგომარეობის, თუნდაც დროებით, გაუმჯობესებისთვის.

(დ) ვერც მარტო შინაურ ზომებით ამოიწურება ფულის საკითხი. იმის გაუმჯობესებისთვის საჭიროა ქვეყნებს შორის მჟიდრო ურთიერთობის აღდგენა, მათ შორის ნაწარმოების ისე, როგორც მყიდველობითი საშვალებათა, გადანაწილება, მისელა-მოსვლის გაადვილება. ამიტომ, სხვათა შორის, შიშობის ამერიკის შეერთებული შტატები, —სადაც ახლაც ისე, როგორც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, გროვდება დიდი რაოდენობა მყიდველობითი საშვალებათა,—რომ იქაც არ დაირღვეს წონასწორობა ამ საშვალებათა და აღებ-მიუქმბისთვის საჭირო იმის რაოდენობის შორის; ამიტომაც ახლ ა

იქედან მოუწოდებენ მთელ ქვეყნის ერებას არა მხოლოდ გაი-
 ტანონ საქონელი ამერიკიდან, არამედ რაც შეიძლება მეტი
 საქონელი შემოიტანონ შეერთებულ შტატებში. ძვირათ თუ
 გაიგონებდით წინად ასეთ მოწოდებას! ეგრეთ წოდებული
 «მარშალის პლანი», უდიდეს სამსახურს რომ უწევს ახლა ევ-
 როპის ქვეყნებს, იმავე დროს ემსახურება თვით შეერთებულ
 შტატების კონფედერაციის მდგომარეობის სიჯანსაღეს; იგი არ
 არის მხოლოდ ქველმოქმედების საქმე, არამედ საქმეა კარგად
 მოფიქრებულ ანგარიშისაც. «ჩენენ არ შეგვიძლია ვიცხოვოთ
 სიმდიდრეში სხვებისგან განმარტოებულათ», სწერდა შეერთ.
 შტატების პრეზიდენტი კონგრესს ამ წლის მარტში, როცა
 იმისგან «მარშალის პლანის თვითის» ახალ კრედიტს მოით-
 ხოვდა.

ზოგი ფიქრობს, თითქოს ფულის საკითხის მოწესრიგება
 შეიძლებოდეს ზევიდან, საემისიო და საბანკო პოლიტიკით,
 აქროს ხელოვნურათ გადანაწილებით, ბიუროკრატიულ წე-
 სებით და კანცულარიებში შემუშავებულ დეკრეტებით. ბეჭ-
 რი ასეთი ზომა და მისი შესაფერი თეორია იყო სხვადასხვა
 დროს შემუშავებული, მაგრამ ყოველივე ეს უბრალო პალია-
 ტივები გამოდგა, უშედეგო ლონისძიებანი; ფულის ბუნება
 იგივე დარჩა, რაც იყო, და ძველი კლასიკური თეორიები შე-
 ურყოველი.

ჩენეც ეს უკანასკნელები უნდა გავიხსენოთ, თუ გვინდა
 დღმათ ჩავსწვდეთ მიზეზებს ფულის საკითხის არევ-დარევი-
 სას და მასთან დაკავშირებულ ჩენი დროის სხვადასხვა გვარ
 ხასიათის კონფიდენციალურ გასაჭიროს; ერთ წუთსაც არ უნდა გვა-
 ვიწყოდებოდეს, რომ ფული თავისთვად თითქმის არათერ
 შუაშია ამ არევ-დარევაში, რადგან იგი მხოლოდ იარაღია,
 მხოლოდ საშვალებაა, სხვადასხვა ლირებულებათა ურთიერ-
 თობის გამოსახატავათ, მათი საერთო საწომია და მეტი არა-
 ფერი. ფულის საკითხი აირია, როცა აირია წარმოების და
 ალებ-მიცემობის საქმე, როცა აირია კონფიდენციალური ურთიერ-
 თობა საზოგადოების შიგნით და საერთაშორისო დამოკიდე-
 ბულებაში. ამიტომ ფულის საკითხის მოწესრიგების ნამდვი-
 ლი წამალიც იქ უნდა ვეძიოთ, იმ ლირებულებათა შექმნის და
 განაწილების პროცესში, რომელსაც ფული უნდა წარმოად-
 გენდეს, მწარმოებლის და მომხმარებლის ურთიერთობის მო-
 წესრიგებაში და ხალხთა შორის ნორმალურ ურთიერთობის
 აღდგენაში.

ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის!

«ცოცხალ მონაწე უმჯობესია
 თავისუფლების ძებნაში მყვდარი».
 პტაგი.

I.

ქართველთა მისწრაფება დამოუკიდებელ სახელმწიფო
 ცოცხალის მოსაწყობათ, შეუწყვეტელი სურვილი ეროვნულ
 ოჯახის მყვიდრ ნიადაგზე დასაფუძნებლად, — უძველეს დრო
 იდან მომდინარეობს; წინა ჩნდის მოვლენები, რომ არ მოვიხ-
 სენიორ, საქმარისია მოვიყვანოთ მე-ნ საუკუნეში ერთი ორა-
 ტორის წარმოთქმული სიტყვები, — გუმბაზ მეფის მოკვლის
 გამო: «ჩემი სურვილი და ნატვრა ის არის კოლხიდების
 სამეფო ისევ ყოვლად ძლიერი იყოს, როგორც წინათ ყოფი-
 ლა, არავითარი შემწეობა არ ესჭიროებოდეს და სრულიად
 დამოუკიდებელი იყოს, როგორც მშვიდობიანობის ისე იმი-
 ანობის დროს, მაგრამ რაკი დროთა ბრუნვის გამო ან ბედის
 დაუდრომლობის დროს ისე დაუძლურდით და თვითონ ჩაუ-
 ვარდით ხელში სხვებს, გონიერება იქნება იმათ ხელში ვირ-
 ჩიოთ ყოფნა, ვინც უფრო ზომიერი და მართლის მოყვარული
 არიან და უფრო გატანა იციან თავიანთ მომხრეებისა რ...
 მაშინდელ ქვეყნის პოლიტიკურ ურთიერთობის პირობებში
 ეს სიტყვები ნათლად ააშკარავებს ზრუნვას, — ერის დასწეუ-
 ლებულ სხეულის გადარჩენისა და მისი სულიერი სიმტკიცის
 ამაღლებისთვის...

როცა ქართველნი ბერძენ-სპარსელთაგან შევიწროე-
 ბულნი არაბებთან ხელშეკრულებას სდებენ, მათ ძალიან კარ-
 გად უწყით, რომ მტერი შიგ შემოჭრილი არ შეასრულებს
 დადებულ პირობებს და ადგილობრივ ცხოვრებაში ჩარე-
 ვაწე ხელს ვერ აიღებს, მაგრამ ქართველთა მიხანია დროს
 მოგება, დროებით მაინც სულიერი კულტურის სარწმუნოე-
 ბის გადარჩენის გზით, ერის გადაგვარებისთვის ხელის შე-
 ზლა, საოცუპაციო ძალის მიერ შექმნილ მძიმე პირობების
 შემსუბუქება, შინაგარ ძალთა დაზოგვა და მომავალ ბრძო-
 ლისთვის მზადება. აკი ასეც მოხდა, ერის მოძრავი ძალები
 სამხრეთ-აღმოსავლეთისეკნ იხიზნებიან და იქიდან ხდება
 დროებით მაინც ქვეყნის გაერთიანება.

— საუკუნეთა მანძილზე ქვეყანა ჩშირად დამონებული
 ფიზიკურად, დაქსაქსული კუთხურად, კვლავ სულიერად წელ-
 ში გამართული, სუვერენულ უფლებით შემოსილი, კვინო-
 მიურად მოლონიერებული, გამთელებული, კულტურულად
 აყვავებული, იგი სხვა ერთა შორის თანასწორი უფლებით

სარგებლობს: თუ ხშირად ადგილობრივ ფეოდალთა განკერძოებულ, თავაშვებულ, დამანგრეველ მოქმედების გამო ერის სხეული იშლება,—საერთო ეროვნული შეგნების სიძლიერე, მთლიანობის დაცვის საჭიროებისთვის ბრძოლა ვითარდება; მრავალ საუკუნეთა მანძილზე ზოგი ქართველი მეფენი და ერის ლირსეული შვილი მედგრად უმკლავდებიან შინაურ და გარეშე დაბრკოლებებს. მათი დიპლომატია მძალი ყურადღებით თვალყურს ადევნებს მტრის ძალთა დასუსტებას, მის შინაურ თუ საგარეო გართულებას; ცნობილია ჯვაროსანთა ომის პერიოდში, მუსულმანურ ქვეყანათა გასაჭირი და ჩვენი ქვეყნის მათი დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება. მონებლოთა ოკუპაციის ქვეშ ბრძოლა გრძელდება, ქვეყნის აობრების თავიდან ასაცილებლათ, პირადათ მსხვერპლად ეწირება დიმიტრი თავდადებული. ტყვეთ ჩავარდნილ ბაგრატ დიდის ხერხი სამშობლოს საშველად და შაპის გავლენისგან თავის დასახწევათ, მოწმობენ მაშინდელ მართველთა თავგანწირვას და თავდადებას. სპარსეთ-ოსმალეთისგან საქართველოს გაყოფის ნიადაგზე შექმნილმა პირობებმა გაუქნელა ქართულ პოლიტიკას გზის გაკავევა, ორად გაგლეჯილი, მტერთაგან შევიწროებული ის ეძებს შექმნილ მდგომარეობიდან გამოსავალ საშუალებას. მაშინდელი მეფენი ერთს ემხრობიან—მეორეს დასამარცხებლად, ერთს ეხმარებიან— მეორეს დასასუსტებლად და ამ გზით ცდილობენ ყველა კუთხეთა გაერთიანებას, ერზე თავიანთ პოლიტიკურ გავლენის შენარჩუნებას, ასეთია მაგალითი სიმონ მეფის, რომელმაც ოსმალეთის ტყვეობაში დალია სული. თვით სპარსელთა თანხმობით ტახტზე ასული თეიმურაზ პირველი, —უსასტიკესი მებრძოლი ხდება სპარსელებისგან ქვეყნის გასანთავისუფლებლად... მისი მრავალ-ფეროვანი შეუწყვეტელი ბრძოლები სისხლის ასოებით იწყებოთ ისტორიაში.

სპარსელთაგან შევიწროებული იგი რუსეთისკენ იპყრობს თვალს, ეძებს გამოსავალს, აგზავნის ელჩებს. ის ასრულებს რუსეთის ხემწიფის თხოვნას და თავის შეილის-შეილს აგზავნის მოსკოვში. ღრმა გადის და იგი ახსენებს რუსეთის მეფეს შეასრულოს მანაც თავისი დაპირება და გაუწიოს დახმარება თეიმურაზს, ქვეყნის დასახსნელად. მაგრამ მისი მრავალჯერ განმეორებული თხოვნა დარჩა უყურადღებოთ. რუსეთს პქნდა თავისი მალული განხრახვები, მას სურათა თავის კარზე საქართველოს ტახტის მემკვიდრის ალტრიდით. მისი გამოყენება თავისი ახლად დასახულ აზიური პოლიტიკის გასატარებლად. თეიმურაზი თვით მიემგზავრება მოსკოვში, სადაც მას სკლება დიღებული შეხვედრა, საჩუქრები, მაგრამ არავითარი რეალური დახმარება. მოსკოვის ორპირობა ძველის ძველია... თეიმურაზი გულდაწყვეტილი ბრუნდება, ისევ ირანისკენ მიეშურება, იქ მას დამცირება სვდება და ტყვეობაში გარდაიცვლება...

ეხლა გამოქვეყნებულ მასალებიდან ირკვევა"), რომ ჩვენს ისტორიაში ჩრდილ მიყენებულ ერეკლე 1-ს ძარღვებშიც მაგრა სჩექფდა ქართული სისხლი. რუსეთის ქარზე ფუფუნებაში აღზრდილს თვალი სამშობლოსკენ ეჭირა. მის მდგომარეობაზე ფიქრობდა, მის დახმარებაზე ოცნებობდა... მოსკოვს სურდა მისი გამოყენება, გაამგზავრა საქართველოში, მაგრამ შუაგზიდან დააბრუნა, როცა გაიგო თეიმურაზის ირანში ყოფნა, შეიძლება მისი შეიღილიც მის გზას გაცყვეს და ხელიდან გაგვისხლტესო როცა ტახტის მემკვიდრემ შეიტყო, ზაპი კიდევ ერთხელ დარბევას უპირებდა საქართველოს, შესძლო მოსკოვიდან თავი დაეხსნა, —ჩამოვიდა საქართველოში და იქიდან ირანში გაემგზავრა შაპის დასაწყინარებლად. თიდან ებრძოლა მან შაპის დამამცირებელ მოთხოვნილებას, ვერ გაუძლო და გამაპმადიანებული საქართველოში გამეფდა. მართალია მან ვერ გაპყვა ბაგრატ დიდის მაგალითს, მაგრამ მისი განხრახვები, რომ ნაკარნახვევი იყო სამშობლოს სამსახურით ამას მოწმობს იერუსალიმის მაშინდელ პატრიიარქის დოსითეონის სიტყვები ერეკლე პირველის მიმართ: «გარემოებამ იძულებული გყო შენ რჯული გამოგეცვალა, —სწერს იგი, —მაგრამ ეს შენ ჩაიდინე არა ცუდი განხრახვით, არამედ განსჯით, ეცადე მიაღწიო განსჯით ნაკარნახვე მიზანს, რომელიც შენ მხედველობაში გქონდა, როცა სარწმუნოებას იცვლიდი. მტკიცებე—მტკიცედ გახსოვდეს ეს მიზანი, მას ემსახურე განუხრელად»... რამდენათ დამაფიქრებელია დღეს ეს სიტყვები?...

ქრისტიანულ ეკლესიის მეთაურიცი შენდობას უფლის და ლოცავს შეფეხს, რომელმაც ეროვნულ-პოლიტიკურ მოტივებით უკიდურეს ზომებს მიმართა.

— უკანასკნელ ეპოქის პოლიტიკურ სინამდვილეში გადამწყვეტ როლს თამაშობს სპარსეთ-ოსმალეთის ქიშმობის გამო ჩვენი ქვეყნის ომიანობის ასპარეზად გადაქცევა, შინაურ ძალთა დაქსაქვა, კუთხური შენ-ჩემობა და აქედან გამომდინარე ნაციონალური ფრონტისა და ერთ პიროვან საგარეო პოლიტიკის უქონლობა. ამ ხნის საგარეო პოლიტიკის საზრუნვავი საგანი ხდება ისეთი მოკავშირის ძებნა, რომლის სახელმწიფოდრივი ინტერესი ერთი-მეორეს არ ეპირის-პირება, და არ არის დაინტერესებული ურთიერთ სუვერენულ უფლების შელახვასა და მოსპობაში. ასეთ მოკავშირეთ რუსეთის ამორჩევა საქართველოს არ გაუმართლდა. ერთი ეძებდა მოკავშირების გულწრფელი, —მევობრული განხრახვებით, მეორე კი თავის მიზნების განსახორციელებელ იარაღს... და ერთხელ მევობრულად მოწვეულმა შეუდგა დამოუკიდებელ ცხოვრების მოსპობას, ის გამოდგა ორპირი და უსიტყვო...

^{*)} იხ. პროფ. ტატიშვილის «ქართველები მოსკოვში».

II.

თავისუფლების დასაბრუნებლად,—აჯანყებათა ტალღების აწეირთება და მის შემდეგ გავერანებულ კელზე დალო-ლობა, დაქანცულობა, სიჩუმე, ნაწილობრივ ძალთა დარა-ზმულობაშესცვალა—კულტურულ ძალთა დარაზმულობამ... იწყება ახალი ბრძოლის ტაქტიკა,—ეროვნული ენერგიის სამ-წერლო ასპარეზე გაშლით, ქართველი ერის კულტურულ ფრონტზე გადასხმით, ხალხისკენ პირის მიბრუნებით; მომ-დევნო თაობის მიერ პოლიტიკურ-ორგანიზაციულ მუშაო-ბის გაჩალებით, ერის დაბალი ფენების საზოგადო ასპარეზზე გამოყვანით და ასე ერის მომზადებული, ხედება ბეჭინიერ დღეს და კვლავ დამოუკიდებელ ცხოვრების მოწყობისთვის ირაზმება.

მისი საგარეო პოლიტიკა არის მთლიანი, ერთ პიროვანი, განსხვავებით წინა ეპოქისა, მას საბუთი არ მოუცია უცხო-თისთვის შინაგანი დაქსაქსვისა და დაშლილობისა. უფლება აიღო ხელში ხალხმა, ერის ყველა ნაწილმა, შესაძლებელი გახდა ერთი, მთლიანი ნაციონალური პოლიტიკის გამოყედა, რამაც გაუადილა პატარა ერს სამშეიღობოზე გამოსულიყო. ნორჩ სახელმწიფოს არსებობა მოუხდა მძიმე და რთულ პო-ლიტიკურ პირობებში. მოყვე მანძილზე მისი ცხოვრება,— გამძაფრებული ბრძოლაა დამოუკიდებლობის შესანარჩუნე-ბლად. მიუხედავათ ამისა მან შესძლო მშვიდობიანობის დამ-ყარება და სოციალურ რეფორმათა გატარება შიგნით, იური-დიული უფლების მოპოება გარეთ. ეს გამარჯვება მან მოი-პოვა ეროვნული დისკიპლინის შექმნით, შინაური შულლისა და მტრობის განდევნით, სასიცოცხლო ძალების ერთ ფრონტ-ზე დარაზმებით. ვინ შესძლებდა ამას თუ არა ის ძალა, რო-მელმაც ფართე მასები ორგანიზაციულად დარაზმა, პოლიტი-კურ ორგანოებში აღზარდა, საზოგადოებრივ ცხოვრებას შეა-ჩვია და სახელმწიფოს უმთავრეს ჯებირად დასახა. უკანას-კნელმაც ისტორიული გამოცდა მხნეთ ჩაბარა დაქარცეცხლ-ში მოპოებულ თავისუფლებას მტკიცეთ ჩაებლაუჭა, მისი ერთგული დამცველი გახდა. ესაა ისტორიული მოვლენა. გა-მოაშკარავება ერში დაგროვილ სულიერ სიმტკიცისა, თავი-

სუფლების სიყვარულისა. მიუხედავად მრავალი ცდისა მოსკოვმა ვერ შესძლო შიგნიდან მისი აფეთქება.

რომ ის მართალი იყვეს, თითქოს საქართველოს ხელისუფლება რამე ილიუზიებს ამყარებდა რუსეთის კომუნისტურ მთავრობაზე⁴⁾, უკანასკნელი უომრად შესძლებდა საქართველოში შემოსვლას და იქ გაბატონებას. ასეთი მაგალითები დღეს არა ერთია ჩვენს თვალშინ. როცა მოსკოვი იარალის გარეშე ბატონი და ბრძანებელი ხდება ადგილობრივ ერთა ცხოვრების. სწორედ იმიტომ, რომ საქართველოს მართველი მტკიცეთ იდგნენ დამოუკიდებლობის სადარავოზე,—მოსკოვმა ხერხს მიმართა. ჯერ იგი იცნო, შემდეგ თავს დაესხა, ამით მას სრულებით არ შეუნელებია ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი უნარი, რადგან პატარა ერმა შესძლო ექვსი კვირა გამკლავება და სისხლის გაღებით დაამტკიცა თავის შეურიგებლობა, სურვილი თავისუფლების შენარჩუნებისა.

ჩვენი ქვეყანა მსხვერპლი გახდა თავის გეოგრაფიულ მდგომარეობის, კავკასიის ერთა მთლიანობის უქონლობის და მაშინდელ საერთაშორისო პოლიტიკურ კითარების...

სხვანაირი ახსნა მხოლოდ მჩატე, ზერელე დაფასებაა იმ ისტორიულ სინამდვილის, რომლის გადამახინჯება მხოლოდ ასუსტებს როგორც აწყოს ისე მომავალ ეროვნულ ბრძოლის ფრონტს...

— რომელ პატარა ერს შესძლია არსებობა მეგობრის, მოკავშირის გარეშე, როცა დიდი სახელმწიფონიც ერთი-მეორესთან დაახლოებით დაილობენ თავის არსებობის უზრუნველყოფას. მაშინდელ ევროპის დაინტერესება შეუძლებელი იყო, ომიდან დაქანცული იგი ბოლშევიზმს სთვლიდა რუსეთის შინაურ ჭირათ და ე. წ. «სანიტარული სალტების» შემოვლებით დილობდა საკუთარ თავის დაზღვევას, დღეს რასაკეირველია ყველა ხედავს თუ სადამდე მიიყვანა კაცობრიობა ამ პოლიტიკამ... კიდევ მეტი, ჩვენი დამოუკიდებლობის არსებობით არ შეიძლება არ ყოფილიყო დაინტერესებული ისმალეთი, მაგრამ ამას წინ ალუდგა ეფროპის ერთი დიდი სახელმწიფოს მაშინდელი ხელისუფლება, რომელმაც ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა ასმალეთი, იგი იძულებული გახდა მოკავშირე ჩრდილოეთში ეძებნა... და წათამამებულმა მოს-

⁴⁾ იხ. ბ. ასათიანის წერილი «ივერია» № 2.

კოვის ჯარების შემოსევის დროს ზურგში მახვილი ჩაგვცა...
 იარალის შესაძნათ ევროპაში გამოგზავნილი კომისიაც ხელ-
 ტარიელი დაბრუნდა. ერი კვლავ ოკუპაციის ქვეშ მოქმედი...
 ის კვლავ დაირახმა თავისუფლების აღსადგენათ...

III.

წარსულ ისტორიულ ბრძოლათა მოგონება ნათლათ გვი-
 ჩვენებს, რომ ერის სამშეიღობონჯე გაყვანა შეიძლება მრავალ
 საშუალებათა გამოყენებით და რომ, განმათავისუფლებელი
 ბრძოლა შეუძლებელია ჩაყენებულ იქნას ერთ ჩარჩოში, გა-
 ზომილი ერთი მიმართულებით. დღევანდველ ერთა ცხოვრე-
 ბის ერთი-მეორისგან დამოკიდებულების, ტექნიკის განვითა-
 რებისა და გიგანტიურ ძალთა შებმის პროცესში, მრავალ-
 მხრივი გზები ჩნდება, რომლის ამორჩევა და მიზან-შეწონილი
 გამოყენება ერის მოძრავ ძალებზეა დამოკიდებული... სამო-
 ქმედო ტაქტიკა იცვლება პოლიტიკურ ვითარების მიხედვით,
 ის რაც აუცილებელი იყო გუშინ, დღეს შეიძლება მიუღებე-
 ლია, ხვალ კი დღევანდველი—უარსაყოფელი. ჩვენი ბრძოლა
 არაა მარტო ამა თუ იმ მართველობის სისტემის აღსადგენათ,
 რომელსაც თავისუფალი ერი თვით გამოსჭედავს თავის სურ-
 ვილისამებრ,—არამედ ერის სუვერენულ უფლებისთვის,—
 ყველა იმ საშუალებათა გამოყენებით, რომელიც ერის მო-
 მავალ განვითარებას ხელს შეუწყობს. რადგან რუსეთის ოკუ-
 პაციის ქვეშ იმყოფება ჩვენი ქვეყანა, საოკუპაციო ძალასთან
 ჩვენი მოთხოვნილება უკომპლიმისოა...

დღეს ის წარმოდგენილია წითელი ჯარის სახით, ხვალ
 შეიძლება შავით ან სამფეროვანი დროშით, რადგან ამ ქვეყა-
 ნის პოლიტიკურ ძალთა შორის, თუნდაც უცხოეთში, არ
 სჩანს სერიოზული მოძრაობის ჩანასახი, რომელიც მიზანთ
 ისახავს დამონებულ ერთა განთავისუფლებას, თითო-ოროლა
 ლიბერალურად მოაზროვნეთა განზრახვები ვერ შეცვლის
 რუსეთის საგარეო-საქანასიო პოლიტიკის მიმართებას, ის
 მომდინარეობს დიდი ხნიდან, დღევანდველმა დიქტატურამ
 ფრთხები შეასხა დიდი ხნით ნანატრ სურვილებს, არცერთი
 პოლიტიკური ხელისუფლება რუსეთის,—ნებაყოფლობით
 აღარ დასთმობს მონაპოვარს... მხოლოდ დაუდგრომელ, შე-
 უწყვეტელ ერთა განმათავისუფლებელ მოძრაობის გავლენით
 შეიძლება იგი იძულებული გახდეს დათმობის გზას დაადგეს...

ჩვენი ერის სასიცოცხლო ძალებში ეს ადვილად შეიგნეს, მათ ადგილობრივათ განიცადეს უცხო ბატონობის სუსზი და მსგავსად მამა-პაპათა მაგალითისა, შეურიგებლობის დროშა აღმართეს...

უკანასკნელ დღეებში უცხოეთის პრესაში მოხსენებული იყო ციმბირში გადაყრილ ქართველთა ცხოვრების შესახებ; რომელთაც დაჰყარებეს პირადი, კერძო ცხოვრება, თავდავიწყებით გადაეშვენ საერთო საქმის სამსახურში. სიმშილე ისინი არ ფიქრობენ, წვალება მათ არ აშინებს, ტანჯვას ისინი არ ერიდებიან, და ამ სულიერ საუნჯით დატვირთულნი ისინი ფიქრობენ მხოლოდ ერთ რამეზე, საკუთარ ქვეყნის ბეჭებს, მის მომავალ თავისუფლებაზე. მათი გონება მხოლოდ დანგრეულ, აღსრუბულ ოჯახის აღდგენის გარშემო ტრიალებს.

ამ აზრებით შეპყრობილნი ისინი ივიწყებენ შინაურ დავას, თბილი გრძნობით ისინი ერთი-მეორეს, ერთგულებას ეფიცებიან.

ბორკილების ელარუნში ისინი «დიდება»-ს სიტყვებს იმეორებენ და მით გულში სამშობლოს სიყვარულს იმარხავენ...

ტყვეობაში მყოფთა სულიერი სიკაუე მტერს მოხვენებას არ აძლევს, ცდილობს ჩაკლას მათში ყოველგვარი გამკლავების უნარი, ჩაქროს მათ გულში დანთებული თავისუფლების სიყვარულის ლამპარი, რისთვისაც მათ აყნებს უსაშინელეს პირობებში, აცლის მათ სულიერ და მატერიალურ არსებობის საშვალებებს. მაგრამ სულის უკანასკნელ აღმოხდამდე ისინი რჩებიან ბრძოლის უინით გამსჭვალულნი, გაუტეხელნი, გაკაუებულნი...

შელამებისას ნახევრად მშიერ-მწყურებელი იკრიბებიან და მშობლიურ სიმღერით ივიწყებენ მძიმე დარღებს...

რომანტიული გატაცების თბილი პანგებით სძგერს მათი გული, რომლის ცლერა ბრუნდება სამშობლოში დატვივებულ სახლ-კართა მიდამოებში და აღვივებს მჩაგვრელთა მიმართ შეუნელებელ გამძლეობის ცეცხლს.

ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის გრძელდება. თავისუფლებისთვის მებრძოლი გაიმარჯვებს.

პ. სარჯველამე.

საბაზოთა ტიტანის წარმოშობა.

უცელა ტიტანია, რომელიც კი არსებობდა ძველათ თუ ახლათ მსოფლიოში მუდამ მომდინარეობს ერთი და იმავე წყაროდან. ეს წყაროა დემოკრატია. რატომ? ფილოსოფოსი პლატონი იძლევა ამაზე შემდეგ პასუხს:

«ტიტანია არ გამოდის არც ერთი სხვა მართველობისა-გან გარდა დემოკრატიისა. უსაზღვრო თავისუფლება იძლევა უსაზღვრო მწარე მორჩილებას... გადამეტებული თავისუფ-ლება იძლევა გადამეტებულ მონობას პიროვნებაში და სა-ხელმწიფოში» *).

ამ დებულების მაგალითი მრავალია ისტორიაში, ხოლო მისი უკანასკნელი გამომსახველია საბჭოთა ტიტანია.

რუსეთის თებერვლის რევოლუცია 1917 წ., მონარქიის გაუქმება და დემოკრატიული რესპუბლიკის დაწესება იყო საესებით ლოდიკური დასკვნა რუსეთის ისტორიის შინაგანი მსელობის. მეფობა დაეცა ორი მიზნებით: ხალხის ჩაბმა გაუთავებელ მაში, ხალხშე ბატონობა მემამულების. აი ეს ორი საგარეო და საშინაო ტკივილები გახდა მიზეზი რევო-ლიუციის. გაიგო კი ეს ახლათ დაარსებულ დემოკრატიულ მართველობამ? მიიღო რაიმე ზომები ამ ორი სენის აღმოსა-ფხვრელათ? არც გაუგია, არც რაიმე ზომები მიუღია მის წი-ნააღმდეგ. კერძნების მთავრობას არავითარი რეფორმა არ მოუწდენია არც საშინაო, არც საგარეო ურთიერთობაში. ის დაყმაყოფილდა გაუთავებელი ლაპარაკით, მშერმეტყველო-ბით და დაპირებებით. რევოლუციის პირველ პერიოდში მთელი ხალხი, ქალაქის და სოფლის, იყო მომხრე დემოკრა-ტიული მთავრობის და მასზე ამყარებდა დიდ იმედებს. ამ იმედებით გაცრუებული ის იწყებს მისგან ჩამოშორებას და ახლათ აღორძინებული ბოლშვიკური ოპოზიციის მიმ-ხრობას.

ლენინის ჩამოსვლა საზღვარ-გარეთიდან და მისი პარ-ტიის ბრძოლა დემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ დარჩა საესებით ხელშეუხებელი მოენიდებისაგან. მათვის თავისუფლება იყო უსაზღვრო, ვისაც რა სურდა იმას აკეთებდა საშინაო პოლიტიკურ ასპარეზზე; დემოკრატიას დამცველი არ გამოაჩნდა, ხოლო დამანგრეველთ კი გზა გაეხსნა.

*) პლატონი. რესპუბლიკა გვ. 309, 312.

ამ რიგათ გაბატონებული დემოკრატია გადაიქცა ცარი-ელ სიტყვიერებათ, ერთი ადგილის მტკეპნელათ. უსაზღვრო თავისუფლება, არავითარი რეფორმა. ხალხი ტოვებს თებერვლის რეფორმულისა და ემხრობა იქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებას.

პლატონის სიტყვები გამართლდა, დემოკრატიამ მოგვცა ტირანია.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა დემოკრატია იძლეოდეს ტირანიას. მხოლოდ ზოგი დემოკრატია, უსაქმოდა ყმედი, იძლევა ასეთ შედევებს. ხოლო დემოკრატია საქმიანი, რეფორმატორი, ნებისყოფით აძლურვილი და გაგებული რჩება თავის აღავას. ამის ახალი მაგალითია საქართველოს დემოკრატია.

შეეიცარისის ცნობილი პუბლიცისტი უან მარტენი ჩამოვიდა საქართველოში და ძალიან გაუკვირდა აქ შენაბული წესრიგი და სიწყნარე, რასაც ასწერს თავის წიგნში^{*)}). მან ნახა შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი და ეკითხება ამ მდგომარეობის გარკვევას. ის უპასუხებს: «ვებრძვით ბოლშევიკებს პირველყოველისა ჩვენი ფართო სოციალური რეფორმებით. ჩვენთან არიან გლეხები და მუშები. პირველნი ჩვენთან არიან ჩვენი აგრარიული რეფორმების წყალობით, მიწების მათვის მიცემით. მუშები ჩვენთან არიან როგორც მათ მიერ არჩეულნი და მათი სურვილების ამსრულებელი^{**}”).

ერთისიტყვით, ქართველი დემოკრატია გამოდგა საქმიანი, ხალხური და ნაციონალური. იმავე დროს ის იღებს სასტიკ ზომებს წინააღმდეგ მოსკოვის აგენტებისა, რომელნიც მუშაობდენ მისი წყობის შიგნიდან აფეთქებისათვის. ყველა დემოკრატია სხვადასხვა ერების მოსკოვმა ააფეთქა შინაგანი გადატრიალებით, ერთად ერთი გამონაკლისია საქართველო, რომელიც მან დაიპყრო მიმით, გარედან თავსდასხმით. ჩვენს-ში იყო თავისუფლება ყველა პარტიების და პირველების, ვინც კი მუშაობდა თავისუფალი საქართველოს ფარგლები, არ იყო თავისუფლება იმათი, ვინც ამ ფარგლებს არ სცნობდა და მოსკოვის ბატონობაში გვერევებოდა.

ამნაირათ, რუსეთის საბჭოთა ტირანია დამყარდა დემოკრატიული მთავრობის უსუსურობით, ქვეყნის უპატრონობით და უმოქმედობით. ეს გამარჯვებული წყობილება იწყებს განხეთქილებას მის მომხრეთა შორის. ძველი ბოლშევი-

^{*)} Jean Martin. A Travers l'Europe. ჟუნევა 1948.

^{**) იქვე გვ. 109.}



კებიდან ყველა არ იწიარებდა ტირანის მუდმივობას. მისი რეჟიმის ნორმალურ რეჟიმთ გამოცხადებას. დაიწყო ბრძოლა მათ შორის. აი ეს ბრძოლა და მისი შედევები გამოკვლეული და აწერილია ერთ ინგლისურ წიგნში, რომელიც გამოვიდა გასულ წელს^{*}). აი აქედან ამოღებული ზოგი ცნობები:

მარტი 1937—38 წლებში იქნენ დახვრეტილნი ან გადასახლებულნი:

საკავშირო ცაკის შეიდი თავმჯდომარეთაგან—ხუთი;
სამბჭოთა კავშირის 11 მინისტრიდან—ცხრა;
ჩუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის 13 მინისტრიდან—ცხრა.
უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის 13 მინისტრიდან—რვა.
ბელორუსის საბჭოთა რესპუბლიკის 13 მინისტრიდან—
შვიდი.

პარტიის ცეკას 53 მდივნიდან—ორმოცდა სამი დასხ. დასხ.

ხოლო წინა წლებში, ლენინის გადაცვალების შემდეგ
დაიხტორიტა და მოისპო გაცილებით მეტი ძეველი ბოლშევიკები.

ასე რომ ძეველი კომუნისტებიდან დარჩენ ცოცხალი მხოლოდოდ რომ პირი: სტალინი და კოლანტაის ქალი.

ასეთი «წმენდის» შედეგია სტალინის პიროვნული გამარჯვება და საბჭოთა იმპერიის მეთაურათ გამოცხადება.

საბჭოთა ტირანია საესებით დაემსგავსა ყველა წასულ ტირანიას, ტირანთა პიროვნულ ბატონობას და მისი ბრძანების ქვეშევრდომათ მრავალ ერთა თავის მოყრას.

ძეველი ბოლშევიკები ამ გზას არ ადგენ, მათ არ დავიწყიბიათ მთელი ის პოლიტიკური მოძღვრება, რასაც დიდხანს ემსახურებოდენ და რის ფუძეა—ჯერ რევოლუცია, რევოლუციური მართველობა, შემდეგ დემოკრატია. მაგრამ ახალ რევოლუციონერებში გამოჩნდენ ახალი მოაზრენი, იოანე მრისხანის მაგალითის ალმაგრენელნი; მთელი ძალაუფლება დიდი ხნით, სამუდამოთ გადაეცეს მცირე ჯგუფს და მის მეთაურსო. რადგან ძეველი თაობიდან მხოლოდ ერთი პიროვნება იწიარებდა ამ აზროვნებას თავიდანვე, ის გახდა ამ მიმდინარეობის მთავარი მატარებელი. სტალინი შეიქნა უდიდეს ტირანი და მისი მართველობა ტირანთა მართველობა.

აი ასე, ამ გზით წარმოიშვა დღეს არსებული საბჭოთა ტირანია და იქნება ის სანამ რაიმე ძალა მას არ დაანგრევს.

ძეველი.

^{*}) Stalins Russia, სუზანე ლაბინის.

ნაციონალური საკითხი და ჩუსული პრესა.

ამერკულ რუსულ გაზეთ «ნოვოე რუსკოე სლოვო»-ში
 ამა წლის 16 მაისის ნომერში დაბეჭდილია ჩვენი მეცნიერის
 ი. გოლომანის წერილი: «ნაციონალური პრობლემა და ეკო-
 ნომიკა». მოგვადს შემოკლებით მთავარი ადგილები ამ წე-
 რილიდან.

ნაციონალური პრობლემა რუსეთში ჯერ კიდევ თავსა-
 მტკრევი საკითხია, რომლის წინაშე რუსის საზოგადოებრი-
 ვი აზრი ყოყმაშია.

თუ მომავალი რუსეთი წარმოდგენილია, როგორც ქვე-
 ყანა, განთავისუფლებული ბოლშევიკური ტირანისაგან და
 დემოკრატიული პრინციპებ შეთვისებული, ცხადია, ბედი
 რუსეთში მცხოვრებ ეროვნებათა არ შეიძლება სხვანაირად
 იქნეს გადაწყვეტილი, თუ არა დამოუკიდებლობის და სუვე-
 რენობის საფუძველზე.

რუსის ემიგრაცია თანდათანობით ითვისებს, რომ პრინ-
 ციპიპალურათ იცნოს ეროვნებათა უფლება, მაგრამ ჯერ კი-
 დევ შორს არის დაუშვას მისი საკითხით განხორციელება.

თუ რუსეთის საზოგადოებრივი აზრის წარმომადგენელ-
 ნი რუსეთის მთლიანობის შენარჩუნების მიზნით, დადები-
 თად ვერ გადასწყვეტენ ნაციონალურ საკითხს და მუდმივ
 მერყეობაში დარჩებიან, რუსეთში ეროვნებათა საკითხის მო-
 გვარება მშვიდობიანი გზით ძნელი გახდება და მდგომარეობა
 დარჩება იგივე რაც იყო ძველათ.

ცენტრალისტებისათვის უკრაინის, კავკასიის და ბალ-
 ტიის ქვეყნების ეკონომიური სარგებლობის საკითხი ყო-
 ველთვის იქნება პირველხარისხისავანი, მიუხედავათ იმისა,
 ეგუება თუ არა ამ ეროვნებათა თავისუფალ განვითარების
 ინტერესებს.

მომავალ რუსეთს და ნაციონალურ სახელმწიფოებს შო-
 ელით მრავალი ეკონომიური დაბრკოლებანი, მაგრამ არაა
 საჭირო ამის განვიადება და მისი დაკავშირება რუსეთის
 მთლიანობის და ეროვნებათა დამოუკიდებლობის საკითხთან.
 როცა კი საკითხი დადგება ქვეყნის დანგრეული მეურნეობის
 აღდგენის და განვითარების, რეკონსტრუქცია თითოეული
 ცალკე ეკონომიური ერთეულობის უფრო შესაძლებელია
 სწრაფად და მეტის წარმატებით, ვიდრე ასეთი უზარმაზარი,
 რთული და მრავალფეროვანი ქვეყნის, როგორიცაა რუსეთი.

შეტად გაზრდილი კაპიტალის ტური მეურნეობაც კი ნაწილ-დება ცალ-ცალკე დამოუკიდებელ წარმოებათ ან ტერიტორიალურათ, ან წარმოების ხასიათის მიხედვით, რაიცა უზრუნველყოფს მეტს მოქნილობას, ბაზართან და მომხმარებლის ინტერესან შეფარდებას. ამ სისტემის გამოყენება უფრო მეტად საჭიროა მომავალ რუსეთში; არსებული უზარმაზარი ტრესტების და კომბინატების დატოვება მთელი რუსეთის მაშტაბით აუცილებლათ მ'ჟაფორხებს მეურნეობას და წარმოების განვითარების ტემპს, მრავალ წლობით გაყინავს მის სტანდარტს ერთს დაბალ დონეზე. ნაციონალური დამოუკიდებლობა, პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტი აუცილებლათ გმორიწვევს პასუხისმგებლობის მაღალ გრძნობებს, რაიცა მიიყვანს ქვეყნის ეკონომიკურ რესურსების და ენერგიის მაქსიმალურ გამოყენებამდე.

მხოლოდ ბეკ პოლიტიკოსს შეუძლიან წარმოიდგინოს, რომ რუსეთის ყველა ეროვნებათა საერთო ტანჯვა ბოლშევიკურ რეემის უდელ ქვეშ საქმარისია გახდეს საფუძველათ რუსეთის მთლიანობის შესანახათ. წინააღმდეგ, თვითეული ეროვნება დარწმუნებულია, რომ ის არ ყოფილიყო მოსკოვის ხელისუფლების ქვეშ, მისი ბეჭი უფრო უკეთესად აეწყობოდა.

სრული დამოუკიდებლობა მისცემთ ერებს საშუალებას ნაციონალურ ცხოვრების ნორმალურ განვითარებისას, საერთაშორისო ერთობის იდეიისას და მეზობლებთან მშიდრო დაკავშირებისას.

თანასწორი და დამოუკიდებელი სახელმწიფონი, რუსეთი და ნაციონალური რესპუბლიკები ადვილათ გადასწყვეტენ საკითხს საგაჭრო ხელშეკრულებით საქონლის გაცემა-გამოცვლისას.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ განახლებული დემორატიული რუსეთი სიამოვნებით იქნება მიღებული მშვიდობიანობის მოყვარეთა საერთაშორისო ოჯახში და რომ მის პოლიტიკურ გეზჩეა დამოუკიდებული აღმოსავლეთის დაკავშირება დასაცლეთთან, დამყარება ნამდვილი «ერთი ქვეყნის». ამის ერთად ერთი გზაა ეროვნებათა ურთიერთ პარტიისცემა და უდაოთ ცნობა დიდი და პატარა ერების დამოუკიდებელ ნაციონალური ცხოვრების უფლების.



საქართველოს უკანასკნელი დელიცალი მარიამი
გარდაცვალების ასი წლის თავი.

ამა წლის ორ პრილს ქართული ტუბერკულოზის კომიტეტის თაოსნობით, ქართული კოლონიის და ქალთა კომიტეტის დახმარებით გამართულ იქმნა საჯარო სხდომა დედოფალი მარიამის გარდაცვალების ასი წლის აღსანიშნვათ, ბ. ლევან ზურაბიშვილის თავმჯდომარეობით. შესავალი სიტყვა წარმოთქა ნოე კორდანიამ, რაიცა მოგვყავს ქვემოთ ლევან ფალავაძ წაიკითხა ქალბატონ თამარა პაპავას შიერ დაწერილი და ვამოგვანილი მოხსენება მარიამ დედოფალზე, რამაც ღრმა შთაბეჭდილება დასტოაგ მსბენელებზე. ამ მოხსენებას ეცემდავთ შემოკლებით. პოეტ გ. ყიფიაძემა წაიკითხა თავისი ფრიად გრძნობიარე ლექსი მარიამზე. შემდეგ იქნა წარმოდგენილი «დედა და შეილი», სადაც ქალბ. ვალია კეთიამ გამოიჩინა შესანიშნავი არტისტიული ნიში და შეისრულა დედის როლი დიდი გრძნობებით და განტლით, რამაც ვამოწვია საერთო აღტაცება საზოგადოების. უმანკო იყო შეილის როლში ავტორები ბ. ლე. მაურიშვილი.

კრებას ხსნის კოლონიის თავმჯდომარე ლევან ზურაბი-
შვილი და აძლევს პირველ სიტყვას ნ. ეორდანიას. ის ამბობს:
ბატონებო, საქართველოს ახალი ისტორიის გმირი გახ-
და ერთი ქალი, საქართველოს უკანასკნელ მეფის მეუღლე
მარიამ დედოფალი. საქართველოს ძალათ გაქორბას ისტო-
რიის ფურცლებიდან, მისი დამოუკიდებლობის მოსპობას
და რუსეთის უბრალო პროვინციათ გადაჭცევას ის შეებრძო-
ლა პირადათ, თავისი საკუთარი ნებით და გადაწყვეტილებით,
და ჩაიდინა იშვიათი, ისტორიაში გაუგონარი აქტი: მან თა-
ვისი ხელით ჩასცა ხანჯალი რუსეთის ჯარების უფროს და იქ-
ვე მოკლა. ის მიერთა ჯარის ნაწილით დედოფლის სახალებში
და დაპირა მისი გადასახლება რუსეთში ძალით. ამ ძალმ-
რებას კაცები ყველა დანებდნ, არ დანებდა მხოლოდ ქალი
და შეებრძოლა მტრებს. ასეთი მაგალითი, ასეთი თავდაცებუ-
ლი ქალი ისტორიაშ არ იყიდს").

ରୀତ ଆଖେନ୍ଦ୍ରା ଏହି ସାଂଗ୍ରାହି ମନ୍ତ୍ରଲୟରେ? ଏମିତି ଆଖେନ୍ଦ୍ରା ଯେତାକୁ
ଜୀବନତ୍ୱୟଳ ଜୀବନ ଅନ୍ଧାବନଫଳାମଧ୍ୟ ତାଙ୍କ ଏତାର୍ଥେ ଉପ୍ରେସ୍‌ରେ ଆ-
ଶ୍ରୀମତୀ କୁଣ୍ଡଳୀରୁଣୀ ତଥାବେଦିକର୍ଷରେ, ଗାନ୍ଧିଜୀଙ୍କ ଯେତା ଜୀବନିର୍ମାଣରେ
ବନ୍ଦିତ ହୋଇଥାଏ ଏକାକିଶିଳ୍ପିର୍ଦ୍ଦର୍ଶକ ହେଉଥିଲା ଏହି ଏବଂ ଏହି

*) ୧୦ ଲାର୍କୀ ମୟମେଲେବଦିଆ ମନ୍ଦିରଙ୍ଗେରାତା କାରନାଥିତ, ମୁଁରି
ଏ ମନ୍ଦିରଙ୍ଗେରାଜ୍ ତାରୀଖିଲେ ହେଲାଇଛି।

დოდენ ერთნაირი ცხოვრების გზაზე. ქართველი ერი არ არის თანამედროვე ერი, ის ცეკვის-ძველია, რომელიც გადაურჩა ისტორიის ქარტების; მისი თანამომბენი გაქრენ. დარჩა მხოლოდ ის და მასთან ერთად გამექალთა თვისებები.

ამ თვისებათა შორის მთავარია ქალის მდგომარეობა საზოგადოებაში.

ყველა თანამედროვე ერი მსოფლიოს ყოფს ორ სქესათ: დედობითი და მამრობითი. ხლოლ რუსებმა ამას მიუმატეს შუათანა სქესი, სრედნი როდ. ქართულ ენაში არაფერი ამის მსგავსი არ მოიპოვება. აქ ყველა მოვლენა, ყველა სულდგმული თუ არა სულდგმული ერთიდაიმავა ძირისაა, ერთიდაიგივე მოვლენაა, არავითარი გაყოფა სქესის მიხედვით არ არის. ქალს და კაცს ქართული ენა იხსენიებს ერთიდაიმავა სიტყვით: ორივე არის ის. ყველა დანარჩენი ენა ხმარობს ორ სიტყვას მათ გასარჩევათ: ონ, ანა, ილ, ელ, და სხ. თვით ქართული სიტყვის ცვლილება ხდება არა თანამედროულათ, არამედ ძველებურათ. რაც ქართულათ ერთი სიტყვით ითქმება, ფრანგულათ, მაგალითად, ითქმება სამი სიტყვით: ჟეირნობ, ფრანგულათ—ეკ მე პრომენ და ასე მთელ თანამედროვ ლიგვისტიკაში. ჩვენი ენა ენათესავება ჰიტიტებს (ხეთულებს), სუმერულებს და სხვა ანტიკურ ერებს. ყველა ამ ენაში სიტყვის ძირი ურყევია, მას ემატება მხოლოდ ერთი-ორი ასო და მით გამოითქმება ახალი აზრი. მაგ. სუმერულათ—გადასდა არის ტალ, გადაიხადა ინტალ, ემატება ორი ასო. ერთი მსწავლულის გამოკვლევით მცირე აზიის ერების ენა ენათესავება კავკასიურ ენას, მაგალ. ყოფილი ერის ჰურიტების ენა გავს ქართულ ენას (*). ამ ძეველ ერებში ქალის მდგომარეობა და როლი იყო გაცილებით უფრო მაღალი და ფართო ვიზებ მერმინდელ ერებში. კონტენაუზა სწერს: «მესოპატამიაში ქალი უძველეს დროში თამაშობს პოლიტიკურ როლს. ერთი ქალი აარსებს მთელ დინასტიას კიოშის ქვეყანაში; სუმერულებში ქალი არის მონაწილე სხვადასხვა წერილობითი დოკუმენტებში. ის პირადათ იდებს გადასახადებს და ამტკიცებს დოკუმენტებს. შემდეგ ეპოქაში ქალი თამაშობს პირველ როლს» (იხ. იქიდანვე).

ძეველ საბერძნეთში ქალის გაღლენა დიდათ იზრდება. არის ქალი, როგორც მაგალ. პიტოდორის ტრაილ, რომელიც ძალით იჩიმებს მთელ სამეფოს. ქალი ერევა ყველაფერში (**).

ასირიელების და ჰიტიტების კანონით არის ოჯახში დაქორწინება: ერთია, როცა ცოლი ცხოვრობს ქმარის ოჯახში და მეორე როცა ქალი ცხოვრობს თავისავე ოჯახში. სუმერულების ჩრდინით, ისინი არიან ქალის შთამომავალნი, ხოლო კაცს სრულიად არ იხსენიებენ. ქალს შეუძლია ქონდეს

*) იხ. Contenau: La Civilisation des Hittites.

**) იხ. La Grece, par Röderhoen. გვ. 579—580.

უმაღლესი თანამდებობა სახელმწიფოში. მეფეთა შორის ზავის ჩამოგდება, ხელშეკრულებათა დადება ხდებოდა თანხმობით. არა მარტო მეფე-კაცის, არამედ, აგრეთვე მისი მეუღლის, ორივე ასეამდენ თავის ბეჭედს.

ოდისეიაში მოხსნებულია ამბავი. ულის ურჩევს მეფის შვილი ნუზიკო წავიდეს სასახლეში დახმარების სათხოვნელათ. მაგრამ ეს უნდა სთხოვოს ჩიქით არა მის მამას—მეფეს, არამედ მის დედას მეფის ცოლს. იქვე აწერილია სასახლის მცხოვრებთა ურთიერთობა: ცოლი ცხოვრობს არა ქმარის ოთახებში ან ბინაში, არამედ ცალკე საკუთარ ბინაში, ხოლო ქმარი მეორე ბინაში. მათი ერთმანეთთან შეხვედრა ხდება ორივეს თანხმობით.

ამ ამბავმა მომავინა ჩვენებული ზენ-ჩვეულება. არასოდეს არ მინახავს ქმარი და ცოლი წმინდა არა თუ ერთ ლოგინში, როგორც ეს ევროპაშია, არამედ არც ერთ ოთახში; მათ უკველათ სხვადასხვა ოთახში სძინავთ.

დაქორწინება ქალის და კაცის ხდებოდა უმთავრეს შემთხვევაში ერთიმეორის თანხმობით. არის ნახული სამისო არქეოლოგიური დოკუმენტები. მამა ან დედა თავის ქონებას უნაწილებდა თავის შეილებს—ქალს და ვაჟს—თანასწორათ *).

ერთისიტყვით, რაღა გავაგრძელო, ანტიურ საზოგადოებაში, რომლის წევრი იყო ქართველობა, ქალი და კაცი თანასწორი არიან, ხშირათ ქალი კაცზე მეტ როლს თვალისწინებულია.

ქალის ახეთი მაღალი მდგომარეობა დასაბუთებული აქვს ფილოსოფოს პლატონს შემდეგაირათ:

“არ არის არც ერთი სამსახური ქალაქის მართვაში რაიცა ეკუთვნოდეს ქალს როგორც ქალს, კაცს როგორც კაცს. პირ-იქით ბუნებრივი ნიჭიერება არ სქეს შორის განაწილებულია თანასწორო. სრულიად ბუნებრივია, რომ კაცი ისე როგორც ქალი მონაწილეობდეს ყოველნაირ საქმეში, თუნდაც ქალი იყოს ფიზიკურათ უფრო სუსტი, ვინემ კაცი. თვითეულს აქვს თავისი ბუნება, თავისი ფუნქცია. კაცი აკეთებს შვილს, ქალი მას ბადებს. ყველა სხვა სფეროში ისინი ერთი, თანასწორი არიან” **).

აი ეს უძველესი ერების ქალთა თვისება დღეს რამოდენიმეთ შეჩრა მხოლოდ ქართველ ქალს.

ქლების უკან დახვევა და ამ თვისებების გაქრობა იწყება ახალ დროში, ქრისტიანობის შემდეგ. ამის მთავარი მიზეზია ერთი: ქრისტიანობა, ისე როგორც მუსულმანობა და ყორდნო მოსეს ძველ ალქმას, სამაც ქალის როლი მეტათ დამცირებულია, კიდევ მეტი, დალაპვრულია. მოსემ წამოიყენა რა ეგვიპტის ტყვეობისაგან ებრაელები, გზაში გამოიარა საშინელი დაბრკოლებანი, გაუთავებელი თავისდასხმა, მრავალი

*) Iran Antique, par Clement Huart.

**) Platon. Oeuvres Complètes. t. IV.

ომიანობა და ამ გარემოებამ მას შეაძლა ადამიანი, კაცობრიობა. ამიტომ როცა ის დაბადების პირველ წიგნში ასწერს ადამიანის გაჩენას ქვეყნათ, ამ დიდ მოვლენას აცხადებს ეშმაკეულათ. ის ამბობს: ღმერთმა გააჩინა ადამი და ევა და მოათავსა სამოთხეში, სადაც თავს ირჩენდენ უმუშიერათ, ბუნების ნაყოფით. ერთ დღეს მივიდა ეშმაკი გველთან და უთხრა: წადი და ურჩიე ევას დაწვეს ის მის ქმართან ადამთან. გველმა შეასრულა ეს რჩევა. ევა დაწვა ქმართან, დაორსულდა და დაბადა შეილი, ვაკი. ღმერთი განრისხდა და გამოყარა ისინი სამოთხიდან.

ამნაირათ, ადამიანის გაჩენა, ქალის მიერ მისი დაბადება ეშმაკეულია, ლეთის მიერ დაწველილია; ქალი ეშმაკის მოციქულია. აი სათავე ქალის მნიშვნელობის დავარდნის, მისი დიდ თვისებათ დაკარგვის. კაცს მისი ძველებური პატივის-ცემა აღარ შერჩა.

საქართველოც გაქრისტიანდა, მაგრამ ეს მოძღვრება ვერ გახდა მის მოძღვრებათ. ის რამოდენიმეთ კითხვე ირჩენს ძველ ადათ-ჩვეულებებს. ქალი ვერ კარგავს ძველებურ დიდ ლირსებებს. ამის მაგალითია ერთი ჩვეულება: ყოველგან როცა ქალი მოლოგინდება, მას ააყენებენ ლოგინიდან ერთ კვირაში, ათ დღეში მაინც. საქართველოში კი მოლოგინებული ქალი ისვენებს ორმოც დღეს; მას ემსახურებიან, მეზობლებიც კი მოდიან და ესმარებიან. ეს ორმოცი დღის მოსვენება ერთად-ერთი მოვლენაა მხოლოდ ჩვენსში. არის ერთი პატარა გამონაკლისი. მთის ქართველობაში მოსალოგინებულ ქალს გააძევებენ სადგომი სახლიდან, შეაგდებენ ეზოში მოლობილ პატარა სადგომში, სადაც ის რჩება მარტო და ლოგინდება მარტო. აი ეს არის ნამდვილი გამოხატულება მოსეს მოთხოვბის. საიდან გაჩინდა ასეთი ჩვეულება ფშვე-ხევსურეთა შორის არავინ იცის.

ამნაირათ, ქართველ ერმა ქრისტიანობა მიიღო, მაგრამ არ მიიღო მოსეს ანტიკუმანიური მოძღვრება. ის დარჩა ძველის-ძველ ნიადაგზე.

აი ამ ერის შეილია მარიამ დედოფალი. მან თავისი მოქმედებით გამოხატა ქალის როლი ძველ საქართველოში, რაიცა შენახულ იქნა დღევანდლამდე. მარიამი იყო მატარებელი ანტიური კულტურის და სულისკვეთების.

დაბოლოს ლ. ფალავა კითხულობს ქალბ. თამ. პაპავას მიერ დაწერილ მოხსენებას მარიამ დედოფალზე.

ამ 100 წლის წინათ, 30 მარტს, დღის 10 საათზედ მოსკოვში მიიცვალა გადასახლებაში მყოფი უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი მარიამი.

სამშობლოში თუ გადასვეწილებაში მყოფი ყოველი ქართველი მოწიწებით, სასოებით მოიდრეს თავს ამ წამებული დედოფლის ხსოვნის წინაშე და მთრთოლვალე ხელით გადა-

ფურცლავს საქართველოს სამეცნ მატიანეს უკანასკნელ ფურცლებს. დიდი დრამატიზმითა ეს ფურცლები დატვირთული და ამ დრამატიზმს უფრო აღრმავებს ის გზა ჩვენი უკანასკნელი დედოფლისა, რაიცა მან განდევნაში გაატარა მრავალ წელთა მანძილზე, მხოლოდ იმიტომ რომ ქართველი ერის და დედოფლის ოირსება მტერს არ შეალახვინა.

ამით მან ერთხელ კიდევ გაამარტა ის დიდი საპატიო როლი, რომელიც ქართველ ქალს ისტორიაში დაკაისრა.

უკანასკნელმა დედოფლმა საქართველოს სადარაჯოზე მდგომა ერის სუვერენობა და ღირსება, ძლიერს და ვერაგ მტერს არ დაუთმო, სისხლისაგან დაიცალა, მაგრამ ქვეყანას და მთელ საქართველოს ნძლუსი და ღირსება შეუნახა. დამცუმს მამა პაპურათ ხანჯლით გული გაუგმირა. ის ეწამა და მოკვდა.

ამ ასი წლის შემდეგ პატარა გვირგვინი მაინც მიუძღვნათ მის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს უკანასკნელი დედოფლის გზა თავიდანევე ეკლიანი გამოდგა და თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მხოლოდ ამ ეკლიან ბილიკებზე გაატარა.

გარიამშა 69 წლის მანძილზე ატარა სახელი დედოფლისა, ნამდვილად მხოლოდ $2\frac{1}{2}$ წელი თუ იდედოფლა.

მეფე ერეკლემ დასტო რუსეთის მეფესთან ხელშეკრულობა დახმატების და პროტექციის საქართველოს სამეცნოს. მისი თავისუფლების და დამოუკიდებლობის. ის მიიცალა 1798 წელს, ტახტზე ავიდა მისი შეილი გიორგი, მაგრამ ამ ავადმყოფ და დასხეულებულ მეფეს დიდხანს არ უცოცხლია; ის გარდაიცვალა 1800 წელს. ტახტზე უნდა ასულიყო მისი მემკვიდრე ვაკიშევილი. და აქ იწყება დრამატიული ამბები, რომლის მთავარი გმირია მარიმ დედოფლა...

პეტერბურგის საიდუმლო ინსტრუქციის თანახმათ ის ჯარები, რომელიც მეფეს გარეშე მტრის წინააღმდეგ უნდა მიშველებოდენ და არ მიეშველენ. ეხლა მთლიანათ შემოეყვანა რუსებს მეფის გარდაცვალებისათვალისწილებრივი გამოსახულის მიერთოთ. ამ ჯარებს განაგებდა ლაზარევი და გაბედულათ აცხადებდა საქართველოს ტახტზე არავის აუშვებდა. ამ დროს პეტერბურგში ალექსანდრე პირველმა 12 სექტემბერს ახალი ვრცელი მანიფესტი გამოაქვეყნა, რომლითაც საქართველო რუსეთის პროვინციათ აღიარა. და ქართველ ერს მფარველობას დაპირდა. მან კრონინგს და ლაზარევს მეტი ნიღბა გამოუცხადა. საქართველოს სამეცნოს ბეჭი საუკუნოდ გადაწყვეტილათ აღიარანთლო დედოფლალ მარიამს საგანგებო რესკრიპტით აუწყა, ყოველივე ეს ხდება ქვეყნის და ბაგრატიონების საკეთილდღეოთო. ალექსანდრე პირველმა ამ წერილს მარიამისადმი თან გააყოლა საიდუმლო ინსტრუქცია, რათა კრონინგს და ლაზარევს ეხლავ სათანადო ზომები მიეღო დედოფლალ მარიამის,

დედოფალ დარეჯანის და ბატონიშვილების რუსეთში გადა-
სასახლებლათ, ყოველგვარ ქონების წარმევით და ჩამორ-
თმევით. ეს შეაკვრული გეგმა ბაგრატიონთა ქონებრივი განი-
არალებისა, იმავე მტკიცე ხელს უნდა ჩაეტარებინა. ეს საქმეც
იმავე ლენინალ ლაზარევს მიენდო. რაკი პეტერბურგმა ეს
გეგმა მოიწონა, ლაზარევმა სასტიკი ეკონომიური დევნა
დაუწყო ბაგრატიონთ. ყველაზე უწინ კი დედოფალი მარი-
ამი ამოილო მიზანში და უმაგალითო შევიწროება მია-
ყენა (მან არამც თუ მარტო მამულები და სხვა ჩამოართვა,
უბრალო წისქილიც კი არ დაუტოვა). დედოფალს თავისი
შესაფერი ღირსება ჩამოაცილა და მისი სიღატაჟე და უმწეო-
ბა ქართველთა თვის ცხადყო. ლაზარევმა ესეც არ აკმარა.
ბამბუს თათრობა, რომლებიც მის მამულზე ცხოვრობდენ,
იმდენათ აუჯანყა, რომ მისი შეილი კინალამ ცეცხლში ჩააჭ-
დებინა. ამას გარდა მარიამის მამას სამოურაოს ართმევს და
სამსახურს გარეთ სტოვებს: «ჩვენ ეს არავისთვის არ გვითხო-
ვია», სწერს დედოფალი, «მაგრამ თქვენ ჩემ შეილთ ორასი
მანეთი დაუნიშნეთ და ხუთასი მე ჯამაგირათო. დღემდე რა-
ღაც ბარათებს გვაძლევს ლაზარევი მაგრამ ფული კი არავი-
სათვის არ მიუტიაო. ჩვენ იმას ვთხოვთ წარმეული ქონება
დაგიბრუნდეს და ჯამაგირი არ გვესაშიროება».

ხალხში ყოველგვარი უქმაყოფილების ამოსაფხვრელათ,
სწერს ლაზარევი პეტერბურგს, ერთათ ერთი სწორე გზაა სა-
ქართველოს დასამშევიდებლათ ბაგრატიონთა გვარის მთლია-
ნად ჩრდილოეთში გადასახლება. ვიდრე ესენი აქ იქნებიან
არეულობას ბოლო არ მოელებათ. ამ უხეშ პოლიტიკის შე-
დეგი ის იყო. რომ ლაზარევმა და კრონინგმა სულ მაღე მთე-
ლი ქართველი ერი შეადულეს და რუსეთის წინააღმდეგ და-
რაზმა.

ბაგრატიონთა გაერთიანებული ფრონტი ჩაუდგა სათა-
ვეში 1802 წლის ამბოხებას. დარეჯან და მარიამ დედოფალი
გახდენ ამ მოძრაობის სულის ჩამდგმელი. ლაზარევი ამაზე
პეტერბურგს სწერდა, რომ «თვით მარიამ დედოფალი მათ-
თანა (ესე იგი შეთქმულებთან), და რუსეთის ერთგულთ ყო-
ველგვარად სდევნისონ». «თავადა-აზნაურთავან», სწერს ის მეო-
რე ადგილზე, «რუსთა მომხრე მხოლოდ უმცირესი ნაწილი
ლა დარჩ, მაგრამ დღეს აღარც ეს ნაწილია ჩვენთვის სანდო».
ყველა ამის გამო ის სასწრაფოთ მოითხოვს ბაგრატიონთა
გადასახლების ნებართვას.

პეტერბურგმა ეს გეგმა მოიწონა და აჯანყების ჩაქრო-
ბაც ლაზარევს მინდო. ამანაც ჩვეულებრივი სისწრავით მი-
ტანა იქრიში, და 1802 წელს ეს შეთქმულება ცეცხლით და
მახვილით ჩააქრო. მან მრავალი განუკითხავათ დააპატიმრა,
დასაჯა და გადასახლა. საჯველს ვერც ბობდელი მიტროპო-
ლიტი გადაურჩა. ჩაქრო რა ლაზარევმა აჯანყება, ხელი მი-
ჰყო მის ხელმძღვანელთ. მან დედოფალთა გადასახლება ით-

ხოვა. სწორეთ ამით აიხსნება, რომ რუსეთი განმეორებით «პატიუებდა» პეტერბურგში დედოფლებს და ბატონიშვილთ. ეს საქაეთ არც ისე ადვილი გამოდგა რუსეთს რომ ეგონა. ის ფუფუხება, მდიდრული ცხოვრება, დიდი პენსიები, ორდენები, რუსეთი რომ პირდებოდათ მათ პეტერბურგში, მარტო ზიზქს იწვევდა დედოფლებისას და ბატონიშვილებისას განსაკუთრებით. დედოფლები იდგნენ მტკიცედ. ალექსანდრე პირველის მიპატიუებაზე ცივი უარით უპასუხეს, საკუთარ ქვეყანაში სიმშილს არჩევდენ. ამათმა სიმტკიცემ შეაფიქრა მთავარ მართებელი კრონინგი და ქადილი სისტულეში ვერ მოიყვანა. რის ვაივაგლაბით ჩაექრო რუსეთს 1802 წლის ამბოხება, ეხლა რომ დედოფლალთ მიაყენონ შეურაცხოფა და ძალით გაზავნონ, შეიძლება მისმა ერთგულმა ხალხმა ახალი აჯანყება მოაწყონ, ამიტომ იჩენდა კრონინგი მერყეობას და აღარ უჩერიდა ლაზარევის დაუინებით მოთხოვას, რომ დედოფლთ გადასახლება ძალით მოეხდინათ.

კრონინგი ხელმწიფეს სწერდა, დედოფლები არას გზით არ აპირებენ დაძვრასო. დარეჯანი იმისთვის რომ ღრმა მოხუცია და მარიამს მტკიცე კავშირი აქვს თავის სამშობლოსთან, თავის მახლობლებთან და მათ ურჩევნიათ გაჭირვებაში, საქართველოში დალიონ სული, ვიდრე სიმტკიდრეში და ფუფუნებაში ცხოვოება უცხო მხარეშით». აյ კრონინგს სხვა ხერხისათვისაც მიუმართავს: მას შემდეგ რაც დედოფლალს ქონება და ყოველი სახსარი ჩამოაცილეს და გაჭირვებაში ჩააყენეს, წინადარება მისცეს დაენებებიათ ალსაზრდელათ პეტერბურგში თავისი წყვილი შვილები. ამათ მაინც ნუ დაუკარგავთ დიდ წყალიბას ალექსანდრე მეფისასო. დედოფლალთან ვერც ამ ხერხმა გასჭრა. შვილებიც ქართველ ხალხთან უნდა დარჩენილიყონ, ამ დევნიში და გაჭირვებაში ეცხოვორათ, როგორც დანარჩენები ცხოვრობდნენ. «დედოფლალმა მარიამმა», სწერს მთავარ მართებელი პეტერბურგს, «რომ თვისი მცირე წლოვანი შვილები რუსეთს წარგზავნოს, საცა ისინი განსწავლული იქნებინ კეთილის აღზრდით, განაცხადა, რომ თავის შვილებს ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოიცილებს». «ყველა ეს ამბები იწვევს ხალხში აღელვებას და ამიტომ მოგმართავ უქვეშევრდომილების თხოვნით დამრთოთ ნება, რათა სიტრთხილით დავაპატიმრო» (აქტი. ტომი I. გვ. 691). მაგრამ ეს უკვე გვიან იყო. რუსეთს მოთმინების ფიალა აევსო. დედოფლის მის სატახტო ქალაქში დატოვება მაშინ, როცა ქვეყნის ინკოპორაცია მომხდარი იყო, რუსეთს სახიფათოთ მიაჩნდა. კრონინგმა იმედი ვერ გაუმართლა ალექსანდრე პირველს და მან ახალი, უფრო მტკიცე და მაგარი მთავარმართებელი გამოგზავნა. კაცი ქართულის გვარით და რუსული სულით საქართველოს სამეფოს დიდი მტერი... ეს იყო ციციანოვი, რომელმაც რუსეთს იმედები გადაჭარბებით გაუმართლა. ამან ალექსანდრე პირველის საიდუმლო ინსტრუქციებით თბილისი-

საკენ გამოსწია... დლიდან ციციანოვის ჩამოსვლისა იწყება მძაფრი და ტლანქი შეტევა ბაგრატიონთა წინააღმდეგ. ის სა- ვსებით იზიარებს გენ. ლაზარევის ტლანქ და უხეშ გეგმებს. ლაზარევიც ბეგნიერია რომ მთავარმართებლის განკარგუ- ლება თავის სიმკაცრით მის გულისნადებს უთანხმდება. ახლა მთავარმართებელი არავითარ სიფრთხილეს და ზრდილობას აღარ ითხოვს ამ «გაუქმებულ დედოფალთა და ბატონიშვი- ლებისადმი». ციციანოვის აზრით პირველი მაგარი იერიში მემკვიდრეშე უნდა მიტანილიყო. მას უნდა დაეწყო გადასა- ხლების ეკლიან გზაზე სვლა. შემდეგ მას განგვირვენებული დედოფლები მიყოლოდენ. ლაზარევის ძველ გეგმას ციცია- ნოვის სწრაფი სანქცია უწოდდა და ლაზარევმაც ერთის დაკვ- რით სულის მოუტემელთა ჩატარა.

«მამაცმა» ლაზარევმა ბატონიშვილი დავითი და ვახტანგი 19 თებერვალს 1803 წ. გადასახლდა. ჯერი მარიამ დედოფალზე მიდგა, ლაზარევი უკვე ზემობდა. ციციანოვმა აუწყა, რომ ხელმწიფის მიერ მიპატიუებული იქნება და გამგზავრებაც სასწავლოთ უნდა მოხდეს. დედოფალს ამ მიპატიუების ნამ- დვილი შინაარსი კარგათ ესმოდა. ის შეეცადა ამ ახალ მთა- ვარმართებლის გული როგორმე მოელბო და მისწერა:

«ეს არს მოხსენება ჩემი: როდესაც განსვენებულმან მეუ- ლლებან ჩემმან ინება შევრდომა საფარევლსა ქვეშე რუსთი- სასა, მაშინ იყო აზრი მისი ჩემთვის და შეილთა ჩემთა ცხოვ- რებისათვის ამასვე მამულსა და ჰაერსა შინა, და თუ სხვასა უცხოსა ქვეყანასა შინა შესაძლებელ ყოფილიყო ცხოვრება ჩენი, ჰქონდა დარი ყოველთვის და იქნებოდაცა უადრეს გარ- დაცვალებისა თვისისა თუ ითხოვა ვინებმ წასვლა თვისი რო- სიად, ეს სამართლა და ნება მთხოვნელისა არს...

მიმიღეს პატივისახლისა ჩემისა, მომტაცეს ნიშანნი მეუ- ლლისა ჩემისა, შევრაცხვეს შეილნი ჩემნი, დაყენეს მამუ- ლი შეილთა და სხვანიცა მრავალნი, დამაკლეს საცხოვრებე- ლი ჩემი და ამაებისა საკუთნებულათ არა ვინებდ წარვსდგე წინაშე იმპერატორისა და აწ სიკედილისათვის ჩემისა და მცირეთა შეილთა ჩემთასა, ვითარ შეიძლება წარსვლა ჩემი...

ეს არს დღე პატიოსნებისა, რათა სახლი დამდაბლებუ- ლი არა ალისპოს; ვიცი ბეგნიერება მომავალი თავისა ჩემისა და კეთილდღეობაცა ხელმწიფისაგან განსაზღვრული მე თუმ- ცა აქა გლახაკ და ცხოვრებისაგან დაკლებული მაგრამ შე- ჩეეულსა შინა ჰაერსა დღითი დღე განგავრებულებ და სიცო- ცხლესა ჩემსა ეს მეყოფის ნუკეშად სიმდიდრესა და სამაღ- ლობელად ყოვლად უმოწყალესისა ხელმწიფისა, რათა მეცა ლირს ვიქმნე საფლავსა თანა მეულლისა ჩემისა დაფლვათ, რომელიც მან ადრევ განმიმზადა და აგრეთვე ჩემთა შეილ- თაც... და უკეთ ნებავს აქაცა შემძლებელ არს, რომ მოწყა- ლებით მომხედოს მეცა და ჩემთა შეილთაც და უკეთ არ

ინებებს აქა მოწყალებასა ჩვენსას, იყოს ნება ხელმწიფისა».

ეს დოკუმენტი დედოფლის მორალურ გამარჯვებაზე მეტყველებს, რა შეეძლო ეპასუხნა ციციანოვს ამ ბრალდებაზე?

ამავე სახის ბრალდებას უყვენებს დედოფალი თვით რუსთა იმპერატორს წერილში, რომელიც მას გაუგზავნა 2 თებერვალს 1803 წ. დედოფალი მას აგონებდა, რომ დიდ იმპერიის სუვერენის არ შეშვენოდა გუშინდელ დაპირებათა ასე ერთბაშიც წაშლაო, მე აღთქმულ მფარველობას ველოდი და ეხლა კი შვილებითურთ რუსეთში მიბარებთ, ვითომდა წყალობათა მისაღებადო» და აქვე დასძენს: «მე ვიცი, რომ შეიში გაქვთ ჩემი აქ დარჩენისა და გარწმუნებთ, რომ არც მე, არც ჩემი შვილები არ ვეძებთ დაკარგულ ტახტს. მე მხოლოდ გთხოვთ, რომ ჩემი მეუღლის და მეფის უკანასკნელი სურვილი შემისრულოთ: სურვილი, რომ მე და შვილთა ჩემთა გვეცხოვრა ჩვენს ქვეყანაში, ვესუნთქა ჩვენის ჰავითა, გვესვა ჩვენი წყალი და ბოლოს მამა-პაპათა საფლავებ გვერდით დავუღულიყოყავით».

მაგრამ რუსეთი ამ კეთილშობილ აღმფოთებას ყურს არ ათხოვებდა, საქართველოს მზის ჩასვენებას ბაგრატიონთა გაქრობაც უნდა თან მოპყოლოდა და პირველ რიგში ყოფილ დედოფლისა. ციციანოვმა დედოფლის ქონებრივი განიარება ბოლომდე მიიყვანა. მაგრამ მარიამ დედოფალს ვერც ამ ახალმა მატერიალურმა შევიწროებამ შეაცვლევინა თავისი ხაზი. წინააღმდეგ, ეხლა უფრო გაბეჭდულათ და ენტრეგიულათ შეუდგა სხვა სამხადისს და თვის ერთგულთ სწრაფ მოქმედებისაკენ მოუწოდა. დედოფალი თუმცა მუდმივ ზევრვის ქვეშ ყავდათ აყვანილი ციციანოვს და ლაზარევს. მაგრამ აქამდე მაინც ახერხებდა შეთქმულება დიდ საიდუმლოების ქვეშ შეენახა. მხოლოდ ვიწრო წერებ და ერთგულებმა იცოდა, რომ დედოფალს საიდუმლო ძაფები ქონდა გაბმული თუმცავებევსურეთში თაგაურელებთან და მთის ხალხთან. ამათ უნდა მოქმედინათ დედოფლის თბილისიდან საიდუმლოგავანა, მისი და მისი შვილების მთაში შეხინვნა, და ერთ დანიშნულ დღეს დიდი პოლიტიკური აქტის მოხდენა: მარიამის საქართველოს ტახტზე აყვანა და კურთხევა. დედოფალი უნდა გამხდარიყო სულის ჩამდგმელი ამ ხალხური აჯანყების რუსეთის წინააღმდეგ. მას უნდა მოეთხოვა იმპერატორისაგან ყველა დაპირებათა ასრულება და თუ ამას ის არ იცნობდა, მაშინ საქართველო უნდა დაეცალათ, ჯარი გაეყვანათ, შემდეგ დედოფალი მაპმადიან მეზობელთ თვით მოურიგდებოდა. ამ რიგათ დედოფალმა და მის ახლო მოცულებმა იკისრეს რუსეთის ამდენი ხნის მზადება და ვერაგული ზრახვა საქართველოს პროვინციათ ქცევისა ჩაუშალათ და სამეფო ჩიხისაგან გამოყევანათ. ეს იქნებოდა დიდი საშეილოშვილო აქტი. მაგრამ ასეთი ამბობების მომზადება რასაკვირველია დიდი ხნო-

ბით ვერ დარჩებოდა საიდუმლოთ და ციციანოვს და მის და-
მქაშებს მთლათ ვერ გამოეპარებოდათ, მით უფრო ღენ. ლა-
ზარევს, რადგან უახლოეს გარემოცვაში მის მთავარ შტაბში
სომები კალატონიანი (აქტებით კალატონვი) ერთა. ეს კაცი
მალე გადაიბირეს ციციანოვმა და ლაზარევმა. მანაც დაიწყო
ინფორმაციის ძლევა ციციანოვისადმი. ციციანოვმა ეხლა
კარგათ იცოდა, რომ დედოფალი დროს მოგებას ცდილობდა,
ამიტომ მან დედოფლის გამგზავრება ერთბაშათ დააჩქარა და
ის 3 მარტს თავშეუკავებელის ნერვიულობით სწერდა დედო-
ფალს: «აკი მოგახსენეთ, რომ თქვენ რუსეთში შიიღებთ არა
მარტო იმ შემოსავალს რასაც აქ აიღებდით ჩამორთმეულ
მამულებისაგან, არამედ მწყალობელ ხელმწიფისაგან ბევრათ
მეტი მოგეცემათ... ამიტომ თქვენი აღმატებულების გამგზა-
ვრება თანახმათ ხელმწიფე-იმპერატორის მიპატიუებისა, არა-
ვითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს გადადებული. უნდა
სწრაფათ წაბრძანდეთ».

ამ დაჩქარებამ შეთქმულებაც დააჩქარა, მეტი ცდა შეი-
ძლება სასიფათო გამხდარიყო. მარიამის სიძემ სარდიონ ას-
ლან არბელიანმა, ამ შეთქმულების მეთაურმა, მთაში შიკრი-
კი აფრინა. უკვე დიდი ხანია სწარმოებდა ოჩეულთა გაგზავნ-
გამოგზავნა ფშავ-ხევსურეთთან, იქიდან მოურავი ჩოლოყა-
შვილი ყოველნაირათ აიმედებდა მარიამს და ბატონიშვილ
ბაგრატს. ამრიგათ დედოფლის სასახლე შეთქმულთა შტაბათ,
საიდუმლო ბინათ გადაიქცა. აქ სარდიონთან ერთათ სხვე-
ბიც ფიცს სდებდენ ამ საიდუმლოს შენახვისთვის და საქმის-
თვის. დედოფლის დედამ ელენენ და დედოფალმაც სხვა მხრი-
ვათაც დაიჭირეს თადარიგი: თუ ვინიცობაა დედოფალი და
მისი შვილები ვერ გავიდოდენ ქალაქის კარიდან და დედო-
ფალს ციციანოვი მაინც გაგზავნიდა, ამ შემთხვევისათვის,
რუსის ჯარი დედოფალს რომ გააცილებდა, თაგარლებს და-
რიალთან მათხე თავდასხმა უნდა მოეხდინათ; დედოფალი და
მისი შვილები იარალით უნდა გამოეხსნათ.

ციციანოვმა კალატონვისაგან უკანასკნელ მომენტში
ყველაფერი დაწმურილებით გაიგო. და იმ ლამესვე განკარგუ-
ლება მისცა ლენერალს: «თანახმათ ჩემდამი მოლწეულ ცნო-
ბით, თვით იმ პირთაგან რომლებიც შეთქმულობაში არიან,
დედოფალი მარიამი და მისი ოჯახი და ბატონიშვილი ბაგ-
რატი თბილისიდან გასვლას ლამობენ, რისთვისაც საჭირო
სამხადისი მოუხდენიათ. რათა აცდენილ იქნეს ასეთი გაქცე-
ვა შუაგულ ქალაქიდან, რუსის ჯართა შერცხვენა, ვანდობ
თქვენს აღმატებულებას სასწრაფოთ ისინი თქვენის თვალყუ-
რის ქვეშ მოზღვიკამდე მიიყვანოთ, იმავე წესით, როგორითაც
თქვენ სახელოვნათ წარგზავნეთ აქედან ვახტანგი და დავითი».

ლაზარევი სისწრაფით შეუდგა ბრძანების ასრულებას.
საჭირო იყო ამ «ყოფილ დედოფლის» სრული გავეირევინება
მის დედაქალაქში. 1803 წელს 19 აპრილს, დილის რიცრაუზე

რუსის ჯარისკაცთა და ოფიცერთა თან ხლებით ლაზარევი დედოფლის სასახლის ალყის შემოსარტყმელათ მიღიოდა. დედოფალმა ამ ლენინგრადისაგან კიდევ ახალი დიდიშეურაცხუფა ველაზ აიტანა და მოპკლა. სწორედ იმ დღეს უნდა გაეყინათ მარიამი და ეკურთხებინათ, ლაზარევი კი ძალით უპირებდა რუსეთში გაგზავნას. იმსხვრეოდა ყოველგვარი იმედები, დედოფალმა ველაზ აიტანა, ლირსება ერის და სამეფოსი დაიცვა. «დედოფლის ბუნებაში», სწერს ისტორიკოსი, «დიდი ხნის დაგროვილმა ბრაზმა იუჟექა». თვით ლენინალი ტუჩკოვი სწერს: დედოფალს ქნენდა მიზეზი ალშტატებული ყოფილიყო ლაზარევის ჭინაამდეგო იმ დამცირებათა გამო, რაც ლაზარევმა მათ მიაყენაო. დედოფლისგან ლაზარევის სიკედილის ამბავი მრავალნაირადაა სხვადასხვა წყაროებში მოხსენებული, ზოგან მოკლეთ, ზოგან დაწვრილებით, ზოგან მოკრძალებით.

ამ მკელელობის სრულ სტუუარბას იძლევა აქტებში დაცული იქ დამსწრეთა ჩევნებანი და ციციანოვის პირადი მოხსენება ხელმწიფისადმი დაწვრილებით. «რა ერთხელ მომღიოდა ცნობები», სწერს ციციანოვი ხელმწიფეს, «რომ დედოფალი მარიამი მთელი თავის ოჯახით და ბატონიშვილი ბაგრატიონ სხვა შეთქმულებან ერთათ ცდილობდენ ეძიოთ თავშესაფარი ხევსურეთში, სადაც კიდევ შერჩენიათ პატივისცემა სამეფო ოჯახისადმი. თუმცა მე მთლათ არ მჯეროდა ამ ხების, რომლებიც განუწივეტლათ ალევებს საქართველოს, ზომები მანც მივიღე, რათა მათი მოქმედებისათვის თვალი მედვენებია. გუშინ კი საკომენდატურ პოლიციამ და სხვებმა, რომლებიც სათვალყუროდ დავნიშნე, მაცნობეს, რომ ღამით 18—19 ამ თვისათვის დედოფალი მარიამი სრულის თავის ოჯახით და ბატონიშვილი ბაგრატიც აპირებენ გაქცევას თბილისიდან. ავლაბრის კარებთან ცხენები მათ შეკანმული უცდიდენ. ნივთები ჩალაგებული ქონდათ. უნცროსი ზეილი წინდაწინ გაგზავნა, გაფრთხილებულმა დარაჯებმა არ გაუშევა, ამის გამო განსაკუთრებული ბრძანება მიეცი ლენ. ლაზარევს იმავ საღამოს 10 საათზე დაეყენებია დედოფლის სასახლისათვის დარაჯები, თვითონ კი რამდენიმე ოფიცერთა თანხლებით შესულიყო დედოფალთან დარბაზში და თავაზიანათ განეცხადებია, რომ დედოფლის განხრახვა უკვე გამოცხადდა და რომ ხვალ დედოფალმა უნდა დასტოვოს თბილისი. აგრეთვე განკარგულება მიეცი ლენ. ტუჩკოვს დაეპატიმრებია თავის სახლში ბატონიშვილი ბაგრატიც. ყველაფერი ეს ისე უნდა მოეხდინათ, რომ ხალხში მლელვარება არ გამოეწვია. სწორეთ იმ დილით, როცა ლაზარევმა ხელმეორეთ გამოუცხადა დედოფალს, ყველაფერი მზათ იყო მის გასამგზავრებლათ. დედოფალმა დაფარა რა შორეული ბრაზი ანიშნა მიახლოებოდა და სწორეთ ამ ღროს იძრო ხანჯალი, კალთის ქვეშიდან და ჩასცა მას მკერდში ისე მძლავრათ, რომ

ლენინგრადში რამდენიმე წუთში დალია სული. ამავე წამს მარიამის ასული ბატონიშვილი თამარი მივარდა ხანჯლითავე თბილისის პოლიციის უფროსს. მაგრამ მან აიცდინა ხანჯალი და დედოფალ მარიამს მოხვდა, რის გამო ის ხელში დაიჭრა. დედოფლის თბილისიდან გაგზავნის შემდეგ მის სასახლეში იპოვეს მრავალი სხვადასხვა სახის იარაღი და ტყვიაწამალი, საიდანაც ვასკვნით, რომ დედოფალს განზრახვა ქონდა რაღაც არეულობის მოხდენით შურისძიებისა. ამის შემდეგ ვუბრძანე გენ. ტუჩქოვს წაახსას დედოფალი და ბაგრატი სასტიქ თვალყურის დევნებით, გარეშე ყოველგვარი პატივისა, საჭირო ჯარის დახმარებით ვლადიკავკაზის ციხემდე, სადაც მათ მოზროვის კომენდანტი მიეგებებათ და მოზროკამდე მიაცილებს. აქედან კი თავის მხლებლებით გამგზავრებული იქნება ვორონეჟს. მე ვფიქრობ, თქვენი დიდებულება არ მოისურვებს ეს ბოროტი მკვლელი ჩამოვიდეს პეტერბურგს, რათა მანდ ეცადოს მიიღოს ნებართვა პირადათ თქვენი ხილვისა. ამის გამო ის დარჩება ვორონეჟში გუბერნატორ პუშკინის განკარგულებაში».

ამავე დღეს ციციანოვმა მიმართა გუბერნატორ პუშკინს ცნობით ლაზარევის მოკვლის და დედოფლის გადასახლების შესახებ და თხოვა იყოლიოს განსაკუთრებულ თვალყურის გდების ქვეშ. ამასთანავე აფრთხილებს არავის დედოფლის მხლებელს არ ქონდეს არავითარი იარაღი, რაც შეეხება თითონ დედოფალს, განაგრძობს ციციანოვი, მას განსაკუთრებით უნდა ადევნოთ თვალი და უბრალო დანაც არ გაავაროთ, რადგან მან მხეცურად მოკლა ლენ. ლაზარევი და ასეთი რამ მისგან კიდევაა მოსალოდნელი.

კომენდანტსაც ასევე სწერს ციციანოვი: ჭამის დროსაც არ მოხვდეს დედოფალს ხელში დანაო...

ეს გადასახლება ციციანოვმა ერთის დაკვრით ჩატარა. დედოფალმა გზისათვის აუცილებელი ნივთების წალებაც ვერ შესძლო და ვერც ახლობელთ გამოეთხოვა. დედოფალს სისხლით დაცლილს მიათრევდენ რუსის ჯარისკაცები, ლირსებას მაინც ბოლომდე ინახავს და გზიდან საგანგებო წერილს უგზავნის არა ცოდიან ციციანოვს, არამედ სააკადეს. დედოფალი სწერს: «არც მე, არც ჩემი მსახურნი და არც სხვა დაპატიმრებული, არაფერში არა ვართ დამაშავები, ამიტომ ვითხოვ ყველა დაპატიმრებული გამოუშვათ, მოიხმოთ ყველა ისინი და მასთან ჩვენი მსახურნი და გამოუცხადოთ, რომ ვინც კი მათგანი მოინდომებს ან გადასახლებაში თან მეახლოს, ან გამომემშვიდობოს, მიეცეს ეხლავ ამისი ნება. ამას გარდა ვითხოვ გამოგზავნოთ ჩემთან მოხუცი ლექი მოსე, რადგან ჩემს შემდეგ მას არავინ პატრონი და მიმხედავი არ ეყოლება და თუ მას ვინმეს ვალი ემართოს გაისტუმრე ჩემის თანხებიდან». ეს იყო დედოფლის კეთილშობილური ზრუნვა უმწეოთ დარჩენილებზე. თავისთვის ის აღარაფერს არ ით-

ନେବ୍ରାଦା, ସାମିଶ୍ଵରପଳକ ଗାର୍ଜେତ ମିସି ପୋରାଦି ସିପିଆକ୍ଷଣ ଯୁଦ୍ଧରେ କଲେଖିଲାଏବା।

რუსებმა ამ შევიწროებულს და დეკნილს დედოფალს უკანასკნელი სასახლეც ჩამოართვა და ციციანოვს გადასცეს. «თანახმათ თქვენის თხოვნისა, სწერს მას მინისტრი, ან თქვენ მოიხმართ საცხოვრებლათ, ან თქვენ სამართველოსათვის». დედოფლის შოგზაურობაზე მონძოვამდე და იქედან ვორონეჟამდე აქ ვეღარ შევჩერდები, ვიტუვი მხოლოდ რომ 19 აპრილიდან 12 ივნისამდე დედოფალი მხლებლებით გზაში იყვნენ. 12 ივნისს სოვეტინი ჯარს ვორონეჟში გუბერნატორ პუშკინისთვის გადაუცია. აქ დედოფალს დახვედრია ხელმწიფის ბრძანება, სწორეთ ისეთი, რაც ციციანოვს სწადოა. დედოფალს უცხადებს, რომ ის ვერც პეტერბურგს და ვერც მოსკოვს თავის შეილებთან და მასლობლებთან ვერ დაიდებს ბინას. რომ ის წაეყვანათ ბელგორდს დედათა მონასტერში მოსანანებლათ უდიდესი ცოდვისა. დედათა მონასტერში უნდა მოეთავსებია დედოფლის შვილი თამარი, რომელმაც მოწადინა მოეკლა თბილისის პოლიციის უფროსი. რაიცა შეეხება სხვა მხლებელთ უნდა ჩამოშორებოდენ დედოფალს და გაყოლოდენ ბატონიშვილ ბაგრატს, რომელსაც საფრომათ მოსკოვი მიუჩინეს. საყურადღებოა, რომ ამ მხლებლებიდან, გარდა ერთისა, არავინ არ ისურვა ჩამოშორება დედოფლისა და ყველანი გაყვენ ბელგორდში და დედოფალთან ტყვეობა არჩიეს.

დედოფალმა ერთხელ კიდევ მოიკრიფა ძალა და მიმართა ხელმწიფეს თხოვნით, მიეცათ მისთვის ნება ეს გადასახლების ტრო, შვილებთან და ბატონიშვილებთან გაეტარებითა. მარიამის დედამ ელენემაც მიმართა ამგვაროვა თხოვნით ხელმწიფეს, მისმა შვილებმაც, მაგრამ პეტერბურგმა არცერთის ვე- დრება არ შეიწყნარა. დედოფალი თავისი 30 მხლებლებით სასწრაფოთ გადაგზავნეს ბელგორძოს, სადაც მათ 30 ივნის უნდა დასრულდებოთ. დედოფლის და მისი მხლებლების ცხოვრებაზე ბელგორძოში მრავალი ცნობები მოგვეპოვება. ძალიანაც სა- ინტერესო, მაგრამ ამას ეხლა ვერ შევეცნებით, უნდა ითქვას კი რომ დედოფალს თავისი ლირსება და სიამყავ არ დაუგდია და მრავალ სასის პროტესტები გამოუწესდებია.

საქართველოს წარჩინებულებმა, პეტერბურგს და მოსკოვში მყოფ ბატონიშვილებმა ყოველგვარათ სცადეს დედოფლის გამოხსნა ამ დამამცირებელ მდგომარეობიდან: ბევრჯელ მიმართეს იმპერატორს, მინისტრებს და დიდ მოხელეებს, მაგრამ მათი თხოვნები უშედეგოთ ჩებოლენ. ალექსანდრე პირველის და მისი მრჩეველი ციციანოვის გული ვერაფერმა მოაღმო. დედოფლის მაშინდელ მიწვერ-მოწვერიდან, რაიცა უსასტიკეს ცენზურის ქვეშ ხდებოდა, მაინც ბევრნაირათ მოსხანს უმწეო ყოფნა დედოფლისა. მის ჩაბალს ფარნაონ ბატონიშვილის მეშველეს ანას, რომელიც ვორონენში იყო გადა-

სახლებული, ერთერთ წერილში სწერდა: «სევდით შევსულა გული ჩემითა და ხელს აწერდა ასე: «მრავალ მრავალ მწერა- რებათა მიერ შევიწროებული დედოფალი». ბატონიშვილთ, მოსკოვს და პეტროგრადს რომ ყავდათ ძალით დამკიცირე- ბულნი, ერთ წუთსაც არ დაუყრით იარაღი და ცდილობდენ როგორმე გამოეხსნათ სავარელი დედა და დედოფალი. ზაგ- რამ არ იქნა მათმა ცრემლებმა ვერ გაალლე ჩრდილოეთის გული. მხოლოდ 8 წლის შემდეგ, 1811 წლის ივნისში, ბატონი- შვილ მიხეილს უკანასკნელ თხოვნაზე უპასუხა, რომ ხელმწი- ფე იმპერატორმა შეიწყნარა მისი დაეკინებითი ვედრება და დედოფალ მარიამს ნება დართო მოსკოვში მათთან ცხოვრე- ბისა. დედოფალი მისის მხლებლებით მოსკოვში ჩამოვიდენ. ამის შემდეგ იწყება ახალი ხანა დედოფლის ცხოვრების მოს- კოვის ქართველთა წრეში. ეს ხანა ბევრათ გავდა დანარჩენ ბატონიშვილთა ცხოვრების ხანას გარდახვეწილობაში. რუ- სეთის მთავრობას აქ ისინი სასტუკი ზევრვის ქვეშ ყავდა. მას და მის მხლებელთ არავითარი რამ საეჭვო კავშირი არ უნდა ქონდათ საქართველოსთან.

1849 წელს დედოფალს ნებას აძლევენ საქართველოში დაბრუნებისას, როცა იგი დასნეულებული და ავადმყოფი ლოგინათ იყო ჩავარდნილი. ის ხედავთა, რომ მშობლიური ქვეყნის ხილვა მას აღარ ეწერა. ამ შეგნებით, სწორმა დედო- ფალმა 28 მარტს 1850 წელს თვისი ისტორიული ანდერძი და- სწერა. ამ ანდერძით დედოფალი მოითხოვდა, რომ ის «წყალო- ბა» რასაც 47 წელი ელოდა და მხოლოდ ერთ მიიღო, სიკვდი- ლის შემდეგ არ დაუკარგიონ, მიცვალებული მაინც აღისრონ და წაასვენონ საყვარელ საქართველოში და იქ ძველ სავანეში თავის მეუღლის გვერდში დაასაფლაონ. ეს ანდერძი იყო უკა- ნასკნელი აქტი დედოფლისა ეროვნული პოლიტიკის მნი- შვნელობის. ის თავის უფლებას უკანასკნელ დლებშიდაც არ თობდა. ორი დღის შემდეგ, 30 მარტს, დილის 10 საათზე დედოფალმა საუკუნოდ დახუჭა თვალები. ამდენი ბრძოლით დალლილი გული დადგა. მიცვალებული მართლაც აღარ იყო საშიში რუსეთისთვის და მან გადაჭარბებით შეასრულა ან- დერძი.

რუსეთის მთავრობამ დიდი ზეიმით გამოასვენა მოსკოვი- დან. ზეიმი მართლა შეშვენდა დედოფალს. ეს სამგლოვა- რო დიდი ცერემონია არ შენელებულა მცხეთამდე. იგივე სა- ქართველო და ქართველობა ნახევარი საუკუნის წინ დაპატი- მრებულ დედოფალს ტირილით და გოდებით მიაცილებდენ რუსეთისაკენ, იმავე ერთგულობით და სიყვარულით შეეგებენ ქართველობა საქართველოს საზღვარზე წამებულ დედოფალს და მიაცილეს მცხეთამდე, 17 ივნისს 1850 წელს გიორგი მეფის გვერდით დაასაფლავეს.

ქართველმა ერმა უკანასკნელი ვალი მოიხადა უკანასკნე- ლი დედოფლის წინაშე.



პ ხ ლ ი ტ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ.

(მოგვინებაზი)

როდესაც ბოლშევკებმა 1919 წ. გამოსვლები მოწყვეს გურიაში, კერძოთ ლანჩხუთში მოგვიყლეს ნიკოლოზ (კოლი). რუსია—(სათადარიგო გვარდიელი). ამის დაკავშირებით მთავრობამ გორგაზავნა სამხედრო სასამართლო. რომლის თავმჯდომარეთ იყო პოლკოვნიკი ლევენიძე. მერმეთ როდესაც დაგვიპყრეს რუსებმა, პირველი რეპრესიები დაიწყო 29 აპრილს 1921 წ. დაატუსალეს პოლიკო ლევენიძე და გურიაში აფიცერი თემორე ჭანიშვილი, ლადიკო გიგინე შეილი, რომლებიც სხვებთან ერთად დახვრეტილი იქმნა 1921 წ. მაისში ქუთაისის საპურობილები. მთელი ზაფხული წარმოებდა რეპრესიები. ბოლშევკების სამსახურში შევიდენ ციხიდან გამოშობილი სისხლის სამართლის დამნაშავენი. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის მისჯილი ქონდათ ციხე. ამათ უმფროსად დანიშნეს ყოვლად წამხდარი ბოლშევკი მდინარაძე. ესენი თარეზობენ გურიაში.

1922 წლის თებერვალში მთელ საქართველოში მოხდა საპროტესტო დემონსტრაციები მოწაფეების საქართველოს ერთი წლის დაპურობისა. ლანჩხუთში მოკლეს გიმნაზიის მოწაფე კობალავა, რომლის ძმა კი მოკლულ იქმნა წითელ ხიდზე 1921 წლის 15 თებერვალს რუსების პირველ თავდასხმის დროს.

1922 წლის 26 მაისის აღსანიშნავად მოხდა საერთო დემონსტრაციები. ჩიბათში მოკლეს მოხუცი ჩახვაძე, ჩოჩხათში გუჯაბიძე (სამწუხაროდ სახელები დამავიწყდა).

1922 წლის ზაფხულში შეიქნა მატარებლების ძარცვა. გამოირკვა, რომ ეს მძარცველები არიან მდინარაძის ჯუფი. მთავრობამ მოინდომა მათი დატუსალება. იმათმა გაიგეს დაგაიქცენ. ერთ-ერთ ყაჩალს თავის ძმამ უთხრა: რისთვის არ დაისვენებ. შენ გინდა პარასკევის ქურდობა ქნა და ზაბათს იქეითო. ამას ვინ დაგანებებსო. მთავრობამ მიიღო ზომები მათ შესარიგებლად. ზესტატონში მსახურებდა მათი ამხანაგი მანწყავა სამხედრო კომისრად. ამ მანწყავას დაევალა მათი შერიცება. ჩამოდის მანწყავა სადგურ ჯუმათში ხსნის თავის შტაბს (ასე უწოდებდა). იქ იბარებს ყაჩალებს. ის აძლევს ყაჩალურ სიტყვას ამ ხალხს, რომ მე თქვენთან ვარ, მთავრობამ თუ მოგატყუათ, მე თქვენ რიგებში ვარო.

მანწყავა მთავრობის წარმომადგენელთან ერთად აწარმოებს მოლაპარაკებას. ამ მოლაპარაკების დროს ერთი ყა-



ჩალი ლრავეა დოლიძე ეუბნება მთავრობის წარმომადგენელს: ჩვენ გვიყვირს რას გვერჩის ბოლშევკური მთავრობა, ჩვენ ყველაფერი საერთო გვაქვსო. ლენინმა სთქვა: «ძარცვეთ ნაძარცვიო». ჩვენ ხომ იმას ვძარცვავთ ვისაც აქვს. სოც.-დემ. იმიტომ ვებრძვით, რომ ისინი ამას არ გვანებებენ.

ასეთია ბოლშევკების და ყაჩალების მორალი!

მანწყავამ ეს ხალხი შეირიგა და წაიყვანა თბილისისაკენ. ზესტაფონში მან გაიგო, რომ ამ ხალხს დახოცვენ, მან შეარულა თავის სიტყვა და გაყვა ყაჩალებს და გაიქცენ. ეს ყაჩალები ჩამოვიდნ გურიაში, მათ ფეხდაფეხ ჩამოსდია საექსპედიციო ჯარი, მხეცი ამოლაძის ხელმძღვანელობით. აქ იწყება «ამოლაძის და ტალახაძის» სისხლიანი რეპრესიები.

გურიის სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციებში დაისხა კითხვა, რა ვქნათ? გურიის სოც.-დემ. კომიტეტის თავმჯდომარეთ იყო გაბრიელ გოგვაძე, კაცი უმალეს განათლებით, დიდი პათოსით მოლაპარაკე. კომიტეტი შეუდგა საზოგადო აზრის გაერბას. ამისათვის ჩამოიარეს მთელი გურია. ჩვენთან, როგორც შეიარალებულ ჯგუფთან, მოვიდენ გაბრიელ გოგვაძე და გიორგი სალუქვაძე. აკეთში მოხდა არალევარული თათბირი, რომელსაც დაესწრენ შემდგენ პირები:

1) გაბრიელ გოგვაძე, 2) გიორგი სალუქვაძე, 3) ალფეი გოგვაძე, 4) თეოტილე მუხაშარია, 5) სერგო მათითაშვილი, 6) სიმონ კოგიბერიძე, 7) შიო ქურიძე და 8) ავთანდილ ურუშაძე. შემთხვევით ვერ დაესწრენ, რადგან სხვა სოფელ ში იყვნენ წასული, ამხანაგები: ქრისტეფორე იმნაიშვილი და კოლია შარაბიძე.

გაბრიელმა სთქვა: ყაჩალები გაიყო ორათ, ერთი ლლონტის მეთაურობით აწარმოებს ჩვენთან მოლაპარაკებას, მეორეს კი მანწყავას მეთაურობით ჩვენი არაფერი უნდა. ლლონტი ამბობს: მომეცით ნება, რომ მოვკლა ამოლაძე და ამით გამოვიყიდო ჩვენი დანაშაულით. მან სთქვა, დღეს კითხვა დგას—«ან საქართველო ქართველებით, ან საქართველო უქართველოდ». ამის საწინააღმდეგოთ გავილაშქრეთ ჩვენ ალფეისის მეთაურობით. იყო პასუხი: ყაჩალები როგორც ასეთები ყოველ გაჭირებაზე გვიმდვრევენ წყალს. ჩვენ ნუ დავტოვებთ ძველ ნაცად გზას. როდესაც თეოტიმბერობელობის დროს ვდევნიდით ყაჩალებს, ასევე მოვიქცეთ ეხლა, ყაჩალებს მივცეთ წინადადება, რომ დასტოუნ საქართველოს ტერიტორია. ამით ჩვენ შევძლებთ რეპრესიები შევანელოთ და სხვა. სხვადასხვა რაინში ჩატარებულ მოხსენების თანახმად, მოაზადეს ჩიადაგი და მისცეს ლლონტს ნება მოყვალა ამოლაძე. მოკლეს ამოლაძე. მეორე დღეს თბილისში დახვრიტეს 92 კაცი, უმეტესობა გურულები—დიდი ხნის ციხეში ნაჯდომი. ტალახაძემ დაიწყო ცოცხალ ადამიანებზე ნადირობა. მოვიკლეს ჩვენი გმირი ალფეი გოგვაძე, ზოსიმე ფირცხალამშვილი (სოც.-დემოკრატი, კატოლიკი ნამყოფი). ამ დროს გა-

ბრიელ გოგვაძე, როგორც გურიის კომიტეტის თავმჯდომარე, მიღის ჩეკაში და სწერს დეკლარაციას—გმობს სოც.-დემ-პარტიის მოქმედებას. მან კი ამით ამოყო თავი თბილისში განათლების განკოფილებაში.

ბევრი იმ დროის მომუშავეები აღარ არიან, ძალიან ცოტანი დავრჩით, რომლებსაც არც წერა შეგვიძლია და არც გრძელი ლაპარაკი, ვის სურგზედაც გადაიარა ამ სიღუხვირემ ჩენი ქვეყნისთვის. ვის შეუძლია ამ შავი დღეების აღწერა?

თბილისში დახვრიტეს, როგორც ვთქვი, 92 კაცი. მათ შორის: გიორგი გრძელიძე, ძევლი მასწავლებელი (ისიდორე რამიშვილის და არსენ წილაძის დროის რამდენიმე თაობის აღმზრდელი); ილია თარგამაძე, ახალგაზრდა, ლანჩჩუთის გიმნაზიის მასწავლებელი; სამსონ ხუხუნაიშვილი, ლანჩჩუთის რაიონის კოოპერატიულ კავშირის გამგეობის თავმჯდომარე; ლადიკ ბარამიძე, ლანჩჩუთის რაიონის კოოპერატიულ კავშირის გამგეობის წევრი; შალვა სამსონაძე, მასწავლებელი; დომიდე იმნიაშვილი და სხვები.

ოსურგეთში კი ქუჩაში ეყარა დახოცილები, რომელთა სისხლს ძალებით თქველეთდა. მათ შორის:

ტიფრ ელენტი, მუშა; სამსონ ქაბჯარაძე, გლეხი; ბიქ-ტორ ჩხაიძე, ინტელიგენტი; სოლომონ ჭეიშვილი, გლეხი;

ვინ მოსთვლის, ან ვის შეუძლია გამორკვევა ამ შავი დღეების. ამათი იარაღი იყო გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, გაუმარჯოს ნოე უორდანიას. საქართველოს გამარჯვებით ისინი გულისმობრენ ბოროტების დათურ-გნას, ნოე უორდანიას გამარჯვებით კი მორალის და ზეო-ბის გამარჯვებას.

ტალახაძემ და ანდრია დოლიძემ შეასრულეს თავის ნა-ტვრა—დახოცეს გურიის საუკეთესო შეიღები, ნაწილი შო-რეულ აღმოსავლეთში გადაასახლეს, ნაწილი დაფრთხა და შეშინდა.

ამ დროს აღმოაჩინეს საჭამის სერჩედ ჭკუასელთან, რომელსაც ქონდა რამდენიმე ტყვიის-მფრქვეველი და შალ-ვა ტულუშთან ჩიჩხათში, რომელსაც ქონდა ერთი ტყვიის-მფრქვეველი და რამდენიმე თოფი თავის ვაზნებით, მშენი-ვრათ შენახული და მოვლილი. მათი განცხადება: ჩენ ვართ-დამოუკიდებელ საქართველოს ჯარის-კაცები, ამ იარაღ ვი-ნახავდით საქართველოს განთავისუფლებისათვის. ორთავე: ერთად იქნენ დახვრეტილი.

ეხლა 1924 წლის აჯანყებაზე მინდოდა ორიოდე სიტყვა მეთქა, მაგრამ გადავდევი შემდეგისათვის. ვიტყვი მხოლოდ, რომ აჯანყების დროს მოგვიკლეს შემდეგი პირები: აკაკი ჭე-იშვილი, ლანჩჩუთის გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფე. ყო-ფილი გვარდიელები: ბათლომე ურუშაძე, ხელაძე, ჩხაიძე, ირაკლი ქარჩავა.

აკეთში რუსებთან შეტაკების დროს დაიჭირეს რუსებმა-

ვიორგი ნაკაიძე თავის თრი შეილით, მამა იქვე დახვრიტეს. ანუ რეგისტრი დახვრიტეს გურიის სოც.-დემოკ. პარტიის კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი სალუქვაძე და მასთან გურიის არალეგარული რაზმის უმფროსი ივანე (ვანო) ცომაია. ესენი აჯანყების ერთი თვით ადრე ჩავარდენ თავის მოვალეობის ასრულების დროს.

სუფსაში მოგვიყდეს ბენია სოლომონის ქ. ტულუში, სუფსის რაიონის შეიარაღებულ ძალების უმფროსი, ყოფილი გვარდიელი.

გადასახლეს შემდეგი პირები:

სიმონ ორაგველიძე, ქველი მუშა. სიმონის ნეკროლოგი იყო «ბრძოლის ხმა»-ში, მაგრამ აკლდა ბოლშევკების დრო. ის დაატუსალეს 1922 წლის 23 მაისს. დიდხანს ზის ონურგები, მერმეთ აგზავნიან მეტებში, აქედან ასახლებენ თურქესტანში. 1928 წელს ანთავისუფლებენ, მოდის სახლში. 1929 წ. ხელმეორეთ იქვერენ. ორი წლის ციხის შემდეგ ანთავისუფლებენ, ჩაგრამ 1932 წელს ჩუმათ იტაცებენ და სადღაც იკარგება თითქმის ორი წელი გასტანა, კაცმა ვერ გაიგო მისი ვერაფერი. მისი მოტაცებით მთელი ოჯახი უძედურ მდგომარეობაში ვარდება, იხოცება ცოლ-შვილი: ცოლი, ერთი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. გადარჩა ერთი ვაჟი. შემდეგ ანთავისუფლებენ. სიმონი ჩამოდის უკვე დაავათმყოფებული. მას დასჩემდა დღედაღამ უძილობა და ტრალიკულათ დაიღუპა.

ზოსიმე მენალარშვილი, 1905 წლის გლეხთა მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გლეხი ლანჩხუთში. არუსალებენ 1922 წლის 23 მაისს, და აგზავნიან თურქესტანში. 1928 წელს ანთავისუფლებენ. ერთი წლის შემდეგ კიდევ იქვერენ, ისევ ასახლებენ. 1935 წელს ანთავისუფლებენ მაგრამ ჩამოდის თბილისის სადგურში, იქვე არუსალებენ და აგზავნიან უკან.

პართენ ებრალიძე. ამ კაცის ბიოგრაფია ძალიან რთულია. მისი მუშაობა 1900 წლიდან იწყება. 1925—28—37 წლ. ცენტრალური კომიტეტის წევრია. 1928 წ. მოდის საზღვარგარეთ და ნოე აბხაზებასთან ერთად ატუსალებენ აჭარაში. ბოლშევკების თქმით, როგორც ყველაზე უფრო «მოუსვენარს», სადღაც რუსეთის ციიზში აღმოხდა სული.

ნოე აბხაზება, უბრალო ფერშალი. 1921 წლის შემდეგ გლეხურ მუშაობას ეწევა და მასთან ერთად პარტიულ მუშაობასაც. ამას აგზავნიან რუსეთში და იქ ვიღაც გადასახლებულთაგანი ქართველი გიუდება და ეს გიერი ტყეში მუშაობის დროს ცულით ჩეხს ნოეს.

ავთანდილ.

1950 წ. 18 აპრილი.

03160 ზურაბიშვილი

(გარდაცვალებიდან ათი წლის თავზე)

ივანე ზურაბიშვილი გარდაიცვალა პარიზში, მძიმე ავათ-
მყოფობის შემდეგ, 1940 წლის ივნისში.

განსვენებული ეკუთვნოდა ქართველ ინტელიგენციის
საუკეთესო წარმომაზრენელთა რიგს. კარგს იურისტს, მას
თვალსაჩინო ადგილი ეჭირა თავის პროფესიაში და ამავე
დროს იგი მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყოველგვარ
ქართულ საზოგადოებრივ საქმეებში. დამოუკიდებლობის
გამოცხადების შემდეგ, საქართველოს ახალგაზრდა დაწესე-
ბულებანი ხშირად სარგებლობდენ ივანეს გამოცდილებით
და იურიდიულ რჩევით, ხოლო სენატის დარსების შემდეგ
განსვენებული სენატორათაც იყო აჩეული.

ივანე ზურაბიშვილი მონაწილეობას იღებდა ჩვენს მწერ-
ლობაშიც და მის წერილებს შევეცდებოდით როგორც პრე-
საში, ისე სხვა სალიტერატურო გამოცემებში. იგი ხშირად
მოგზაურობდა ეკრანაზი და იქაურ შთაბეჭდილებებს მწერ-
ლობით თუ ზეპირ-სიტყვით აერცელებდა ჩვენს საზოგადოე-
ბაში. განსვენებული დიდი თაყვანის მცემელი იყო დასავლეთ
ეკრანის კულტურისა და პოლიტიკურ წესწყობილების; ამი-
ტომაც იგი მტკიცე და გულწრფელი დემოკრატი იყო.

ეს დემოკრატიული მსოფლმხედველობა აახლოებდა და
პატივისცემას უმსახურებდა მას საზოგადოების ფართო
წრეებში. ამით აისხება, რომ ამიერ-კავკასიის რეინის გზე-
ბის მუშა-მოსამსახურები, რომელთა 90 პროცენტში მეტს
სოციალისტები წარმოდგენდნენ, ირჩევენ ივ. ზურაბიშვილს,
რევოლუციის ხანაში, თავის პროფესიონალურ ორგანიზა-
ციის თავმჯდომარეთ და თავის ერთ მთავარ დელეგატათაც
აგზავნიან ცნობილ «ვიკენელ»-ის (სრულიად რუსეთის რეინის-
გზის ამასრულებელი კომიტეტი 1917 წლის რევოლუციის
დასაწყისში) ყრილობაზე მოსკოვში. ეს დიდი ნდობა იყო და
იშვიათი პატივისცემა—იმ რევოლუციონურ ქარ-ბუქში—
გამოჩენილი სოციალისტების და რევოლიუციონერების მი-
ერ არა-სოციალისტის მიმართ. ასეთი ნდობა და პატივის-
ცემა ჰქონდა განსვენებულს დამსახურებული იმ წრეში, სა-
დაც მას კარგად იცნობდენ და სადაც ყოველდღიურ ურთი-
ერთობაში იყვნენ იმასთან (განსვენებული იურისკონსულტი
იყო ამიერ-კავკასიის რეინის გზების).

1921 წელს იგანემ სხვებთან ერთად დასტოვა საქართველო, ცოტა ხანს სტამბოლში ცხოვრობდა და შემდეგ პარიზში დაბინავდა მთელი თავისი ღჯახით. აյ იგი სულ უკანასკნელ დრომდის პოლიტიკურ მუშაობაში იყო ჩაბმული, როგორც თავის პარტიის სახელმძღვანელო ორგანოებში, ისე საზღაპრ-გარეთის ეროვნულ ცენტრში. განსვენებული ეკუთვნოდა ეროვნულ-დემოკრატიკულ პარტიას, წევრი იყო ამ პარტიის მთავარ კომიტეტის და თავმჯდომარე იმის პარიზის ორგანიზაციის. კეთილშობილი დამცველი თავის პოლიტიკურ მსოფლმხედველობის და პატრიოტი თავის პარტიის, ივანე იმავე დროს ერთგული და ლიკიალური თანამშრომელი იყო სხვა პარტიიებთან საერთო შუშაობაში.

განსვენებული მუშაობდა ემიგრაციის პრესაშიც და სხვათა შორის, დაგვიტოვა კარგი წიგნი—«საქართველოს საერთაშორისო მდგრადობა» (პარიზი, 1936 წ.), ფრიად სასარგებლო ამ საკითხის გასაცნობათ.

ივ. ზურაბიშვილის სახელი მუდამ დარჩება ჩვენს ხსოვნაში, როგორც კარგი კაცის: პირად ცხოვრებაში—ტყბილი მეოჯახის და საყვარელ ადამიანის, ხოლო საზოგადო საქმეში—სამშობლოს სიყვარულით აღსავსე დარბაისელ მამული-შვილის და ერთგულ თანამებრძოლის.

მეგობარი.

ლ ე რ ნ ბ ლ უ მ ი.

ამა წლის 23 აპრილს შესდგა საქართველოს სოც.-დემ. პარტიის პარიზის ორგანიზაციის კრება. კრების გახსნისას თავმჯდომარემ ამხ. ვ. ჩუბინიძემ სთხოვა კრებას ფეხზე აღგომით და ერთი წუთი შეჩერებით პატივი ეცათ ლეონ ბლუმის ხსოვნისთვის. ამის შემდეგ ამხ. ვ. გვარჯალაძემ დაახასიათა ბლუმის პიროვნება. მოგვყავს აյ ამ სიტყვის შინაარსი:

«ამა წლის 30 მარტს გარდაიცვალა საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ლიდერი და საყველთაოთ ცნობილი საზოგადო მოღვაწე ლეონ ბლუმი. 9 აპრილს მას 78 წელი უსრულდებოდა.

ბლუმის სიკვდილს თანაგრძობით გამოეხმაურა არა მხოლოდ საფრანგეთი, არამედ ევროპის და ამერიკის ყველა ქვეყნები, საერთოდ, ყველას აზრით საფრანგეთმა დაპყარგა დიდი მოქალაქე, მსოფლიომ კი დიდი ადამიანი.

უორესის სიკვდილის შემდეგ საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში დარჩა დიდი სიცალიერე, რომლის ამოვსება

ადგილი საქმე არ იყო. ლეონ ბლუმის ხედა წილათ ამ ცარიელი ადგილის დაკავება და თამამათ უნდა ითქვას, რომ მან შესაფერისათ შესძლო კორესის მორალური და პოლიტიკური ტრადიციების გაგრძელება. ბლუმი სამჯერ იყო საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე. პირველი მთავრობა მან 1936 წელს შეადგინა და ამ მთავრობის მიერ ცხოვრებაში გატარებულ სოციალურ რეფორმასთან არის ისტორიულად მისი სახელი მკვიდრათ დაკავშირებული.

ბლუმი იშვიათი დიდი ცოდნის ადამიანი იყო. ვისაც კი წაუკითხავს მისი ოთხ ტომიანი შრომა საფრანგეთის ლიტერატურაზე და თეატრზე, ვისაც ახლო უდევნებია თვალყური მისი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის, მისთვის ნათელი იქნება, რომ ბლუმი იყო კარგი მცოდნე სხვადასხვა ფილოსოფიური სისტემისა, დიდ არტისტთა და პოეტებისა, ყველა დროთა გამოჩენილ მწერლებისა, იყო პოლიტიკოსი, ეკონომისტი, სოციოლოგი. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი განძი ბლუმში იყო მისი ადამიანობა.

ბლუმი უნიკარტსალურად მცოდნე ადამიანი იყო, მაგრამ მის ენციკლოპედიურ განათლებასთან, მის ნათელ და ძლიერ გონიერებასთან ერთად მასში ღრმა და მძიდრად იყო ჩანერგილი მისი კეთილშობილება და ადამიანობა. დიდ გონიერებასთან ერთად მას კარგი და თბილი გული ჰქონდა. თუ მოვიგონებთ მის საქციელს და მოქმედებას რიომის პროცესზე, პარტალეს, ბურასოლის და ბუხენვალდის ტყვეობაში,—დავრჩმუნდებით, რომ ეს ნაზი და სათხო ადამიანი იყო აგრეთვე დიდი მორალური და პოლიტიკური გამბეჭაობის მქონე პიროვნება...

თვითეული პიროვნების, თვითეული ერის თავისუფლება, საქართველოს სოციალური სამართლიანობა იყო მთავარი მიზანი ბლუმის საზოგადოებრივი მოღვაწეობის. ეს აზრები მან მშენივრად გამოხატა მის უკანასკნელ შრომაში—(A l'échelle humaine), რომელიც მან, მიუხედავათ დიდი საშიშროებისა, ღმის დროს ციხეში დასწერა და რითაც კომუნისტების ამდენი რისხვა და ლანძღვა-გინება დაიმსახურა.

როცა საქართველოს სოც.-დემ. პარტიის არალეგალურმა კონფერენციამ (1930 წ.) ბლუმი თავის საპატიო თავმჯდომარეთ აირჩია და ეს მას ამცნო, ბლუმი უპასუხებდა: «მე ალაცებული ვარ, რომ მრავალ სიძნელეთა მიუხედავათ, თქვენ, ქართველი ამხანაგები, ბრძოლას განაგრძობთ. ვისურვებდი, ეს თქვენი ბრძოლა გამარჯვებით დამთავრებულიყოს». ა.

1936 წელს, როცა ბლუმმა მისი პირველი მთავრობა შეადგინა, საქართველოს სოც.-დემ. პარტიამ მას მიულოცა და



სთხოვა ქართული საკითხისათვის მას ყურადღება მიექცია. გვიპარება მან გვიპასუხა: «ვიცნობ თქვენ საკითხს, ვიცი მისი სირთულე და იქნიეთ რწმენა, რომ მომენტის მიხედვით და შესაძლებლობისთანავე ქართულ საკითხს შესაფერისი ყურადღებით მოვებყრობი»-ო.

წელს, იანვარში, ჩვენ მივმართეთ ბლუმს, სადაც ჯერარს გაეწია ჩეკენთვის დახმარება, ქართველ ლტოლვილთა ოფისის ნორმალურ პირობებში ჩასაყინებლად. მან მაშინვე გვიპასუხა და ასეთი დახმარება ალვითქა. მალე მეორე წერილით გვამცნო, რომ შუამდგომლობაზე მან მიიღო უკვე ესა და ეს პასუხი. საქმის შემდეგ მსვლელობაზე ხელახლად გაცნობებთო. მაგრამ, სამწუხაროდ, შესწყდდა მისი კეთილშობილურადამიანური გულის ძერა...

ლეონ ბლუმი იყო დიდი ფრანგი, დიდი სოციალისტი, დიდი ინტერნაციონალისტი».

ვასო ბორის ამასონი

ამა წლის პირველ პრილს ქალაქ ოსლოში (ნორვეგია) გულის ავათმყოფობით გარდაიცვალა ვასო გორდელაძე. წარსულ პარტში მას 65 წელი შეუსრულდა.

ვასო სულ ახალგაზრდა ჩაეგა რევოლუციურ მოძრაობაში და სწორედ ამ მოძრაობისათვის იქნა ის გამორიცხული სემინარიიდან, სადაც ის სწავლობდა. სასწავლებლიდან გარიცხვის შემდეგ მისი ენერგია ათკეცდება და უკვე 1905 წელს ის დიდ აქტიურ მუშაობას ეწევა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში. ის მუშაობს ბათუმში, აწყობს სხვებთან ერთად არალეგალურ სტამბას. დადის სხვადასხვა ადგილას გურიაში და აწარმოებს იქ პროპაგანდას გლეხთა შორის. შემდეგ მიდის სოხუმში და ელეონორა მახვილაძესთან ერთად სოხუმის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციის ერთი დაულალავი მუშაკთაგანია.

რეაქციის გამარჯვების შემდეგ ვასო ამხანაგების რჩევით მიდის საზღვარ-გარეთ თეითგანვითარების გასაგრძელებლად და იქ ევროპიულ განათლების მისაღებათ. ჯერ ის შეეიცარიაშია, სადაც სწავლობს გერმანულ და ფრანგულ ენებს, შემდეგ ცხოვრობს გერმანიაში, საფრანგეთში, დაბოლოს კი სტამბოლში.

ჩვენი დამოუკიდებლობის დროს საქართველოს მთავრობა ვასოს იწვევს მომარაგების მინისტრის ამხანაგათ. ბოლო შემოვების შემოსევის შემდეგ კი ის ბრუნდება ევროპაში.

ჯერ სტამბოლშია. 1936 წელს ის იძულებული ხდება სტამბოლი მიატოვოს და გადასახლდეს ცოლშვილით ნორვეგიაში. ოჯახობა მისი უცხოელი ქალია, მაგრამ ქართული ენა კარგად იციან არა თუ მისმა შვილებმა, არამედ მან მის ოჯახობასაც ჩვენი ენა კარგად შეათვისებია.

ვასო კარგი პატრიოტი და ჩვენი ქვეყნის ღრმათ მოყვარული შვილი იყო. ბუნებით ნაზი, უალრესად კეთილი და სპეტაკი ადამიანი ძლიერ განიცდიდა იმ დუხშირ მდგომარეობას, რომელშიაც ჩვენი სამშობლო იმყოფება. ყოველივე ცუდი ამბავი და ცნობა იქიდან მოსული მის გულს ახლო ხვდებოდა და ძალზე აძერებდა... ისიც ასე უდროოთ გარდა-იცვალა და საუდამოდ დაგვშორდა.

გ ვ ლ ა.

ორი თვეის წინ, თებერვალში, უცხო მიწას მივაბარეთ ჩვენი გელა (ბარნაბ გელაზანია). ამით დასრულდა ეს მოუსვენარ ბრძოლაში გატარებული სიცოცხლე, რომლის აზრსა და მიზანს თავისუფალი სამშობლო და მისთვის სამსახური შეადგენდა. ეს მიზანი და სამსახური განსაზღვრავდა განსვენებულის ყოველ მოქმედებას, ის იყო მისთვის საწომი ქართველი ადამიანის ეროვნული ლიტებულების და გამართლება ბრძოლით გაღებული მსხვერპლის. თითქმის მთელი მისი სიცოცხლე ამ ბრძოლაში მიმდინარეობდა; შემთხვევითი არ არის, რომ ამ გარემოებამ თავისი გამოხატულება ჰქონა მის სახელმძღვანელო პრინციპში: «ცხოვრება არის ბრძოლა».

გელა დაიბადა 1884 წელს ჯიხაიშში. სამასწავლებლო სემინარიის დამთავრების შემდეგ იგი ხდება წერა კითხვის გამავრცელებელ საწოგადოების სკოლის მასწავლებლად ბათომში. ეს ბეჭი მხოლოდ ნიჭიერ მასწავლებლებს ხვდებოდა წილად. გელა ახალგაზრდობიდანვე მონაწილეობს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, მალე მას აპარიმრებენ ბათომში როგორც სოციალ-დემოკრატიული განეთის რედაქტორს და ერთი წლით ავენენ ციხეში. ორიოდე წლის შემდეგ იგი ისევ უვარდება რუს კანდარმერიას ხელში და იგზავნება ციმბირში, სადაც ის პირველი დიდი ომის დროს ჯარში გაპყავთ. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს იგი დანიშნული იქნა სახალხო სკოლების ინსპექტორად ქუთაისში.

26 მაისის სხივით გამთბარი და მომავლის პერსპექტივებით გატაცებული, იგი ქართველ ახალგაზღათა ერთ დიდ

ჯგუფთან ერთად მიემგზავრება 1920 წლის დასაწყისში სახ-ლვარ-გარეთ განთავისუფლებული ერის სამსახურისთვის გა-ნათლების შესავსებად. მაგრამ მალე ამის შემდეგ მომხდარი საქართველოს ბარბაროსული დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მხრით ყირამალა ატრიალებს მთელ მის გეგმებს, ამ საბეჭის-წერო მოვლენის ძალით იგი დგება ლტოლვილის მდგომარე-ობაში და ხდება უსამშობლო. მაგრამ ლტოლვილად გამხდა-რი, ის უფრო მეტი სიცხველით მიიღოს სამშობლოსკენ, ჩვენი პოეტი თავის სითბოთი და ნალვით სავსე ლექსთა კრებულში, პარიზში გამოცემულში, უმლერის 26 მაისს და დასტურის საქართველოს უკულმართს ბედს. საბჭოთა რუსე-თის ვერაგობით აღშეოთებული იწყებს ხელახალ ბრძოლას საქართველოს გათავისუფლებისთვის და მთელი. თავისი ბუ-ნებით აწარმოებს მას უკანასკნელ წუთამდი შეურიგებლად. ამ დიდი ომის დროს იგი დასწულდა და ეხლა სამუდამოდაც გამოგვეცალა.

გელა მთელი თავისი არსებით ეკუთვნოდა ქართველ ერს, მისთვის სიკვდილი წარმოუდგენელი იყო სამშობლოს გარეშე; ის თითქო გრძნობდა ამ მწარე ხვედრის შესაძლებ-ლობას და მისი ხშირად გამოთქმული სურვილი, რომელიც ეხლა ანდერძად გადაიქცა, იყო, იგი მშობლიურმა მიწამ ჩაი-ხუტოს. მას მტკიცედ სწამდა ჩვენთან ერთად, რომ საქართვე-ლო მალე გათავისუფლება და თავისუფალი სამშობლო მის ფერფლს სამუდამოდ მიიბარებს. მან საკუთარი სინიდისის და ქართველი ერის წინაშე თავისი მოვალეობა მოიხადა. თავისუფალი საქართველო კი თავის ერთგულ შვილებს არ დაივიწყებს.

მეტობარი.

ვ ა პ ა კ უ ს პ ი.

ამერიკაში გარდაიცვალა ებრაელების ძევლი და ცნო-ბილი სოციალისტი, ბუნდის ორგანიზაციის ერთი დამაარსე-ბელთაგანი ფრანც კურსკი. ის იყო დემოკრატიულ საქართ-ველოს ბერლინის საელჩოს მდივანი.

ბერლინის სოციალ-დემოკრატიულ წრეებში კურსკს დიდი ნაცნობობა ქონდა და ქართულ საკითხის გარშემო ის-გერმანელთა შორის დიდათ სასარგებლო პროპაგანდას ეწე-ოდა.

ქ რ თ ხ ი პ ა.

პ ა რ ი წ ი.

ამა წლის 16 აპრილს შესდგა პარიზის ქართული ასო-
 ციაციის წლიური კრება. გამგეობის მუშაობის შესახებ
 ვრცელი მოხსენება გააკეთა თავმჯდომარე ბ-ნ ლ. ზურაბი-
 შვილმა, საიდანაც გამოირკვა გამგეობის ნაყოფიერი და მრა-
 ვალმხრივი საქმიანობა. სარევიზოო კომისიის მოხსენების
 შემდეგ კრება ერთხმათ ირჩევს კოლონის თავმჯდომარეთ
 ბ. ლ. ზურაბიშვილს. გამგეობის შემადგენლობა შევსებულ
 იქნა ახალი პირებით. კრებამ ერთხმად მადლობა გამოუცხა-
 და გამგეობას დაუღალავ შრომისთვის.

ამა წლის 22 იანვარს პარიზის ერთ-ერთ დარბაზში ქარ-
 თველთა მრავალი ცხოვან საზოგადოების წინაშე გამოვი-
 და თავის მოხსენებით ბ. ალ. რობაქიძე. პირველ ნაწილში
 შეეხო ქართულ სიტყვიერებას და მრავალი მაგალითების
 მოყვანით გადაუშალა დამსწრეთ ქართული ენის სიმდიდრე
 და მრავალფეროვანობა. ბოლოს წაიკითხა საკუთარი თქმუ-
 ლება შამილზე და რამდენიმე საკუთარი ნაშრომიც. დამს-
 წრე საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა მომ-
 ხსენებელი.

30 აპრილს ქართული საზოგადოების წინაშე მოხსენე-
 ბით გამოვიდა ბ. ალ. მანველიშვილი. ის შეეხო რუსეთ-საქა-
 რთველოს დამოკიდებულებას წარსულში; უმთავრესათ, რუ-
 სეთისგან იმერეთის დაპყრობის ეპოქას. მოხსენება იყო ფრი-
 ად შინაარსიანი, ახალი მასალების მოყვანით მომხსენებელმა
 დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეებში.

ქართულ ანტიტბერკულიოზის კომიტეტმა მიიღო სო-
 შოდან ქარბატონ სალუქვაძისაგან ოთხი ათასი ლარის, მო-
 გროვილი იქაურ ქართველებში. კომიტეტი უცხადებს დიდ
 მადლობას როგორც მომგროვებელს ისე შემომწირველთ.

ლ ღ ნ დ ღ ნ ი.

წასული წლის 13 ნოემბერს შედგა ინგლისში არსებულ
 ქართველთა საზოგადოების მორიგი კრება და აირჩია ახალი
 გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდ. ვ. ნანუაშვი-
 ლი, მის მოადგილეთ ვ. ლომიძე, მდივნათ მ. ქიქოძე, წევრათ
 რ. რუსიშვილი და ხაზინადრათ ა. ბესტავაშვილი.

З о г 6 б а б о.

გერმანიაში მცხოვრებ ქართველების სახელით მიღოცა გაეგზავნა დასავლეთ გერმანიის პრეზიდენტს პოსტის გამო. ამ მიღოცაზე ქართული კოლონიის გამგეობად მიიღო პასუხი, სადაც პრეზიდენტი დიდს სიხარულს გამოსთქავას ქართველების მიღოცით და უძლვნის მათ მაღლობას.

3 პრილს, კოლონიასთან არსებულ კულტურულ სექტურიამ მოაწყო კრება, მარიამ დედოფლის გარდაცვალების ას წლის თავის შესრულების გამო. საინტერესო მოხსენება გააკეთა ბ. ალ. ცომაიამ, რომელმაც დაწერილებით აღნიშნა საქართველოს სამეცნო უკანასკნელი ტრალედია და განსაკუთრებით კი შეეხო მარიამ დედოფლის მიერ ჩადენილ მკელელობას. მოხსენებამ დამსწრე საზოგადოებაზე საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოა. კრებაზე დაწერილ აგრეთვე ზალცბურგიდან ჩამოსული ქართველები.

3006

29 იანვარს, ქალაქ ლიონში დაარსდა ქართველთა ასოციაცია, რომლის თავმჯდომარეთ არჩეულია აღ. ხილშიაშვილი, მდივანთ კ. გურია და მოლარეთ ვლ. ბურძელა.

Pro Europa.

ჩვენი თანამემამულის ბ. ბარკოზ ტულუშის ენერგიული მეშაობის წყალობით ბელგიაში გამოვიდა მეორე ნომერი უზრნალის «Pro Europa», რომელში საკმაო ადგილი უკავია საქართველოს ამბებს. უზრნალი თავს უყრის რუსეთისგან დაჩაბრულ ტრანსიტურთა ინტერესებზე დალებს და მიჩნათ ისახავს ამ ერთა განმათავისუფლებელ მოძრაობის სამსახურს. ჩვენი გულშრფელი სურვილია მათ შესაძლებლობა მიეცეთ განაგრძნონ ამ გზით მოლვაშვილა.

გადლობის გამოცხადება.

მარგალიტა წელიანისა ქმარ-შვილით დიდ მაღლობას უძლენის ცეკვა იმ პირთ, ვინც კეთილ ინება და პირადათ, თუ წერილობით, თანაგრძნობა გამოუცხადა თავის ძეირფასი-და საყვარელი ძმის ვასო გორჩდელაძის უდროოთ გარდაცვა-ლების გამო.

A decorative horizontal border consisting of a repeating pattern of stylized oval and diamond shapes.

ფული და დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემ-
დეგი მისამართით: Dr. Sandqvist.

P. Sardjveladzé.

35, rue de l'Aude 35. Paris (14)

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.